მასწავლებელი

2008 №3

პროფესიული ჟურნალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ნომრის თემა – კონფლიქტი და განათლება

29 მაძიებლობა – სიახლე პროფესიაში

40 კავკასიის მოსახლეობა და მათემატიკა

46 ქართველი მოსწავლეების „კოსმოსური ოდისეა"

63 ახალი გამოცემები

64 მასწავლებლის მსოფლიო დღე

ჟურნალი „მასწავლებელი“
და
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

ყველა მასწავლებელს
ულოცავს მასწავლებლის მსოფლიო დღეს,

მადლობას უხდის თითოეული გაკვეთილისთვის,

უსურვებს ბედნიერებას და წარმატებას
პროფესიულ საქმიანობაში!

ჟურნალი **„მასწავლებელი“**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის №52
ტელ.: (+ 99532) 95 58 33
(+ 99532) 91 14 53
ფაქსი: (+ 99532) 95 58 36
ელ.ფოსტა: info@tpdc.ge
tmosiashvili@tpdc.ge
ვებ-გვერდი: www.tpdc.ge

ISSN 1987-6149

UDC 371.1
მ –374

ფოტოების და ილუსტრაციების ავტორები: *მალხაზ მაჭავარიანი, ზურაბ ქურციკიძე, პაატა შანშიაშვილი, სოფიო გორგოძე, თინათინ მოსიაშვილი, ნანა მემანიშვილი, ევა ლომთაძე, ხათუნა გოგაშვილი, ნიკა გვიდიანი*

დიზაინი და დაკაბადონება: *გიორგი ბაგრატიონი*

სტილის რედაქტირება და კორექტურა: *ირმა ტაველიძე და რუსუდან კაიშაური*

ჟურნალის რედკოლეგია: *სოფიო გორგოძე, პაატა სირბილაძე, ლელა სამნიაშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, თამარ ცხადაძე*

მთავარი რედაქტორი: *თინათინ მოსიაშვილი*

ყდაზე გამოყენებულია პაბლო პიკასოს ნამუშევარი „გოგონა მტრედით“

ძვირფასო მასწავლებლებო! გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატიები, მოსაზრებები და ფოტოები. საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება.

შინაარსი

რედაქტორის სვეტი	2
1. **ინტერვიუ.** გია ნოდია: „ომი არ გადაგვახვევინებს იმ გეგმებისგან, რომლებიც გვქონდა“	3-5
2. **მოკლედ.** სიახლეები განათლების სფეროში	5-6
3. **ნომრის მთავარი თემა.** ომი და... სკოლები	7-8
მრგვალი მაგიდა – „კონფლიქტი და განათლება“	
4. **პროფესია მასწავლებელი.** მოსწავლეების გარეშე დარჩენილი მასწავლებელი	14-15
5. **ფსიქოლოგი გვირჩევს.** როგორ დავეხმაროთ ომგამოვლილ ბავშვებს	16-18
6. **მასწავლებლების მოსაზრება.** ვისწავლოთ ისტორია ისტორიის გაკვეთილებიდან	19-20
7. **ისტორიის ფურცლები.**	20-21
ა) „ივერია“	
ბ) „ტაიმსი“	
გ) აკაკი ბაქრაძე, „პასუხისმგებლები ვართ“	
8. **განათლების რეფორმა.** „ირმის ნახტომი“ – ნახტომი ტექნოლოგიური სივრცისკენ	22-25
9. **პროფესიული განვითარება.** დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები	
ახალი პერსპექტივის წინაშე	26-28
10. **სიახლე პროფესიაში.** მაძიებლობა – შანსი ახალბედა მასწავლებლისთვის	29-30
11. მასწავლებლის კალენდარი	31
12. **პრაქტიკული რჩევები და საინტერესო დავალება**	32-33
13. **ერთი რეგიონი.** სვანეთი: მწვერვალებიდან დანახული საქართველო	35-37
14. **ერთი სკოლა.** სკოლა, სადაც ქართველი და ოსი ბავშვები ერთად სწავლობენ	38-39
15. **ერთი გაკვეთილი.** კავკასიის მოსახლეობა და მათემატიკა	40-41
16. **უცხოური გამოცდილება.**	
ა)„მათემატიკის სწავლება ფიზკულტურის გაკვეთილზეც შეიძლება“	42-43
ბ) მოკლედ. საინტერესო ამბები და სიახლეები	44-45
17. **როგორ ვასწავლოთ.** საველე კვლევა გეოგრაფიაში	
18. **აღმოაჩენინეთ მოსწავლეებს საქართველო.**	
საქართველოს დაცული ტერიტორიები	48-51
19. **კონკურსები და გამარჯვებულები.** ქართველ მოსწავლეთა „კოსმოსური ოდისეა“	52-54
20. **ჩემი მასწავლებელი**	
ა) ნინო ჯავახიშვილი	
ბ) დათო ტურაშვილი	55-56
21. **მასწავლებლების შემოქმედება**	
სანამ ფაიფური გაცივდება – მაია სარიშვილის ლექსები	57-59
ზეინაბ სარიას ლექსები	60-61
22. კითხვა-პასუხი	62
23. მასწავლებლისთვის საინტერესო გამოცემები და რესურსები	63
24. მასწავლებლის მსოფლიო დღე	64

ჟურნალის ნომრიდან ნომრამდე ყველა რედაქტორი ალბათ იმაზეც ფიქრობს, რას ეტყვის მკითხველს საკუთარ სვეტში. აგვისტოს პირველი რიცხვები იდგა, მეგონა, „მასწავლებლის" ამ ნომრის თემატიკა განსაზღვრული გვქონდა და მასალის დიდი ნაწილიც – მომზადებული.

ვფიქრობდი, სვეტისთვის მთაში გადაღებული ღიმილიანი ფოტო დამერთო და პირველი სექტემბრის ტრადიციის აღდგენა და სასწავლო წლის დაწყება ალპური ყვავილებით მომელოცა.

მინდოდა, მეთქვა, ოთხიოდე დღით ჭაუხებში წასული, როგორ შევხვდი რუსთაველ გოგო-ბიჭებს, რომლებიც მასწავლებლების დახმარებით პატარ-პატარა მწვერვალებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ დიდი მწვერვალების დასალაშქრად ემზადებოდნენ (ამ სკოლის შესახებ ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში გიამბობთ ალბათ).

მინდოდა, თქვენთვის ქართველი კოსმონავტები გაგვეცნო (ამ ნომერში მათ მაინც შეხვდებით) და მომეთხრო, „ირმის ნახტომის" წყალობით როგორ აღმოვაჩინეთ ერთ-ერთ დაბაში მოზარდები, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლების დახმარებით ჯერ კიდევ უინტერნეტო სკოლაში კოსმოსური ხომალდი „ააგეს" და „ივრის" კოსმოდრომიდან მარსი დალაშქრეს, ჯერჯერობით ვირტუალურად, მაგრამ მაინც...

გვინდოდა, ხალისიანი და იმედიანი ყოფილიყო ჟურნალის სასექტემბრო ნომერი. ვფიქრობდით და ვგეგმავდით, მაგრამ აგვისტოში იყო... ომი. ომი, რომელმაც ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ შეცვალა.

„აღარ მეგონა ჩემს თაობას კიდევ თუ მოუწევდა თავისუფლებისთვის ბრძოლა და მსხვერპლის გაღება. დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში ისევ თუ გვექნებოდა უცნობი ჯარისკაცის საფლავები", – მომწერა იმ დღეებში ერთმა მეგობარმა.

იყო ომი, იყვნენ ცრემლიანი დედები, შეშინებული და გაოგნებული ბავშვები, დევნილები... იყო თავშესაფრად ქცეული სკოლები და საბავშვო ბაღები, კარვების ქალაქები...

არადა, მეგონა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვიდოდა დრო, როცა ომი ისტორიის სახელმძღვანელოებში დარჩებოდა. ისტორიის გაკვეთილებიდან კი, ერთი ჩვენი რესპოდენტის არ იყოს, უკეთესად ვისწავლიდით ისტორიას.

თუმცა ახლა მინდა მჯეროდეს: ეს მარცხი მაინც გახდება მომავალი გამარჯვებების საწინდარი.

რაც მთავარია, ნამდვილად ვიცი, რომ ეს ყველაფერი მასწავლებლის ხელშია. ვფიქრობ, გამარჯვებისკენ მიმავალი გზა განათლებაზე გადის და დღეს, როგორც არასდროს, შეიარაღებაზე მეტადაც, სწორედ განათლებას უნდა მივხედოთ.

ყველანი ერთად, და ალბათ მასწავლებლები განსაკუთრებით, პასუხისმგებლები ვართ ყველაფერზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. შემთხვევით არ მოგვიყვანია ციტატა აკაკი ბაქრაძის 15 წლის წინანადელი სატელევიზიო გამოსვლიდან...

მე მაინც მინდა, ღიმილით და ალპური ყვავილებით, ახალი სასწავლო წლის დაწყება და მასწავლებლის დღე მოგილოცოთ, მასწავლებლებო!

გიორგი ნოდია: „ომი არ გადაგვახვევინებს იმ გეგმებიდან, რომლებიც დასახული გვქონდა“

წელს საქართველოს სკოლებში სასწავლო წელი პირველ სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ... სექტემბრის დამდეგს თბილისის თითქმის ყველა სკოლაში დევნილები იყვნენ. ომმა მათ საკუთარი სახლები და სოფლები დაატოვებინა.

ქვეყანაში და, კონკრეტულად, განათლების სისტემაში შექმნილ მდგომარეობაზე „მასწავლებელი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, გიორგი (გია) ნოდიას ესაუბრა.

– ბატონო გია, ცოტა ხნის წინ ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ძალიან დიდი სირთულეების წინაშე. აქვე უნდა ითქვას, რომ განათლების სფერომ საკმაოდ კარგად გაართვა თავი პრობლემებს. დევნილები, ძირითადად, სწორედ სკოლებმა, სხვა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებმა შეიფარეს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მშობლები მობილიზებულნი აღმოჩნდნენ. რა მდგომარეობაა დღეისთვის სკოლებში?

– პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ განათლების სფერო, მართლაც, დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. თბილისში თითქმის ყველა სკოლა დევნილების მასპინძელი გახდა და უმეტესობამ საკმაოდ კარგად გაუძლო ამ გამოცდას. ადმინისტრაციების მუშაობით კმაყოფილი ვართ, რადგან ისინი დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ სკოლებში, დევნილების მიღებისა და დაბინავების პროცესს უძღვებოდნენ. სანამ სახელმწიფო დახმარების სისტემას გამართავდა, რასაც, ბუნებრივია, დრო სჭირდებოდა, ეს საქმე, პრაქტიკულად, სკოლებმა ითავეს. პედაგოგების, მშობლების მობილიზება მოხდა და სადაც დავდიოდით, დევნილები დირექციის მადლიერები იყვნენ. სკოლები ძალიან კარგი კუთხით წარმოჩნდნენ. ამის გამო მადლობა გვაქვს სათქმელი პედაგოგების, დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის.

– სასწავლო წლის დაწყებამ ორი კვირით გადაიწია, თუმცა ზოგიერთ სკოლაში დღემდე რჩებიან დევნილები.

– იმ ფონზე, რაც მოხდა, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო წელი სერიოზული პრობლემების გარეშე დაიწყო. სკოლების უმეტესობამ 15 სექტემბერს დაიწყო სწავლა. ეს პროცესი მხოლოდ იქ შეფერხდება, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრება ვერ ესწრებოდა. ახლა თბილისში მხოლოდ 16 სკოლაში არიან დევნილები, სადაც, ბუნებრივია, სწავლა ვერ დაიწყება. ეს სასწავლებლები (პედკოლექტივები და მოსწავლეები) სხვა სკოლებში გადავიდნენ,

რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც. თუმცა ეს არ არის იმ დონის პრობლემა, რომელიც სასწავლო პროცესს შეაფერხებს და სწავლების ხარისხს გააუარესებს.

– პრესაში წერდნენ, თითქოს ასეთი ვითარება იმ სკოლებში შეიქმნა, რომლებიც ისედაც ექვემდებარებოდნენ ოპტიმიზაციას.

– ამ ეტაპზე ჩვენ ნამდვილად არ გვეცალა იმისთვის, ამ მიმართულებით გვეფიქრა. ზოგადად, ოპტიმიზაცია ისევ მოსწავლეების ინტერესებიდან და სახსრების ხარჯვის წესიდან გამომდინარე ხდება, მაგრამ ეს სრულიად სხვა პროცესია.

– ჩვენ ახლა ძირითადად დედაქალაქის სკოლებზე ვისაუბრეთ. ალბათ ცალკე უნდა გამოიყოს გორისა და ზოგადად, შიდა ქართლის, ასევე ცხინვალის რეგიონის სკოლები.

– ამ რეგიონში ბევრი სკოლა დაზიანდა, მაგრამ თუ არ ჩავთვლით გორის ჩრდილოეთით ოკუპირებულ ტერიტორიას, სერიოზული პრობლემები არც აქაა. გორში ძალიან დაზიანებულია მხოლოდ მეშვიდე სკოლა, რომელიც სრულ აღდგენამდე სხვა შენობაში გადავიდა. პრობლემები გვაქვს სამეგრელოს სკოლებშიც.

ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია:

ყველა მოსწავლე ისწავლის. დევნილი ბავშვები იმ სკოლებში წავლენ, რომლებთან ახლოსაც ცხოვრობენ. რაც შეეხება მასწავლებლებს, ვიდრე მათი სკოლები არ აღდგება, ჩვენ მათ ხელფასს შევუნარჩუნებთ.

– როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი?

– იმედი გვაქვს, ზოგი დაბრუნდება, სხვა რაღაც დროის შემდეგ დასაქმდება, მაგრამ, საერთო ჯამში, ამ ხალხს მზრუნველობის გარეშე არ დავტოვებთ. ისინი იანვრამდე მიიღებენ იმ ხელფასებსა და დანამატებს, რაც ჰქონდათ.

– თქვენ ბრძანეთ, რომ დევნილ მასწავლებლებს ხელფასი იანვრამდე მიეცემათ. ბუნებრივია, მათ აინტერესებთ: რა იქნება შემდეგ? მით უმეტეს, რომ დევნილთა დიდი ნაწილი თბილისშია და აქ რთული იქნება მასწავლებლების დასაქმება.

– ბიუჯეტი იანვრამდეა დაგეგმილი და დღეს ამის საშუალება უკვე გამოინახა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ იანვრის შემდეგ ეს აღარ მოხდება. რაც შეეხება ისეთ რთულ საკითხს, როგორიც პედაგოგების შემდგომი დასაქმებაა, მთავარი მაინც მათი განსახლების საკითხის გადაწყვეტაა. სასწავლო ან სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში ცხოვრება არ არის გრძელვადიანი პერსპექტივა. დევნილები იქ 10-15 წელს ვერ იცხოვრებენ. ეს დროებითი ღონისძიებაა და ამასობაში ხელისუფლება უკეთეს პირობებს შეუქმნის. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ ადამიანების ბედი, რომლებიც 1-2 წელიწადში ვერ დაბრუნდებიან სახლში, დამოკიდებული იქნება განსახლების ვითარებაზე. სადაც მოხდება დევნილების გრძელვადიანი ჩასახლება, იქვე ვიზრუნებთ მათი დასაქმების საკითხზეც.

– ალბათ ბევრს აინტერესებს, დღევანდელი ვითარება ხომ არ იმოქმედებს ზოგად სიტუაციაზე? რამდენად განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები?

– მართალია, საომარმა მდგომარეობამ განათლების სფეროში ახალი პრობლემები შექმნა, მაგრამ ამან დაგეგმილი პროგრამების განხორციელება მხოლოდ გარკვეული დროით გადასწია. პრინციპული ცვლილება არც ერთ სფეროში არა გვაქვს. რასაც ვგეგმავდით, სერტიფიცირება იქნება თუ პროფესიული განვითარება, ყველაფერი განხორციელდება. შესაძლებელია, მხოლოდ დროის გრაფიკების კორექტირება მოხდეს.

– დევნილთა დიდი ნაწილი ახლა საბავშვო ბაღებშია განთავსებული. რა ელით საბავშვო ბაღებს? ბუნებრივია, ეს მეტად მტკივნეული თემაა ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებისა და მშობლებისთვის?

– თბილისში საბავშვო ბაღები, პრაქტიკულად, გაუქმებულია. ახლა მუშავდება სკოლებთან პარტნიორობის პროგრამა, რომელიც მალე საბოლოო სახეს მიიღებს. ბაღების არა 100%, მაგრამ დიდი ნაწილი სკოლის შენობებში განთავსდება. ეს საკმაოდ რთული საკითხია და შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიღებაც არ იყო ადვილი. ბაღის პედაგოგებსაც შეუნარჩუნდებათ ხელფასი. ბუნებრივია, მომრავლდება კერძო ბაღები და ბევრი მშობელი იძულებული იქნება, მათი მომსახურებით ისარგებლოს. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა ასეთია. ცხადია, ეს იძულებითი ნაბიჯი და დროებითი ღონისძიებაა. ასე რომ, აგორებული ჭორი, თითქოს ბაღები საერთოდ უქმდება, სიმართლისგან შორს არის.

– ჭორის გავრცელების მიზეზი, როგორც წესი, ცუდი კომუნიკაციაა.

– შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ არის ადამიანების კატეგორია, რომელიც მაინც არ იჯერებს სიმართლეს. მე ვამბობ, რომ არ არსებობს ბაღების საბოლოოდ გაუქმების საშიშროება.

– ბატონო გია, მინისტრობამდე თქვენ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდით. სწორედ ამიტომ მინდა, გკითხოთ: გამოიყენა თუ არა ქვეყანამ ყველა სამშვიდობო რესურსი იმისთვის, რომ ომი აგვეცილებინა?

– ჩემი აზრით, ძნელია, როცა რუსეთს ძალიან უნდა შენთან ომი — და ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს დაგეგმილი აქცია იყო — იგი თავიდან აირიდო. მათ მონიშნული ჰყავდათ ხალხი, რომელიც შეიძლებოდა მძევლად გამოეყენებინათ. დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა მსხვერპლი იყო. პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთის მხრიდან ამის ნება გამოჩნდებოდა, მაგრამ მას ასეთი ნება არა აქვს და ცდილობს, საკუთარი სურვილი მოგვახვიოს თავს. ლიახვის ხეობის მოსახლეობას რუსეთი პოტენციურ მძევლად განიხილავდა და ასეც გამოიყენა. იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთი ომით მოდიოდა, საქართველოს ხელისუფლებას ორი არჩევანი ჰქონდა: ან სრული კაპიტულაცია უნდა გამოეცხადებინა და უარი ეთქვა ამ ადამიანების დაცვაზე, ან გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა. ჩემი აზრით, მართალია, მძიმე გადაწყვეტილებაა, შეხვიდე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის

ჯართან, მაგრამ კაპიტულაცია კიდევ უფრო მძიმე და უარესი იქნებოდა.

– ბავშვების ახლანდელ თაობას ომგამოვლილთა თაობა შეიძლება ეწოდოს. ძალიან ბევრი მოსწავლე, მიუხედავად იმისა, უშუალოდ შეეხო თუ არა კონფლიქტი, ტრავმირებულია. თქვენი აზრით, რა არის ამ ბავშვებთან მუშაობისას ყველაზე მთავარი?

– ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია უკვე დაგეგმილია და ამაში უცხოელი დონორებიც გვეხმარებიან. არსებობს პოსტტრავმული სინდრომი ომისა და დაბომბვების შემდეგ. როგორც ექსპერტები ამბობენ, ის დაახლოებით ორ თვეში შეიძლება გამოვლინდეს. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

– რამდენად მზად არიან ამისთვის მასწავლებლები?

– ზოგი მასწავლებელიც ისევეა ტრავმირებული, როგორც ბავშვები და მათთანაც საჭიროა ამ კუთხით მუშაობა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მასწავლებლების გადამზადებაც, რათა თვითონ იმუშაონ მოსწავლეებთან.

– საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები როგორ აისახება სასკოლო პროგრამაში? როგორ უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს ჩვენი უახლესი ისტორიული გამოცდილება?

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ისტორიის სწავლებაზე აისახება. ეს მოვლენა უკვე ისტორიის ნაწილია. ვფიქრობთ მუზეუმების უფრო აქტიურ გამოყენებაზე – ისინი ხომ, პირველ რიგში, საგანმანათლებლო დაწესებულებებია. მოსწავლეები აუცილებლად უნდა გაეცნონ ოკუპაციის მუზეუმს.

ახლა ძალიან საინტერესო ცვლილებები იგეგმება გორში, სტალინის სახლ-მუზეუმში, სადაც ექსპოზიცია გორის მოვლენების გათვალისწინებით განახლდება. ეს მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ. არა მხოლოდ გორისა და მიმდებარე რაიონების, სხვა რეგიონების მოსწავლეებმაც უნდა ნახონ იგი. რასაკვირველია, მოსწავლეები უფრო კრეატიულები და მრავალმხრივები უნდა იყვნენ სამოქალაქო განათლების კუთხით.

– ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის მთავარი თემა „კონფლიქტი და განათლებაა". ამ საკითხს მიეძღვნა მრგვალი მაგიდაც, სადაც მასწავლებლები და ფსიქოლოგები საუბრობდნენ, რომ აქტუალურია მშვიდობის შენების სწავლება... საუბარი იყო ეთნოსტერეოტიპებზეც...



– არც ვიცი, ზუსტად რა იგულისხმება მშვიდობის შენების სწავლებაში. რაც შეეხება ეთნოსტერეოტიპებს, არა მგონია, რომ ომმა ამ თემის პრინციპული აქტუალიზაცია მოახდინა, რადგან საქართველოში, როგორც პოლიეთნიკურ ქვეყანაში, იყვნენ, არიან და კიდევ იქნებიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ეთნოსტერეოტიპების არსებობა ნორმალურია, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, ამაში „მტრის ხატი" იგულისხმებოდეს. ამაზე ყურადღების გამახვილება ყოველთვის საჭიროა. ომის დაწყებამდეც ვაპირებდით ამ კუთხით მუშაობის დაწყებას. პრინციპული ცვლილება ამაში ომს არ შეუტანია.

– ბატონო გია, შეიძლება თუ არა, განათლების დახმარებით იქამდე მივიდეთ, რომ პრობლემების გადაწყვეტა საომარი მოქმედებებით არ ხდებოდეს?

– ნამდვილად არ მგონია, რომ სასკოლო სწავლებაში რაღაცის დეფიციტის გამო მოხდა ეს ომი. თუმცა სამოქალაქო განათლების გაძლიერებაზე ჩვენ ისედაც ვფიქრობდით და ახლა უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ. სამინისტროს გარკვეული რესურსი აქვს, მაგრამ სამოქალაქო სექტორის მხრიდან ამ კუთხით წამოსული ინიციატივებიც კარგი იქნებოდა.

– წელან ვსაუბრობდით, რომ საკმაოდ რთული იქნება სასწავლო წელი. რაიმე კონკრეტული პროგრამები თუ იგეგმება სკოლებში?

– ვფიქრობთ, რომ სასწრაფოდ გასაკეთებელია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები.

– ჩვენ ამის შესახებ ფსიქოლოგებსაც ვესაუბრეთ. ისინი ისედაც მუშაობენ მასწავლებლებთან, თუმცა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა, განათლების სამინისტროსთან კოორდინირებულად ემუშავათ.

– ბუნებრივია, დაინტერესებული ვართ ამ საკითხით და მათი მხრიდან გამოხატულ სურვილს მხოლოდ მივესალმებით. ჩვენთან არის პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს მსგავსი იდეების განხორციელებას, მაგრამ, რადგან ჩვენი ბიუჯეტი მკაცრად განსაზღვრულია, დონორებიდან და არასამთავრობო სექტორიდანაც ველით შემოთავაზებებს. ამ პროცესებში კარგი იქნებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ჩართვაც.

– და ბოლოს, ბატონო გია, რას ეტყვით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებს?

– პირველ ყოვლისა, მინდა ვთხოვო იმ სკოლების მასწავლებლებს და პედკოლექტივებს, სადაც ომის შედეგად დაზარალებული ბავშვები მივლენ, განსაკუთრებული ყურადღებით, გაგებით და სითბოთი შეხვდნენ მოზარდებს, რომლებმაც ეს საშინელება გამოიარეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ომგამოვლილ ბავშვებში შესაძლოა თავი იჩინოს პოსტტრავმულმა სინდრომმა და პედაგოგს მისი საქციელი არაადეკვატურად ეჩვენოს, მაგრამ ამას გაგებით უნდა მოეკიდოს.

რუსეთის ოკუპაციის ფონზე, ჩვენი მოვალეობაა, უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ, რათა ასეთი საშინელების გადატანა აღარ მოგვიხდეს. ეს გზა კი განათლებაზე გადის. მაღალხარისხიანი განათლების მიცემა ის პრიორიტეტია, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის მთლიანი წარმატება უნდა განსაზღვროს. ჩვენთვის ეს ომი ძალიან მძიმე გამოცდილებაა, მაგრამ ის არ გადაგვახვევინებს იმ გეგმებიდან, რომლებიც დასახული გვქონდა.

ესაუბრა თინათინ მოსიაშვილი

■

მოკლედ

„მასწავლებელი“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც გამოიცა

„მასწავლებელი“ ყოველკვარტალურად მხოლოდ ქართულ ენაზე გამოდიოდა. ამიერიდან ჟურნალი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც გამოვა. „მასწავლებლის“ აზერბაიჯანული ვერსიის პრეზენტაცია 18 სექტემბერს, მოლა-ოღლის საჯარო სკოლის გახსნისას გაიმართა.

ქვემო ქართლში ორი ახალი სკოლა გაიხსნა

მარნეულის რაიონის სოფელ მოლა-ოღლისა და ბოლნისის №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის გარემოში ისწავლიან.

ახალი სკოლები პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში აშენდა და აღიჭურვა.

პროგრამის ფარგლებში 2006-2007 წლებში საქართველოს მასშტაბით 478 სკოლა გარემონტდა, აშენდა – 32. 2008 წელს 219 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდა. 2011 წლისთვის საქართველოს ყველა სკოლა განახლდება.

ვიზიტი ბრიუსელში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია, ევროპელი ექსპერტებისთვის საქართველოში შექმნილი ვითარების გასაცნობად, ბრიუსელსა და სტოკჰოლმში გაემგზავრა.

8 სექტემბერს ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრში (CEPS) ერთდღიანი კონფერენცია გაიმართა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ანალიზს მიეძღვნა.

9 სექტემბერს გიორგი ნოდიამ მონაწილეობა მიიღო სტოკჰოლმში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „ვაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად“.

დევნილ სტუდენტებს სახელმწიფო სწავლის გადასახადს დაუფარავს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტუდენტთა და მეცნიერთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ვალერიან გობრონიძემ განაცხადა, რომ დაწყებულია დევნილ სტუდენტთა განცხადებების მიღება. შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოცდების ეროვნული ცენტრის სიებთან შედარების შემდეგ ოქტომბრის შუა რიცხვებში დაზუსტდება იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთაც განათლების სამინის-

ტრო დაუფინანასებს 2008-2009 სასწავლო წლის სახელმწიფო გრანტებს. ამისათვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 800 000 ლარის გამოყოფა იგეგმება. დაფინანსდება 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-4 კურსის ყველა დევნილი სტუდენტი. სამწუხაროდ, სამინისტრო ვერ აფინანსებს მაგისტრანტთა სახელმწიფო გადასახადს.

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წელს დაწყებული სოციალური დახმარებების პროექტს, ის კვლავაც გაგრძელდება. წელს ამისათვის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილია 650 000 ლარი.

სანდრა რულოვსი და სინდი მაკკეინი თბილისის №189 სკოლაში

27 აგვისტოს თბილისის №189 (ყოფილ I ექსპერიმენტულ) სკოლას ამერიკელი სენატორის რიჩარდ მაკკეინის მეუღლე სიდნი მაკკეინი და საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ესტუმრნენ. ისინი სკოლაში განთავსებული დევნილების ცხოვრების პირობებით დაინტერესდნენ.

დევნილებმა აღნიშნეს, რომ მათ დიდი დახმარება გაუწიეს საირმის ქუჩის მოსახლეებმა, სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეთა ოჯახებმა, კურსდამთავრებულებმა, აგრეთვე სხვა კერძო პირებმა და ორგანიზაციებმა. ისინი მადლობას უხდიან თითოეულ მათგანს გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

მინისტრის ვიზიტი გორში

განთლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია და მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ჩიკვაიძე გორს ეწვივნენ. მათ მოინახულეს ოკუპაციის შედეგად დაზიანებული გორის უნივერსიტეტი და ის საჯარო სკოლები, რომლებიც დაბომბვების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა, კერძოდ, გორის №7, №3 და წმინდა გიორგის სკოლა-ლიცეუმის შენობები.

გიორგი ნოდიას განცხადებით, მათი აღდგენა განაღმვითი სამუშაოების დასრულებისთანავე დაიწყება. ალექსანდრე ჩიკვაიძემ გორის უნივერსიტეტის რეაბილიტაციის გეგმა წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ამისთვის სახელმწიფომ 2 მილიონ ლარზე მეტი გამოყო.

სტუმრად კინოთეატრ „რუსთაველში“

16, 20 და 22 აგვისტოს კინოთეატრმა „რუსთაველმა“ თბილისის 35 სკოლასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასახლებულ 1200-მდე დევნილ ბავშვს უმასპინძლა. მათი ტრანსპორტირება თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურმა უზრუნველყო. აქცია ჩატარდა განათლების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით.

დევნილმა მოზარდებმა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გაიარეს

საქართველოში ესტონეთის ელჩის, თომას ჰუკის განცხადებით, მისი ქვეყანა ყველანაირად შეეცდება მხარში ამოუდგეს რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეებს.

ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით, პროფკავშირის წყნეთის სასწავლო-დასასვენებელ ბაზაზე რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულმა და იძულებით გადაადგილებულმა 50-მა მოზარდმა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გაიარა.

პოლონეთისა და უკრაინის დახმარება ქართველ დევნილებს

პოლონეთისა და უკრაინის მთავრობების მხარდაჭერით, ამ ქვეყნებში 400 დევნილი ბავშვი გაემგზავრა რეაბილიტაციისა და დასვენების მიზნით. მათ ფსიქოლოგთა ჯგუფი ახლდათ.

„დიოგენეს“ კონკურსი ისტორიის მასწავლებლებისთვის

ივლისში გამომცემლობა „დიოგენემ“, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და თბილისის პედაგოგ-ისტორიკოსთა კლუბმა „მემკვიდრემ“ წელს უკვე მეორედ ჩაატარეს კონკურსი „X და XI კლასის ისტორიის მასწავლებლები და მათი მოსწავლეები“. პირველად მსგავსი ღონისძიება 2007 წელს გაიმართა და გამარჯვებულებმა ეგვიპტეში იმოგზაურეს.

კონკურსის პირველი ტურში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეებს მცირე ისტორიული გამოკვლევა უნდა წარმოედგინათ – თხზულება, მოკლე ვიდეოფილმი, ფოტორეპორტაჟი კომენტარებით, კომპიუტერული პროექტი.

კონკურსში გამარჯვებულად დასახელდა 1 ინდივიდუალური ნაშრომი **„ქურთების ისტორია“** – ოთარ კახიძე, ლიანა გიორგაძე (თბილისის № 50 საჯარო სკოლა) და 1 ჯგუფური გამოკვლევა - **„გმირი მიტომ ვარ, თუში ვარ, ციხე ვარ ჩარდახიანი...“** – ნინო ძამუკაშვილი, ნინო ედიშერაშვილი, ია გრიშიკაშვილი, ნანა ბერელიძე (თელავის №1 საჯარო სკოლა).

გამარჯვებული მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად საბერძნეთის საგზურებით დაჯილდოვდნენ.

ომი და... სკოლები

ნინო წიკლაური, ქეთი მუჯირი

აგვისტოში თბილისის სკოლები დევნილთა თავშესაფრად იქცა. ათი აგვისტოდან დირექტორთა უმეტესობას შვებულების შეწყვეტა და სკოლებში დაბრუნება მოუხდა.

„დღეს ცამეტი აგვისტოა. დევნილების რიცხვი ყოველდღე მატულობს. ახლა 40 ოჯახი და 153 ადამიანია. 8 ორსული და ათი ბავშვი, აქედან სამი ჩვილია, 7 თვემდე. დევნილები არიან გორიდან, ბროწლეთიდან, ახალსოფლიდან, კარალეთიდან... განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი დღეები. მოსახლეობა ძალიან დაგვეხმარა, ჩვენი მოსწავლეები გვერდიდან არ მოგვშორებიან. ჩოხოსნებმა პური მოგვიტანეს. იუსტიციის სამინისტრომ, სახალხო დამცველის აპარატმა, გამგეობამ საკვები შემოგვაშველეს“, – ამბობს 123-ე სკოლის დირექტორი ნინო კვიტაიშვილი.

დევნილთა აღრიცხვა, სიების შედგენა, საკვების დანაწილება, სამედიცინო დახმარება, – სკოლებში დირექციასა და მასწავლებლებს საზრუნავი არ ელეოდათ.

ბავშვები ამბებს ყვებოდნენ:

– აივანზე ველოსიპედით დავდიოდი, მაშინ აფეთქდა ბომბი! იცი, რა ხმა ჰქონდა?!

– 4-5 დღეა წამოვედით სოფლიდან. რომ გამოვიქეცით, ჯერა გორში ვიყავით, მერე წინარეხში, ეხლა აქ ვართ... იქიდან მანქანით წამოვედით, არაფერი წამოგვიღია, გამოვიქეცით, „ვერტალიოტები“ ყრიდნენ ბომბებს და იმისი შეგვეშინდა... აეგრე, პირდაპირ ჩვენს თავზე გადაიარა... ისროდნენ... ტყვიები აეგრე გადადიოდა ცაზე. ბომბებს ისროდნენ, აფეთქებდნენ... ტყვიები დაფრინავდნენ...

სკოლას შეხიზნულნი

– მტრები რომ მოდიოდნენ, სარდაფში ჩავდიოდით, ორი დღე იქ ვიყავით; ტელევიზორი ჩავიტანეთ, ამბებს ვუსმენდით; დედა ტიროდა...

– ჩვენი სოფლები სულ დაცარიელებულია...

– მამამ თქვა, სახლებში შედიან და იქექებიანო! ჩემი პაპა და ბებო იქ არიან, არ წამოვიდნენ“...

თბილისის 161-ე საჯარო სკოლამ ორივე კორპუსში 700-ზე მეტი დევნილი მიიღო. საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და თეთრეული – ყველაფერი ჭირდა და მასწავლებლებს ბევრი რამ სახლიდან მოჰქონდათ. სკოლის დირექტორი მიხეილ მინდაძე ამბობს, რომ კვების ბლოკის აწყობა დროულად შეძლეს და დევნილები საკვებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყვნენ.

64-ე სკოლაში სექტემბრის დასაწყისისათვის სამოცამდე ოჯახი იყო დარჩენილი – ძირითადად, დიდი ლიახვის ხეობის მკვიდრნი. „თავიდან სამჯერ მეტი ვიყავით“, – ამბობს ერთ-ერთი დევნილი და იმაზე წუხს, სად გადაიყვანენ მერე.

რუსთავის 17-ე სკოლის ყველა საკლასო ოთახი გაიღო დევნილთათვის:

– სულებიღა გამოვიტანეთ, მეტი ვერაფერი, – მეუბნება ახალგაზრდა მერეთელი ქალი და სკოლის პერსონალსა და მოსახლეობას ემადლიერება, – ამათ რა აქვთ და ჩვენც რომ გვეხმარებიან, გვერიდება!

ინვენტარის ის ნაწილი, რომელიც არ სჭირდებათ, საკლასო ოთახის ერთ კუთხეში აწყვია, მხოლოდ საწოლებად, მაგიდად და სკამებად დგას რამდენიმე მერხი და სკამი.

– ყველაფერს გავუფრთხილდებით, თვალისჩინივით მოვუვლით, რომ ბავშვებმა სწავლა დაიწყონ და ჩვენ გამო ხელი არ შეეშალოთ.

სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლის შენობები ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა... დევნილები, უმეტესად, საბავშვო ბაღებში გადაიყვანეს. სკოლები კი მოსწავლეებმა აახმაურეს.

სექტემბერში თბილისის სკოლებში სწავლა თითქმის ყველაგან დაიწყო (16 სკოლის გარდა).

რა ხდება გორისა და ცხინვალის რეგიონის სკოლებში?

ანა იმნაძე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი:

„ჩვენი რესურსცენტრი 61 სკოლას კურირებს, აქედან 21 სკოლაში განახლდება სწავლა, ოთხი გაძარცულია, ათი-თორმეტი – დამწვარი და განადგურებული. რაც შეეხება სოფლებს, 31 სოფელში ვერ შევდივართ. გორში სწავლას დაიწყებს 1050 დევნილი ბავშვი. საერთოდ, ქალაქის სკოლები მაქსიმალურად დაიტვირთა".

ნანა ხუცინაშვილი, ქურთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი:

„ჩვენთან ყველა სკოლა გაძარცულია. როგორც ვიცი, რამდენიმე ნაწილობრივ დაინგრა. რაც დანგრევას გადაურჩა, რუსმა ჯარისკაცებმა საცხოვრებლად გამოიყენეს. თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში შეხიზნული ბავშვები სკოლებში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდებიან".

მიხეილ ტაბატაძე, თიღვის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი:

„ყველა სკოლა დამწვარია. იქ სწავლის დაწყების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. თბილისში მიმოფანტულ ბავშვებს სკოლაში მისაღებად საბუთები არ აქვთ. ახლა იმაზე ვზრუნავთ, დევნილი ბავშვები სკოლებში ზედმეტი გართულებების გარეშე მიიღონ. აქტიურად ვთანამშრომლობთ განათლების სამინისტროსთან".

მოთმინებით ელიან ომგამოვლილი ადამიანები სიმშვიდესა და უკეთეს მომავალს. ზოგს უკვე ნაკლებად აქვს იმედი დაბრუნების, ბევრი მასწავლებელი კი იმედოვნებს, რომ ცოტა ხანში ისევ მშობლიურ სოფელში შევა გაკვეთილზე.

■

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რამდენიმე წერილი შემოვიდა, გთავაზობთ ორ მათგანს.

120-ე საჯარო სკოლაში მცხოვრებ დევნილთა განცხადება

ამ გაჭირვების ჟამს, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას და შიდა ქართლის მოსახლეობა დევნილებად გვაქცია, გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმ კეთილ ადამიანებს, რომლებმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდეს, გვამხნევებდნენ და იზიარებდნენ ჩვენს დარდს.

120-ე საჯარო სკოლის კოლექტივს, ქალბატონ მარინა წერეთლის ხელმძღვანელობით;

სკოლასთან მცხოვრებ მოსახლეობას;

მერიის კულტურის სამსახურის 24-ე ხელოვნების სკოლას.

120-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები დევნილ ბავშვებს ავარჯიშებდნენ, ართობდენენ და ყველნაირ პირობას უქმნიდნენ იმისათვის, რომ მათ გადატანილ საშინელებაზე არ ეფიქრათ.

გორის რაიონის სოფელ ძევერის საჯარო სკოლის პედაგოგი მარიამ აკოლაშვილი, მამისაანთუბნელი ზვიად ზუბაშვილი და 120-ე სკოლის მასწავლებელი – ვაჟა პატარაშვილი უანგაროდ უძღვებოდნენ დევნილებისათვის სურსათის მოტანისა და დანაწილების პროცესს. ხშირად თვითონ საკვების გარეშე დარჩენილან, ან თავისი ულუფა სხვებისთვის გაუნაწილებიათ.

ყველა ეს ადამიანი იმსახურებს უდიდეს პატივისცემასა და მადლობას.

ხელს აწერს 39 მოქალაქე

ქ. თბილისის 208-ე საჯარო სკოლაში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება

ჩვენ, თბილისის 208 საჯარო სკოლაში მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახები დიდ მადლიერებას გამოვთქვამთ იმ გულისხმიერებისათვის, რასაც 208-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი დავით მესხორაძე, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და ადგილობრივი მაცხოვრებლები იჩენენ ჩვენ მიმართ. დიდ მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, რომლებმაც მზრუნველობა და ყურადღება არ მოგვაკლეს მძიმე მდგომარეობაში ყოფნის დროს.

ხელს აწერს 32 მოქალაქე

კონფლიქტი და განათლება

არჩილ გამზარდია

2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო გორისა და მისი მიმდებარე სოფლების, აგრეთვე ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის თბილისის სკოლები და ბაგა-ბაღები თავშესაფრად იქცა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო უწყებები, მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა.

რა გავლენა მოახდინა ომმა განათლების სისტემაზე? როგორ შეხვდნენ სასწავლო დაწესებულებები ახალ სასწავლო წელს? რა სამუშაოებია ჩასატარებელი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და განათლების სისტემის მაქსიმალურად ეფექტური მუშაობისათვის? სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობდნენ 3 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილენი. ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამ განაპირობა ჟურნალ „მასწავლებლის" მორიგი მრგვალი მაგიდის თემა: „კონფლიქტი და განათლება".

დისკუსიაში მონაწილეობდნენ:

ანა ჟვანია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

სოფო გორგოძე – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

სიმონ ჯანაშია – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი

ნოდარ სარჯველაძე – ფსიქოლოგი

ნინო ბესელია – ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განათლების პროექტის ოფიცერი

სოფო ზვიადაძე – მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პოლიტოლოგი

ელისო ჩუბინიშვილი – 161-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

თინათინ ქვრივიშვილი – ქურთას საჯარო სკოლის დირექტორი

ზვიად მიმინოშვილი – 14-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ზაზა გრიგალაშვილი – 189-ე საჯარო (I ექსპერიმენტული) სკოლის დირექტორი

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის" რედაქტორი **თინათინ მოსიაშვილი**.

– სანამ განვიხილავთ, რა უნდა გაკეთდეს საომომავლოდ, დირექტორებს გთხოვთ, ისაუბროთ იმ პრობლემების შესახებ, რომლის წინაშეც აღმოჩნდით. პირველ დღეებში ხომ სწორედ სკოლები იქცა დევნილთა თავშესაფრად.

ზაზა გრიგალაშვილი: უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან მოსული ხალხი ძალიან მძიმე სტრესის ქვეშ იმყოფებოდა. მათი მიღებისა და კომუნიკაციისათვის მომზადება იყო საჭირო. ცხადია, თავიდან პრობლემებიც გაჩნდა დევნილებსა და სკოლების ადმინისტრაციებს შორის, თუმცა სირთულეები დავძლიეთ და შემდეგ ყველაფერი თანდათან დალაგდა. ძალიან კარგად იმუშავა სკოლის თვითმმართველობამაც. რიგით მოქალაქეებს, მასწავლებლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს სახლიდან მოჰქონდათ, რაც შეეძლოთ და დევნილებს უნაწილებდნენ.

ზვიად მიმინოშვილი: ის, რაც მოხდა, საზოგადოებისთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ჩვენი სკოლაც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. 350-მდე დევნილი სკოლის არცთუ დიდ შენობაში განთავსდა. ერთი მხრივ, ვცდილობდით, გაგვეთვალისწინებინა, რომ სწავლა მალე დაიწყებოდა, მეორე მხრივ კი, გვსურდა, დევნილებისთვის ნორმალური პირობები შეგვექმნა. მნიშვნელოვანი რამ მინდა აღვნიშნო: როდესაც სკოლებში ჰუმანიტარული დახმარებები შემოდიოდა, ამ საქმის ორგანიზება დევნილმა ბავშვებმა აიღეს საკუთარ თავზე, იქნებოდა ეს ტვირთის ჩამოცლა, დანაწილება და ა.შ.

ისიც აღსანიშნავია, რომ პირველ დღეებში ბავშვების ხმაც არ ისმოდა, იმდენად დიდი

სტრესის ქვეშ იყვნენ. შემდეგ მათ ფსიქოლოგებმა ტრენინგები ჩაუტარეს და შედარებით გამოვიდნენ მდგომარეობიდან.

თინათინ ქვრივიშვილი: ალბათ გასაგებია, რომ დღეს ჩემთვის განსაკუთრებით რთულია საუბარი. ჩვენი სკოლის მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც წლევანდელი პირველი სექტემბრისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით. ახლადგარემონტებულ სკოლაში ცოდნის დღე გრანდიოზულად უნდა აღგვენიშნა. მშვიდობის სიმბოლოს – 12 მტრედის ჰაერში გაშვებასაც ვაპირებდით. თითოეული მოსწავლისთვის გამზადებული გვქონდა საჰაერო ბუშტი წარწერით: „ჩვენ მშვიდობა გვინდა“.

ვგეგმავდით, მაგრამ... ქურთაში მამის მოსაძებნად შესულმა თანასოფლელმა გვითხრა, რომ სკოლა გაპარტახებულია, დანგრეულია სპორტული დარბაზი. მთელ შენობაში დახსნილია კარფანჯარა, საკლასო ოთახები დარბეულია, სკოლის ეზოში მდებარე შენობა-ნაგებობები დამწვარია.

როგორც ვიცი, დანგრეული და გაძარცვულია სახლებიც. ჩვენმა თანასოფლელებმა ძლივს გამოასწრეს. ქალების უმრავლესობა ერთი კაბით წამოვიდა. ახლა თბილისის ერთ-ერთ ბაღში ვცხოვრობთ.

აქ ყურადღება არ მოგვკლებია. ისევ ხელისუფლების მხარში ამოდგომის იმედი გვაქვს. ყველას გვინდა, ჩვენი სკოლა აღდგეს. ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო რეგიონში. 2005 წლიდან განათლების სამინისტროს წარმომადგენლები (კერძოდ, მარინა ჟვანიას გუნდი) შემოვლითი გზებით სისტემატურად სტუმრობდნენ ჩვენს ხეობას და მათთან ერთად არაერთი კარგი საქმე გავაკეთეთ: შემოქმედებითი წრეები გაიხსნა, ბავშვები ტრადიციულ ხელსაქმეს, თანამედროვე ტექნოლოგიებს ეუფლებოდნენ.

სექტემბრიდან ახალი სასკოლო ფორმა უნდა გვქონოდა: შეკვეთილი იყო და ნაწილი – გამოტანილიც. ახლაც მირეკავენ, ფული გადახდილია და გამოვიტანოთ თუ არაო. წელს გამგეობამ

თინათინ ქვრივიშვილი და ანა ჟვანია

ანა ჟვანია, სოფო გორგოძე და სიმონ ჯანაშია

თანხა გადმოგვირიცხა. ყველა საკლასო ოთახი კაპიტალურად გავარემონტეთ. მოვაწესრიგეთ სველი წერტილები. ერთობლივი ძალებით ეზოში ჭა ამოვთხარეთ. საპირფარეშოები შენობაში გავაკეთეთ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში 15 კომპიუტერი გვედგა, შემოდგომიდან ინტერნეტიც უნდა შეგვეყვანა. ძალიან ბევრი რამე კეთდებოდა... ახლა კი სკოლა სულ გაპარტახდა. ისიც არ ვიცით, გველირსება თუ არა იქ შესვლა... ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელთან მაქვს კავშირი, ვიცი მათი ადგილსამყოფელი და მდგომარეობა. ძალიან მინდა, აქაც ერთად ვიყოთ.

– ქალბატონო ანა, რეალობა საკმაოდ მძიმეა. რას გეგმავს ამ პირობებში განათლების სამინისტრო?

ანა ჟვანია: ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციაა. ერთი მხრივ, სასურველი და საჭირო ინიციატივები ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს და მეორე მხრივ, ხარვეზებიც სათანადოდ უნდა შევაფასოთ, რათა დროულად გამოვასწოროთ. ცნობილია, რომ ზოგიერთ სკოლაში სათანადოდ არ შეხვდნენ დევნილებს, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხალხში პანიკის გავრცელებას ცდილობდნენ.

დღეისთვის დევნილები თანდათან გადიან სკოლებიდან. თბილისშიც და საქართველოს რეგიონებშიც 15 სექტემბრიდან სწავლა დაიწყება. გორის მოსახლეობა საკუთარ სახლებს უბრუნდება. დევნილთა ნაწილს უკვე შეუძლია დაბრუნება, მაგრამ ეშინია და ჯერჯერობით თავს იკავებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ეტაპზე ვერ წავლენ. ისინი დროებით უნდა დასახლდნენ და ამ თვალსაზრისით ჩვენ შემდგომ ღონისძიებებზე ვმუშაობთ. დიდი დატვირთვა მოდის ბაგა-ბაღებზე. ალბათ წელს ბევრი მათგანი ვერ შეძლებს მუშაობას.

რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს, მიმდინარე მოვლენებმა პროცესები გარკვეულწილად შეაფერხა. პრობლემური გახდა ახალი სახელ-

ელისო ჩუბინიშვილი

მძღვანელოებისა და ფორმების საკითხი. შესაბამისი ტენდერები, მართალია, უკვე ჩატარებულია, მაგრამ შემოტანის მოგვარება გართულდა. მერხების ახლი პარტიები აგვისტოში უნდა შემოსულიყო, მაგრამ, სავარაუდოდ, ნოემბრამდე ვერ შემოვა, ანუ პროცესები დასრულდება, თუმცა დაგეგმილზე უფრო გვიან.

ახლა ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

– სირთულეების მიუხედავად, სასწავლო წელი იწყება. ბატონო ნოდარ, თქვენ დევნილებთან მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვთ. რა უნდა იცოდეს და რა უნარები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, რომელიც ომგამოვლილ მოსწავლეებთან იმუშავებს?

ნოდარ სარჯველაძე: ასეთ დროს, ადამიანს ყველაზე მეტად გაურკვევლობა აგდებს პანიკაში. ამიტომ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, მოხერხდეს დევნილების ინფორმაციული უზრუნველყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ მათთან სამუშაოდ საკმარისი ფსიქოლოგები არ გვყავს. თავად პედაგოგებიც ტრავმირებული არიან და მათი გამხნევებაც საჭიროა. ჩვენი ორგანიზაცია უკვე მუშაობს დევნილ მასწავლებლებთან. უახლოეს დღეებში 40-მდე მასწავლებელი გაივლის ტრენინგს.

ელისო ჩუბინიშვილი: უნდა ითქვას ისიც, რომ ტრავმა მიიღეს არა მხოლოდ დევნილმა ბავშვებმა, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობამ, მათ შორის, მოზარდებმაც. მგონია, რომ განსაკუთრებული ყურადღება სასწავლო პროცესის წარმართვას უნდა მიექცეს. ყურადღება უნდა გადავიტანოთ მშვიდობის შენების სწავლებაზე: ვიმუშაოთ იმაზე, რომ მტრები კი არ ვეძებოთ, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობა შევძლოთ. მოსწავლეებთან ურთიერთობაში პედაგოგებმა ამაზე უნდა გააკეთონ აქცენტი.

– ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით. ახლა ისევ ფსიქოლოგებს მინდა ვკითხო: როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი? ცნობილია, რომ ქალაქში მობილიზებულია ფსიქოლოგიური სამსახურები. რამდენად საჭიროა ფსიქოლოგების ჩარევა? სასურველია თუ არა მათთან ბავშვების გაგზავნა?

ნოდარ სარჯველაძე: ფსიქოლოგებთან ბავშვის გაგზავნა არასწორი მიდგომაა, მეთოდურადაც, ფინანსურადაც, შედეგის თვალსაზრისითაც. ლიდერი ნაცნობ გარემოში უნდა შეირჩეს. ხშირ შემთხვევაში, თავად პედაგოგები ხდებიან ხოლმე ასეთი ლიდერები. მათი მეშვეობით მიმდინარეობს მოზარდზე ზემოქმედება და არა ისე, რომ ბავშვი სადმე წავიყვანოთ და ცალკე განვახორციელოთ რაიმე სპეციალური სამუშაოები.

ნინო ბესელია: მნიშვნელოვანია სკოლებში სხვადასხვა პროგრამის განხორციელება. ჩვენ გვაქვს სპეციალური სახელმძღვანელოები და ინტერაქტიური თამაშები, რომლებიც დაახლოებით 5-დან 14 წლამდე ბავშვების ჯგუფზეა გათვლილი. ამჟამად ძირითადი აქცენტი მოსახლეობის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და სამშენებლო საკითხებზე კეთდება, თუმცა სხვა პრობლემებიც არის. მტკივნეულია ბაღების საკითხიც. მშობლები განიცდიან, მათ არ იციან, სად უნდა წაიყვანონ ბავშვები.

ნინო ბესელია, ნოდარ სარჯველაძე და თინათინ მოსიაშვილი

ზვიად მიმინოშვილი და ზაზა გრიგალაშვილი

სოფო ზვიადაძე: სასურველია, მასწავლებლებმა სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლეებთან ერთად შეაფასონ სიტუაცია. მნიშვნელოვანია, როგორ დაამახსოვრდებათ მოზარდებს მიმდინარე მოვლენები. მათ არ უნდა გაუჩნდეთ „მტრის ხატი". არ უნდა დავუშვათ საკითხისადმი ცალმხრივი დამოკიდებულებაც: თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ დევნილების პრობლემაა და მხოლოდ ისინი არიან ამ მოვლენის მონაწილენი. აუცილებელია, უკეთ გაანალიზდეს, რა მოხდა...

– რამდენად აქვს დღეს ქვეყანას იმის რესურსი, რომ ომებით არ მოაგვაროს პრობლემები? გადის თუ არა ეს გზა განათლებაზე? ხომ არ არის საჭირო ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში? რა შეიძლება გაკეთდეს დამატებით?

ელისო ჩუბინიშვილი: საზოგადოება მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მსგავს პროცესებს თამამად და ჯანსაღად შეხვდეს. ჩვენ იმ გლობალური მოვლენების მონაწილეები ვართ, რაც ირგვლივ ხდება და ამიტომ პირადად მე მომხრე ვარ, საზოგადოებრივი საკითხების შესწავლაზე უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს განათლების სისტემაში.

სოფო გორგოძე: მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ჰყავდეთ ერთი-ორად უფრო აქტიური მასწავლებლები, ვიდრე მშვიდობიანობის პერიოდში ჰყავდათ. კონფლიქტის დროს სწავლის სურვილი განსაკუთრებით ქვეითდება. მასწავლებლებმა დამატებით ღონისძიებებს უნდა მიმართონ მოტივაციის ასამაღლებლად, რათა მოზარდები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში. ბავშვები საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტონ. ეს შესაძლებელია სახალისო და გამაჯანსაღებელი აქტივობებით, სპორტული შეჯიბრებებითა და შემოქმედებითი საქმიანობით.

სასურველია, მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგი ან სხვა კონკრეტული ღონისძიება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად დაიგეგმოს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ საუკეთესო მაგალითები გამოვავლინოთ და ამის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად გავავრცელოთ.

სიმონ ჯანაშია: შესაძლებელია, არსებობდეს დამატებითი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან დევნილების ინტეგრაციას საზოგადოებაში. საგანმანათლებლო სივრცეში ამის მაგალითია კლასებში ბავშვების რაოდენობრივი შეზღუდვა. ბევრი რამის გადახედვა შეიძლება, თუ სკოლის ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის. მას უფლება აქვს, დევნილებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები ისე მიიღოს, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეუშალოს. ნებისმიერ ასეთ გადაწყვეტილებას მივესალმებით.

სასურველია, ამის შესახებ ჩვენც ინფორმირებულები ვიყოთ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ეს ინიციატივები საკანონმდებლო აქტებით გავამყაროთ.

კარგი იქნება სკოლებში დამატებითი ღონისძიებების ჩატარება იმისთვის, რომ ყველა ბავშვის (და არა მხოლოდ დევნილების) ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია მოხდეს. სკოლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ პროცესებში.

საჭიროა ძალიან დიდი მუშაობა, რათა საზოგადოებას სწორი ინფორმაცია ჰქონდეს. ალბათ ბევრი ვერც კი წარმოიდგენს, რომ საქართველოში, ცხინვალს გარეთ ბევრად მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე ე.წ. „სამხრეთ ოსეთში". დღეს ყველა უნდა იყოს მობილიზებული იმისთვის, რომ რაღაც სასიკეთო გააკეთოს საკუთარი თავის, ოჯახისა და ქვეყნისთვის.

■

სოფო ზვიადაძე და ნინო ბესელია

მოსწავლეების გარეშე დარჩენილი მასწავლებელი

გულიკო მჭედლიძე

დღეს 15 სექტემბერია. ლენა შოშიტაშვილმა შვილები კი გაუშვა სკოლაში, მაგრამ თავად ვერ შევა კლასში თავის მოსწავლეებთან.

***

თბილისი. გლდანულა. 186-ე ბაგა-ბაღი. ახლა აქ ერედვის თემის სოფელ ქსუისიდან წამოსული დევნილები ცხოვრობენ.

ქსუისი პატარა ლიახვის ხეობაში, ცხინვალიდან ცხრა კილომეტრში მდებარეობს. ქართული და ოსური დასახლებებით გარშემორტყმული სოფელი 90-იანი წლებიდან 2008 წლის 7-8 აგვისტომდე მუდამ თავდაცვის რეჟიმში ცხოვრობდა.

ქსუისელი გლეხები საბავშვო ბაღის ეზოში სხედან. „თავი სიზმარში მგონია... სულ ასე უსაქმოდ უნდა ვიყოთ, კაცო? ამას არა ჯობდა მოვეკალი იმ ჭურვსა, თუ რაც იქნებოდა იმასა... ისე გამოვიქეცი, პასპორტიც არ გამხსენებია... ნეტა ცალი თვალით ჩამახედა ახლა იქა“, – ამბობს ერთი. მეორე კი: „მაშინდელი არეულობის დროს ჩვენ და სათიხარი (უახლოესი ოსური სოფელი) ერთმანეთს ვინახავდით. იარაღი გვქონდა ორივე მხარეს და შეთანხმებული ვიყავით ერთმანეთის მხარეს არ გვესროლა. ისინი ჩვენ გვიფრთხილდებოდნენ და ჩვენ — იმათ. ასე მოვედით აქამდე... ახლა კი რა გამოვიდა? ის, რასაც ამდენი ხანი ვუფრთხილდებოდით და ველოლიავებოდით ორივე მხარე, რუსმა ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა... ახლა სოფელი აღარ არსებობს. ზუსტად ვიცით, რომ ის, რაც ჭურვებს გადაურჩა, დაწვეს... იქ რამდენიმე ადამიანია დარჩენილი და იმათგან ვიცით: „ბულდოზერები“ შეუყვანიათ და დამწვარ კედლებს და ბაღებს მიწასთან ასწორებენ. როგორც ჩანს, მთლიანად შლიან იქ ჩვენს კვალს... სათქმელად რა ადვილი ყოფილა... ღმერთმა იცის, დავბრუნდებით კი როდისმე ჩვენს მიწა-წყალზე?“

– მასწავლებლები თუ ცხოვრობენ თქვენთან? – ვეკითხები. სკოლის თითქმის ყველა პედაგოგი აქ ყოფილა. გოგონებმა ერთ ოთახამდე მიმაცილეს. შუა ხნის ქალბატონი მასწავლებელი აღმოჩნდა. „ახლა ყველანი ერთნაირად ცუდ დღეში ვართ, მაგრამ თუ მაინცდამაინც მასწავლებელს ეძებთ, ლენა ნამდვილად გამოგადგებათ. ესაუბრეთ და რომ მოგიყვებათ თავის ამბებს, მერე მიხვდებით, რატომაც“.

ლენა შოშიტაშვილი აქვე, ქვედა სართულზე ცხოვრობს ოჯახთან – დედასთან, მეუღლესა და ოთხ შვილთან ერთად. სახელდახელო სუფრა გააწყო ჩაით და ამერიკული ორცხობილათი.

„ქსუისში დავიბადე და ახლაც ოჯახთან ერთად ქსუისში ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე თბილისელია. რომ დავქორწინდით, თბილისში ვცხოვრობდით. უფროსი გოგონებიც თბილისში დაიბადნენ. თამარი 16 წლისაა, გვანცა 15-ის, ნიკა 8-ის, მარიამი კი – 4 წლის.

ძმა დამეღუპა და დედა მარტო დარჩა სოფელში. თან ცხოვრებაც აირია მაშინ. ასეთ მდგომარეობაში დედას ხომ ვერ მივატოვებდი? გადაწყვეტილება მე მივიღე და მეუღლეც დამეთანხმა. თავიდან ძალიან გაუჭირდა, მაგრამ თანდათან მოვერგეთ სოფელს“...

პედაგოგიური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, სამსახურს დიდხანს ეძებდა. გორის რაიონის განათლების განყოფილება ბევრჯერ შეაწუხა, მაგრამ ადგილი არსად იყო. მიუხედავად იმისა, რომ მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა, ძალიან უნდოდა სკოლაში მუშაობა.

„ჭვე, მეზობლად, პატარა სოფელ ჭარებში დაწყებითი სკოლა იყო. იქაური მასწავლებელი, როგორც მერე გაიგო, ოსებს შეევიწროებინათ და წასულიყო. სამსახურიც, დაწყებითი კლასების პედაგოგის ადგილი, 4 წლის წინ, სწორედ აქ შესთავაზეს.

„თავიდან ცოტა შემეშინდა — ქსუისიდან ჭარებამდე ხუთი კილომეტრია და ტრანსპორტიც იშვიათად მოძრაობს. ამას გარდა, გზად ოსური სოფელი უნდა გამევლო, სათიხარი. თან არც მე ვიყავი დაზღვეული მსგავსი შევიწროე-

ბისგან....მანამდე ჭარებში გავლითაც არ ვიყავი ნამყოფი, მაგრამ სკოლაში მუშაობა ძალიან მინდოდა და შემოთავაზებას დავთანხმდი. დედა და მეუღლე ყველანაირად ხელს მიწყობდნენ, თორემ ოთხი შვილის დედა მეზობელ სოფელში მასწავლებლობას ნამდვილად ვერ შევძლებდი. ჩემი უმცროსი გოგონა მაშინ ოთხი თვის იყო.

ოთხი წელი ჭარებში ვიმუშავე. დილით გორიდან მიმავალ სოფლის ავტობუსს მივყვებოდი ხოლმე, გაკვეთილების შემდეგ კი, ძირითადად, ფეხით ვბრუნდებოდი შინ. ავტობუსით ქართველებიც და ოსებიც ერთნაირად ვსარგებლობდით და უხერხულობას არასდროს ვგრძნობდი. არც ფეხით მიმავალს შემქმნია პრობლემა სათიხარის გავლისას. პატივს მცემდნენ. ყველამ იცოდა, რომ მასწავლებელი ვიყავი. თუმცა ამ სიმშვიდეში რაღაცნაირი დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა".

ერთ გზაზე განლაგებული ხუთიოდე კილომეტრით დაშორებული ქართული და ოსური სოფლები დროის სხვადასხვა სარტყელში იყვნენ მოქცეული. ქსუისი და ჭარები თბილისის დროით ცხოვრობდნენ, სათიხარი კი – მოსკოვის დროით. ქსუისსა და ჭარებში ქართული ფულით ვაჭრობდნენ, სათიხარში – რუბლით.

„ჭარები მთის პატარა და ღარიბი სოფელია, მდინარე ჭარებულასთან, სულ 34 რეგისტრირებული მოსახლით. ხალხი აქ, ძირითადად, მესაქონლეობითა და შეშის დამზადებით ირჩენდნენ თავს. ცხოვრება იოლი ისედაც არ იყო, ბოლო დროს კი მთლად აუტანელი გახდა.

ბოლო წლებში ბევრმა დატოვა სოფელი, რადგან ცხოვრება მხოლოდ ძნელი კი არა, სახიფათოც გახდა. სამწუხაროდ, ახლა ჭარებს არავინ ახსენებს, თითქოს არც არსებობდეს. არადა, ბოლო ქართული სოფელია ამ ხეობაში, რომელსაც ქართველები აკონტროლებდნენ".

პირველიდან მეოთხე კლასამდე ბავშვები ჭარებში სწავლობდნენ, მეოთხედან კი – უკვე ქსუისის სკოლაში აგრძელებდნენ სწავლას.

„სკოლაში მე ერთადერთი თანამშრომელი ვიყავი. წელს სულ სამი მოსწავლე მყავდა. ორი პირველკლასელი და ერთიც – მესამეკლასელი. ხანდახან, დილაობით, სათიხარის თავში ჩამოდიოდნენ და იქ მელოდებოდნენ. უფროსებიც სკოლასთან იკრიბებოდნენ და გაკვეთილების დამთავრების მერე ახალ ამბებს ვუყვებოდით ერთმანეთს. სკოლა ერთადერთი ნათელი წერტილი იყო სოფელში. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ჭარებელები. მინისძვრის შემდეგ სკოლა, სამაჩაბლოს ბევრი სკოლის მსგავსად, ვაგონში იყო განთავსებული. ორი წლის წინ განათლების სამინისტრომ ხის ორსართულიანი შენობა აგვიშენა. ვაგონიდან ვუყურებდით,

ლენა მასწავლებელი მოსწავლეებს ბაღშიც პოულობს

როგორ შენდებოდა ახალი სკოლა. 50 ბავშვზე იყო გათვლილი. ფოტოებიც მქონდა, მაგრამ იქ დამრჩა... როგორც ვიცი, ასეთი ტიპის სულ ათი სკოლა აშენდა საქართველოში, მათ შორის ერთი – შატილში. ზამთარში შეშით ვთბებოდით – მშობლები არ გვაკლებდნენ.

დაძაბული სიტუაცია იყო, მაგრამ არასოდეს დამიკარგავს იმედი. არ დამიჯერებთ, მაგრამ ახლაც არ ვკარგავ იმედს. რწმენა გადაგვარჩენს. სად დავუშვით შეცდომა, ახლა ძნელი სათქმელია. ამას დრო გვიჩვენებს.

იმაზე დიდი უბედურება არ არსებობს, ომში რომ მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებიან და ბავშვების თვალებში შიში ჩნდება. აბა, დაფიქრდით, რა ხდებოდა ამ პაწაწინა თავებში, როცა თვითმფრინავი ბომბავდა მათ სახლებს, ან ხელში აყვანილებს რომ მოარბენინებდნენ უფროსები, ზოგს დღისით, ზოგსაც ღამით და მალულად... იცით, ბავშვები ახლა რაზე ლაპარაკობენ? – პოლიტიკაზე, როკის გვირაბზე, პუტინზე, თვითმფრინავებზე, ჰუმანიტარულ დახმარებაზე...

ჩემი მოსწავლეები ავჭალაში ყოფილან. დამასწრეს და თვითონ მომიკითხეს. ღვთის მადლით, ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან.

ახლა მთავარი ესაა. დანარჩენს ეშველება. ღია ცის ქვეშ არ დავრჩით და ჩვენს შვილებს ლუკმაც აქვთ. ღვთის წყალობაა, კეთილი ადამიანები რომ არსებობენ ირგვლივ".

ლენა ამ ბაგა-ბაღში ჩასახლებულმა დევნილებმა ლიდერად აირჩიეს. ის ბაღის ხელმძღვანელებს მხარში უდგას თანასოფლელების დახმარების ორგანიზებაში. პირველ რიგში, ლეიბები აქვს მოსაძებნი, დანარჩენი კი – თანდათან გამოჩნდება.

■

როგორ დავეხმაროთ ომგამოვლილ მოზარდებს

შორენა ბურდილაძე

ამ სასწავლო წლიდან ბევრ პედაგოგს ახალი საზრუნავი და პასუხისმგებლობა დაემატება – მათ აგვისტოს მოვლენების მომსწრე, ომგამოვლილ ბავშვებთან მოუწევთ შეხვედრა. სტრესულ სიტუაციაში აღმოჩნდა თითქმის ყველა მოზარდი, მიუხედავად იმისა, უშუალოდ გახდა დაბომბვისა და დევნის მომსწრე, თუ ტელევიზორიდან შეიტყო ეს ამბები.

იმ ბავშვებს, რომლებიც დაბომბვის საზარელი შედეგების, გადამწვარი სახლ-კარისა თუ დაღუპული ოჯახის წევრების საშინელი მოგონებებით ცხოვრობენ, პროფესიონალ ფსიქოლოგებზე მეტად მშობლებისა და მასწავლებლების მზრუნველობა სჭირდებათ.

ბუნებრივია, თავადაც სტრესგამოვლილი მასწავლებლებისთვის იოლი არ იქნება ტრავმირებულ ბავშვებთან ურთიერთობა, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ზომიერებას მოითხოვს.

რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი, რომელსაც ამ მოზარდებთან მოუწევს მუშაობა? რა უნდა იცოდეს და რომელ პრობლემებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება? – პედაგოგებს რჩევებს სთავაზობენ ფსიქოლოგები.

ნინო მახაშვილი, *ფსიქიატრი, ქართული ფსიქოტრავმის საზოგადოების წარმომადგენელი:*

„პირველ რიგში, მასწავლებლები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ბავშვებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ საომარი მოქმედებებისა და დევნილობის შედეგად ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს, ხშირად უცნაური, არაადეკვატური ქცევები ახასიათებთ. მასწავლებელმა ეს მკაცრად არ უნდა შეაფასოს. მით უმეტეს, არ უნდა მიაკეროს მას იარლიყი: „გაგიჟდა", „ჭკუაზე შეიშალა" და ასე შემდეგ, რადგან ეს ფსიქიკური აშლილობის კი არა, მიღებული ტრავმის შედეგია.

ტრავმულ სიმპტომებში იგულისხმება ბავშვის მომატებული აგრესიულობა, შიშის განცდა, დუმილი. ამ დროს მოზარდები აგრესიულ თამაშებს მიმართავენ, სასტიკად სცემენ თანატოლებს. ეს სწორედ იმ საშინელი პერიოდის გამოძახილია, რომელიც მათ ცოტა ხნის წინ გადაიტანეს. ამას პედაგოგი გაგებით უნდა მოეკიდოს და ბავშვის დასჯის ან მისი საჯაროდ გაკრიტიკებისგან თავი შეიკავოს. სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში, უცნაური სიმპტომები დროთა განმავლობაში გაივლის და უკვალოდ გაქრება.

ადამიანის ფსიქიკას გამძლეობა და ტრავმებთან გამკლავების უნარი აქვს. ჩვენი ფსიქიკა იმდენად მოქნილია, რომ შეუძლია, ძლიერი დარტყმები გადახარშოს და გადაიტანოს, თუმცა, თუ მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლე საკმაოდ შემაშფოთებელი ხასიათის სიმპტომებს ავლენს, ბავშვი სპეციალისტთან უნდა გაგზავნოს. ამისთვის საჭიროა, პედაგოგებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათ რაიონში არსებული ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურების შესახებ.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები უფრო მგრძნობიარენი გახდნენ ბავშვების პრობლემების მიმართ. პედაგოგებისთვის აუცილებელია, ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, რათა კონფლიქტის შემთხვევაში, იცოდეს, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს პრობლემის მოგვარებაში.

ამიტომ პედაგოგებსაც სჭირდებათ ფსიქოლოგებთან შესაბამისი სატრენინგო კურსის გავლა. მუშაობის პროცესში ვცდილობთ, შევახსენოთ მათ ცხოვრებისეული ტრავმები და ისიც, თუ როგორ დააღწიეს თავი, რას განიცდიდნენ მაშინ, რამდენად ესმოდათ სხვებს მათი, როგორ იტანჯებოდნენ. ამ განცდების გახსენებით მასწავლებელს საშუალება ეძლევა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლის თვალით შეხედოს რეალობას, უკეთ გაუგოს მას.

პედაგოგმა, რომელმაც უკვე იცის ტრავმის სპეციფიკა, უნდა მოახერხოს, რომ კლასში უსაფრთხოებისა და დაცულობის ატმოსფერო შექმნას. კონფლიქტის შემდეგ ადამიანები უსაფრთხოების ბაზისურ განცდას კარგავენ, ამიტომაც ბავშვებს ამ განცდისა და სამყარო-

სადმი ნდობის აღდგენა სჭირდებათ. კლასში შესვლისთანავე მოსწავლემ თავი უსაფრთხო გარემოში უნდა იგრძნოს. მოზარდებს შორის პრობლემების ურთიერთგაზიარება და თანაგრძნობის გამოხატვა სწორედ ასეთი ატმოსფეროს შექნას შეუწობს ხელს.

და ბოლოს, მასწავლებელი ასევე გაგებით უნდა მოეკიდოს ბავშვის სწავლის უნარის დაქვეითებას. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლეებისთვის პირველ ეტაპზე ძალიან რთულია სწავლა, რადგან მათი ენერგია, ძირითადად, ემოციების დასარეგულირებლად იხარჯება. ემოციების მართვა იმხელა ენერგიას ითხოვს, რომ ამ დროს სასწავლო პროგრამის ათვისებაზე საუბარი ნაადრევია. ტრავმა, როგორც წესი, მეხსიერების დაქვეითებას იწვევს. გონება გადატვირთულია საშინელი მოგონებებით, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, ფრიადოსანი მოსწავლე საგრძნობლად ჩამორჩეს სწავლაში. თავის მხრივ, პედაგოგმა სჯობს, მეტი ყურადღება დაუთმოს მოსწავლის ემოციურ რეაბილიტაციას, ვიდრე მის აკადემიურ მოსწრებას. სწავლის უნარი კი თანდათან აღდგება".

ნანა აღაპიშვილი, *ფსიქოლოგი, საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობა":*

„კარგი იქნება, თუ მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ან მის შემდეგ გარკვეულ დროს პრობლემაზე საუბარს დაუთმობენ. კლასში უნდა ილაპარაკონ იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ მოსწავლეები გადატანილი უბედურების შემდეგ. ბავშვმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი ემოციები, რათა მათთან გამკლავება შეძლოს. როცა მასწავლებელი მოზარდს ამ ემოციების გამოხატვაში ეხმარება, ამით პრობლემის მოგვარებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს.

გარდა ამისა, ყველა პედაგოგმა უნდა იცოდეს, რა რეაქციები ახასიათებთ ბავშვებს ტრავმული შემთხვევების შემდეგ. საუბარია როგორც ემოციურ, ასევე ფიზიკურ რეაქციებზე. შესაძლოა, ბავშვს არ ჰქონდეს თანატოლებთან ურთიერთობის სურვილი, გაუფუჭდეს დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, დაეკარგოს რწმენა უფროსების მიმართ. მოსალოდნელია ბავშვის ზედმეტად გააქტიურება, აგრესიის მომატება, ფიზიკური რეაქციებიდან – თავის, მუცლის ან კუნთების უმიზეზო ტკივილი. პირველ ეტაპზე ასეთი რეაქციები ნორმალურია და განსაკუთრებული შეშფოთება და განგაშის ატეხა არ ღირს. თუმცა უნდა მივაქციოთ ყურადღება, რამდენი ხნის განმავლობაში და რა ინტენსივობით გრძელდება ეს რეაქციები.

საერთოდ, ტრავმული შემთხვევების დროს, ერთი თვის მანძილზე გამოხატულ რეაქციებს მხოლოდ თვალს ვადევნებთ და არ ვერევით. ამას ბუნებრივ რეაქციებად მივიჩნევთ. მომდევნო თვის განმავლობაში სიმპტომებს ყურადღებით ვსწავლობთ და თუ გაგრძელდა, უკვე სპეციალისტის ჩარევას მივიჩნევთ საჭიროდ. ანუ ტრავმული შემთხვევიდან ორი თვის შემდეგ, თუ ტრავმული რეაქციები შენარჩუნებულია, ეს უკვე შეშფოთების საფუძველს ქმნის და მასწავლებელმა ბავშვი სპეციალისტთან უნდა გაგზავნოს.

სახიფათო სიმპტომებად შესაძლოა მივიჩნიოთ ის გარემოება, როცა მოზარდი მუდმივად თავს არიდებს ამ საკითხზე საუბარს, ან საერთოდ არ სურს არავისთან ურთიერთობა. ყურადსაღები სიმპტომია რეაქციები ე.წ. ტრავმის შემახსენებლებზე – როცა ბავშვს გარკვეული გარემოებები, ხმაური, ადამიანები, შესაძლოა სუნიც, გადატანილ უბედურებას ახსენებს. ამ დროს მას იგივე რეაქცია აქვს, რაც მაშინ, როცა საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. თითქოს ის კრიზისული ვითარება კვლავ მეორდება.

თუ მოზარდს ორ თვეზე მეტ ხანს აწუხებს კოშმარული სიზმრები, რომელთა შინაარსი ასევე უკავშირდება საომარი მოქმედებების პერიოდს, უმჯობესი იქნება, უფროსებმა სპეციალისტს მიმართონ.

საერთოდ, მასწავლებლებს დაკვირვება და ზომიერება მართებთ".

ჯანა ჯავახიშვილი, *ფსიქოლოგი, ქართული ფსიქოტრავმის საზოგადოება:*

„აუცილებელ პირობად მიმაჩნია მასწავლებლის განათლება ტრავმის ფსიქოლოგიაში. პედაგოგი აუცილებლად უნდა დაეუფლოს ელემენტარულ ცოდნას. აქ, პირველ რიგში, ტრავმული სიმპტომატიკის ამოცნობა იგულისხმება, ხოლო სიმპტომების დროში გახანგრძლივების შემთხვევაში – სპეციალისტთან კონსულტაცია. განათლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებლის მშობელთან კონტაქტი და მისთვის ცოდნის გაზიარება. მოსალოდნელი რეაქციების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს მშობელიც, რადგან მის დამოკიდებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოზარდისთვის.

ყურადღებას გავამახვილებდი ტრავმულ თამაშებზე, რომლებსაც განმეორებითი ხასიათი აქვს. განმეორებადი ქცევა ბავშვს ამ ტრავმის „გადახარშვაში" ეხმარება. მსგავს თამაშებს დადებითი ემოციები არ ახლავს. სწორედ ეს განასხვავებს მას ჩვეულებრივი თამაშებისგან. მაგალითისთვის გეტყვით, რომ დევნილი ბავშვების ერთ ნაწილს მობილურ ტელეფონში ომის კადრები აქვს ჩაწერილი, რომლებსაც ისინი განუწყვეტლივ ათვალიერებენ და ერთმანეთსაც უჩვენებენ. ამ **შემთხვევაში, მშობელი**

და მასწავლებელი უნდა ეცადონ, მოზარდებს პოზიტიური ემოციების გამომწვევი თამაშებისკენ უბიძგონ.

გარდა ამისა, სკოლებში, სადაც დევნილი ბავშვები ადგილობრივ თანატოლებთან ერთად აღმოჩნდებიან, მასწავლებელმა არ უნდა დაუშვას, რომ მათ დანარჩენი მოსწავლეებისგან გამორჩეულად იგრძნონ თავი. საჭიროა მაქსიმალური ინტეგრაცია. არ არის სასურველი ბავშვმა შენიშნოს, რომ მის განცდებსა და ემოციებს ეჭვის თვალით უყურებენ, ან მიზანმიმართულად აკვირდებიან.

ვფიქრობ, კარგი იქნება შეიქმნას შერეული კლასები და არა ცალკე ცვლა დევნილებისთვის. კიდევ ერთ გარემოებაზე გავამახვილებდი ყურადღებას: ამ ბავშვების მისამართით ნუ ვიხმართ სიტყვებს: „დევნილი“ ან „ლტოლვილი“. ეს მათზე საკმაოდ გამაღიზიანებლად მოქმედებს.

***

ფსიქოლოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სატრენინგო კურსი, რომელიც მასწავლებლებს ტრავმირებულ ბავშვებთან ურთიერთობას გაუადვილებს, სასურველია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით განხორციელდეს. სპეციალისტების აზრით, შესაძლოა, მასწავლებლებისთვის ერთი კურსი საკმარისი არ აღმოჩნდეს და მათთან ფსიქოლოგების ხანგრძლივი თანამშრომლობა გახდეს საჭირო.

სანამ ტრენინგების ორგანიზების საკითხი გადაწყდება, პედაგოგებმა იმ რჩევებით უნდა იხელმძღვანელონ, რომლებსაც სპეციალისტები გვთავაზობენ. იმედია, მასწავლებლების თბილი დამოკიდებულებისა და თანადგომის წყალობით, ომგამოვლილი მოზარდები ხალისით გააგრძელებენ ცხოვრებას.

აქვე გთავაზობთ იმ სამსახურების (და ცხელი ხაზების) ნომრებს, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უფასო ფსიქოლოგიურ კონსულტაციას გაუწევენ.

■

ორგანიზაცია	დახმარების სახე	მისამართი	ტელეფონის ნომერი
კრიზისული დახმარების ცენტრი - ნდობა	ფსიქოლოგიური დახმარება	წინამძღვრიშვილის 102	92-10-00
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი	ბავშვების და მათი მშობლების ფსიქოლოგიური დახმარება	ყაზბეგის გამზირი 34, ნაკვეთი 19, ბინა 1	42-14-22
საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში	ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დახმარება	ყიფშიძის ქ. №49 ა	23-53-14; 21-40-06; 21-40-08
ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“	ფსიქოლოგიური დახმარება	ინგოროყვას ქ. №26	98-90-80
გოცირიძის სახ. თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური დახმარება დევნილებისა და ჯარისკაცებისთვის (10:00 - 16:00სთ)	კალისტრატე ქუთათელაძის 3	39-66-65
პარტნიორები – საქართველო	ფსიქოლოგიური დახმარება	ფალიაშვილის ქ. №11 ბ	31-15-10; 91-54-52; 91-54-51
ახალი გზა	ფსიქოლოგიური დახმარება	ვაჟა-ფშაველას ქ. №6	91-17-01
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი	ფსიქოლოგიური დახმარება	ანტონოვსკაიას 9	50-60-64; 38-89-34
ფსიქიატრიული საავადმყოფო	ფსიქიატრის სატელეფონო კონსულტაცია, წამლების უფასოდ გაცემა	ასათიანის ქ.10	39-48-01; 39-11-98

ვისწავლოთ ისტორია ისტორიის გაკვეთილებიდან

ნინო წიკლაური

ახალ სასწავლო წელს მასწავლებლები ალბათ გვერდს ვერ აუვლიან გადატანილ ომს და მოსწავლეებთან ერთად გაიხსენებენ, გაანალიზებენ, შეაფასებენ აგვისტოს შემზარავ დღეებს. ისტორიის გაკვეთილები ყველაზე შესაფერისი დრო და ადგილი იქნება ამ თემაზე სასაუბროდ. ისტორიის მასწავლებელსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება – მნიშვნელოვანია, როგორ მიმართულებას მისცემს ახალგაზრდებთან საუბარს, რა პერსპექტივით დაანახებს მოზარდებს წარსულსა თუ დღევანდელობას.

ნოდარ შოშიტაიშვილი, ისტორიკოსი:

„ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება ყველა იმ ხელშეკრულების განხილვა, რაც საქართველო-რუსეთს შორის ოდესმე არსებულა. მოსწავლეებთან ერთად გადავავლებთ თვალს, რომელიმე მაინც თუ შესრულებულა ამ ხნის მანძილზე. ყველაზე გაუგონარი ღალატი კი გეორგიევსკის ტრაქტატია. ამაზე აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება.

საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი დღევანდელობას ეხმიანება. მოსწავლემ უნდა გაიგოს, რაც ხდება – მომავალი თაობა შეცდომაში აღარ უნდა შევიყვანოთ.

საერთოდ, ყოფით ურთიერთობაში ორივე ერი ყოველთვის ახლოს ვიყავით. არის მშვენიერი რუსული კლასიკა: ლიტერატურა, მუსიკა... ბევრი ლამაზი რამის დანახვა შეიძლება და ამით შეგვიძლია ავიცილოთ ეთნოსტერეოტიპების პრობლემა“.

გიორგი ხატიაშვილი, ყვარლის რაიონის სოფ. თივის საჯარო სკოლის დირექტორი:

„ჩვენს სკოლაში ორი სექტორია – ქართული და რუსული. რა თქმა უნდა, სწავლა რომ დაიწყება, ვისაუბრებთ აგვისტოს მოვლენებზე... ჩემი აზრით, მთავარია, ბავშვებს „მტრის ხატი“ არ ჩამოუყალიბდეთ. გავიხსენებთ ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობას, განვიხილავთ კონფლიქტის მიზეზებს და საერთოდ, შევეცდებით, ერისადმი დამოკიდებულება გავმიჯნოთ პოლიტიკისგან“.

მანიუან კასრაძე, სოფ. ქურთას საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი:

„ომი ომია. მას თავისი მიზეზები და შედეგები აქვს. საჭიროა, გავაანალიზოთ, შეიძლებოდა თუ არა, თავიდან აგვეცილებინა იგი. ჩვენმა ხეობამ განსაკუთრებით მტკივნეულად განიცადა აგვისტოს მოვლენები და ამ თვალსაზრისითაც საინტერესო იქნება ისტორიის გაკვეთილები. მეტიც, მე ვფიქრობ, საგანგებო გაკვეთილებიც კი უნდა დაეთმოს ამ საკითხების განხილვას. მართალია, დიდი ძალისხმევა დამჭირდება, ობიექტურად წარვმართო დისკუსიები, მაგრამ სიმართლე აუცილებლად უნდა ვთქვათ და მოსწავლეებსაც მივცეთ ამის საშუალება“.

მზია გელაშვილი, ისტორიკოსი, თბილისის 45-ე სკოლის დირექტორი:

„საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი პროგრამა და სტანდარტი ნათლად იძლევა პასუხს კითხვაზე: რატომ ვასწავლით ისტორიას? მოსაწონია ის, რომ დღეს საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარებისა და ცვლილებების კონტექსტში ისწავლება, თან ისე, რომ ეს ყველაფერი ლოგიკურ კავშირშია თანამედროვეობასთან. ამის აუცილებლობა დღეს მთელი სიმწვავით დადგა იმ მოვლენების ფონზე, რომლებიც კავკასიაში განვითარდა.

კარგი სახელმძღვანელოების დაწერა არ არის მარტივი. დიდი სიფრთხილე და მრავალი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო. ფაქტია, ჩვენი მეზობლები სხვაგან წასვლას არ აპირებენ. უნდა ვისწავლოთ კეთილმეზობლური, ცივილური თანაცხოვრება. „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი შემთხვევით არ უსვამს ხაზს ქართველების ნათესაობის იდეას კავკასიაში მცხოვრებ მეზობელ ხალხებთან. მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითები მრავლადაა ჩვენს წარსულში, ეს კი თანამედროვე ცივილური ურთიერთობების განვითარებაში უნდა დაგვეხმაროს.

შახსენდება ნორვეგიელი კოლეგის პასუხი, როდესაც ვკითხე: „რას ასწავლით ისტორიაში ბავშვებს?“ მიპასუხა: „ევროპის ისტორიას, ოღონდ იმდენს და ისე, რაც ჩვენი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის არის საჭირო და მნიშვნელოვანი“. დღეს საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე უფრო მეტად მენიშნა ეს პასუხი. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რატომ ვასწავლით ისტორიას და რაც მთავარია, როგორ წაადგება მისი სწავლება ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის **განვითარებას**“.

ელისო ჩუბინიშვილი, თბილისის 161-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი:

„ჩვენი მოსწავლეები ძალიან მალე გახდებიან საზოგადოების აქტიური წევრები, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ და შესაბამისად, პასუხისმგებლები იქნებიან იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეც, რომლებსაც ხელისუფლება მიიღებს. წარსულში გეოპოლიტიკური პრობლემების მართებულად ან მცდარად გადაჭრის მაგალითების შესწავლა ახალგაზრდებს დაეხმარება, თანამედროვე ვითარებაში სწორი ორიენტირების განსაზღვრა შეძლონ. სწორი ორიენტირი კი ცივილური ურთიერთობები და აზროვნების თანამედროვე წესია. დღეს ომითა და ძალადობით ადგილის დამკვიდრება პრობლემების გადაჭრის „გუშინდელი დღეა". ალბათ ამიტომაც აირჩია თანამედროვე მსოფლიომ პრობლემის მოგვარების გზად ჩვენი დახმარება და არა რუსეთის „დასჯა".

წარსულის დაბრუნების მცდელობა დამარცხებისთვის განწირული საქმეა. ჩემი აზრით, ისტორიის ცოდნა სიახლისკენ სწრაფვას უწყობს ხელს. მხოლოდ ასე შეიძლება რეალური წარმატების მოპოვება და ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ახალგაზრდებს ეკუთვნით".

მიხეილ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი:

„ისტორია უნდა ასწავლო ისეთი, როგორიც არის. კარგად რომ გვესწავლა, ასე ძალიან აღარ გაგვიჭირდებოდა... საერთოდ, ისტორია, მოვლენები სპირალურად ვითარდება. დროა, ვიცნობდეთ მეზობელს, რომელიც არასოდეს ასრულებდა სიტყვას. თუ კაცს მოეთხოვება სიტყვის შესრულება, ასევეა სახელმწიფოს შემთხვევაშიც. მთავარი მაინც ერთია: ვისწავლოთ ისტორია ისტორიის გაკვეთილებზე.

რაც შეეხება ხალხსა და სტერეოტიპებს, ამ პრობლემას ვერ გავექცევით. ერთია მენტალიტეტის საკითხი – ორივე ერის შემთხვევაში, უნდა ითქვას ის, რაც არის. მაგალითად: რუსეთი ყოველთვის იყო ე.წ. „დერჟავას" მოყვარული და სხვისი ტერიტორიების ფლობის სურვილი ამოძრავებდა. ასევე, ჩვენ სხვისი, უმეტესად, ევროპის დახმარების იმედად დარჩენას ვირჩევთ. ამ დროს კი ისევ გვავიწყდება სულხან-საბა ორბელიანი და უფრო გვიანდელი მაგალითებიც... რატომღაც დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს საქმეს სხვები გააკეთებენ იმიტომ, რომ ძალიან ლამაზები და ნიჭიერები ვართ და მთელი ევროპა ფეხზე დადგება... ეს ასე არ არის და ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ!"

ისტორიის ფურცელი

ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს დღევანდელი კონფლიქტი „ისტორიის გაკვეთილია" არა მხოლოდ ჩვენთვის, ამ კონფლიქტის უშუალო მონაწილეებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. იმედია, რომ სკოლებში, ისტორიის მომავალი გაკვეთილები ამ გამოცდილების შესაფერის ანალიზსაც დაეთმობა. მოქალაქეებში ისტორიული მეხსიერების სწორად ფორმირებას ხომ პირველ რიგში ისტორიის გაკვეთილები უნდა უწყობდეს ხელს. მათთვის, ვინც კარგად იცის საქართველოს ისტორია, დღევანდელი მოვლენები ბევრად უფრო გასაგები და ლოგიკურია, ვიდრე მათთვის, ვინც წარსულ გამოცდილებას თეორიულადაც არ იცნობს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ საქართველოს დღევანდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსხვავდება და მსოფლიოსთვის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი აღარ არის ლოკალური პრობლემა კავკასიაში. მსოფლიოს ეს პოზიცია შესაძლოა სწორედ ჯანსაღი ისტორიული მეხსიერებითაა განპირობებული.

წარსული გამოცდილების მომავალში გათვალისწინება, პირველ რიგში, პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების ვალია, მაგრამ მათი პირველი ისტორიის გაკვეთილებიც ხომ სკოლიდან იწყება.

ამჯერად, სწორედ „ისტორიული მეხსიერებიდან" გთავაზობთ, როგორც უფრო ახლო წარსულში, ასევე საუკუნის წინანდელ მედიაში დაფიქსირებულ ზოგიერთ კომენტარსა და ფაქტს შესაბამისი პერიოდის ისტორიული მოვლენების შესახებ.

„ჟენევაში ამჟამად მყოფი სპეციალური დელეგაცია გადმოგვცემს, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ამბოხებამ უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო კავკასიაში... ქუთაისში შეიქმნა საქართველოს დროებითი მთავრობა და საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა.

აქ ეს მოძრაობა არ განიხილება, როგორც უბრალო აჯანყება. მასში საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ხედავენ. ბატონმა ჟორდანიამ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მოწოდებით მიმართა ლიგას და მისი ქვეყნის ძალისხმევას თანაგრძნობით გამოეხმაურა ასამბლეის წევრი, ბატონი პოლ ბონკური. მაგრამ ყველა აცნობიერებს, რომ ლიგას არ ძალუძს მატერიალური დახმარების გაწევა, ხოლო მორალური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება სერიოზული ძალა იყოს ცივილიზებული ქვეყნებისთვის, სავარაუდოდ, არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს საბჭოთა რუსეთზე."



საყოველთაო ამბოხება
The Times, September 16, 1924

„როცა თებერვლის დამდეგს მაჰმადიანები და სომხები ერთმანეთს დაერივნენ და ბაქოს ქუჩები თავიანთი სისხლით შეღებეს, რუსეთის რეაქციონურმა პრესამაც ხმა ამოიღო და ორიოდე სიტყვა წამოისროლა იმის შესახებ, რომ კაცის კვლა ცოდვაა და ამიტომ კარგი იქნება, სომხებმა და მაჰმადიანებმა ერთმანეთის ულეტაზე ხელი აიღონო... რადიკალურმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია კავკასიის ამბებს და რუსეთის ბიუროკრატიას პირდაპირ გამოუცხადა, რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო, ან — ვინც ქარს დასთესავს, გრიგალს მოიმკისო. ახლა კი, როცა ბაქოს ამბებმა რუსეთის ხაზინასაც გაჰკრეს ხელი და რუსეთის მთელი მრეწველობა და ვოლგისა და კასპიის აღებ-მიცემობა ხიფათში ჩააგდეს, ყვავ-ყორნებმა „ნოვოე ვრემია“-მ და „მოსკოვ.ვედ“-მ და საზოგადოდ რუსეთის „პატრიოტულმა“ პრესამ ერთი აყალმაყალი ასტეხეს: კავკასია აჯანყდა, კავკასია ხელმეორედ უნდა დავიპყრათ, უნდა გავანადგუროთ, დავიმორჩილოთო და სხ. „მოსკოვ.ვედ“ ყველაფერს მაინც მთავრობას აბრალებს და უსაყვედურებს: კავკასიას აღვირი აუშვით, თავზე ხელი გადაუსვით და, აი, სამაგიეროდ რა მიიღეთო. თუმცა თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში შემოღებულია საომარ დროის წესები, მაგრამ მოსკოველ „პატრიოტებს“ ესაც არ აკმაყოფილებს. ისინი თხოულობენ უფრო მეტს, მაგრამ რას? უეჭველია სარჩობელას და რეპრესიებში სრულს ხელგაშლილობას. მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ „პატრიოტებმა“ სიბრაზით თავი ვეღარ შეიმაგრეს, თავისდაუნებურად ნიღაბი აიხადეს და, ცოტად თუ ბევრად, სწორედ დაახასიათეს რუსეთისა და კავკასიის დამოკიდებულება და აღნიშნეს ის პოლიტიკა, რომლითაც რუსეთს კავკასიაში „განათლების“ შეტანა უნდოდა“.

„ყვავების ჩხავილი“, ივერია, №159
1905 წელი, 7 სექტემბერი,
ოთხშაბათი

„შემზარავი ცნობა გადმოსცა დღეს საქართველოს ტელევიზიამ: რუსეთმა აფხაზეთი წაგლიჯა საქართველოს. ვითარებისა და მდგომარეობის გაუბრალოება და შემსუბუქება მიზანშეწონილი არ გახლავთ, ეს არის ძალიან დიდი მარცხი საქართველოსი, მაგრამ მიუხედავად ამ სასტიკი და საშინელი დამარცხებისა, მაინც უნდა შევძლოთ შინაგანი სიმტკიცის გამოჩენა და სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ. საქართველოს, ქართველ ხალხს შეუძლია დღევანდელი მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევა, თუ, რა თქმა უნდა, იგი გამოიჩენს საუკეთესო თვისებებს: სიმტკიცეს, მოთმინებას, გამძლეობას, გამჭრიახობას, გონიერებას და ჭკუას იმისათვის, რომ დამარცხება ბოლოსა და ბოლოს გამარჯვებად გადააქციოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ სასატიკი დამარცხებიდან უნდა სერიოზული გაკვეთილი გამოვიტანოთ, ამიტომ ბავშვურ ოცნებას და ილუზიებს თავი უნდა დავანებოთ, ერთი გაკვეთილი ეს გახლავთ; მეორე გაკვეთილი გახლავთ ის, რომ საქართველოს აი ამ მძიმე ბრძოლაში და იმ ბრძოლებშიც, რომელიც, ალბათ, მომავალშიც ექნება, არავინ გაუწევს დახმარებას, არც ევროპა, არც ამერიკა და არც აზია. უნდა თვითონ მოვახერხოთ ჩვენი თავის პატრონობა; მესამე გაკვეთილიც სწორედ ეს იქნება, რომ ჩვენ, ქართველები უნდა ვიყოთ ჩვენი თავის პატრონი. ჩვენ, ქართველებმა უნდა ვუმკურნალოთ ჩვენს თავს და მოვიპოვოთ გამარჯვება. შეუძლია თუ არა ეს ქართველ ხალხს? – რა თქმა უნდა, შეუძლია, რადგან ამას ამტკიცებს და ასაბუთებს ჩვენი ისტორია, ამას ამტკიცებს და ასაბუთებს ისეთი პატარა ხალხების არსებობა და თავისუფლება, როგორიც საქართველოა. ჩვენ ჩვენი გრძელი ისტორიის განმავლობაში ბევრი და დიდი გასაჭირისათვის გაგვიძლია სწორედ ამის გამო, რომ გამოგვიჩენია ამ დუხჭირ ვითარებაში საუკეთესო თვისებები გამძლეობისა, გაბედულებისა, გონიერებისა, გამჭრიახობისა და ყველაფერი იმისა, რაც ადამიანს ამშვენებს და ადიდებს. ამიტომ დღესაც იგივე თვისებები უნდა გამოვავლინოთ ჩვენ და გავიმეოროთ ის გამარჯვება, რომელიც საქართველოს ჰქონია მისი გრძელი ისტორიის მანძილზე“.

„პასუხისმგებელი ვართ“
აკაკი ბაქრაძე
გამოსვლა ტელევიზიით
1993 წ. 30/IX
(აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, მერვე ტომი)

■

„ირმის ნახტომი“ – ნახტომი ტექნოლოგიური სივრცისაკენ

არჩილ გამზარდია, თამარ ცხადაძე

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია „ირმის ნახტომი“, რომელიც სკოლების კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას ისახავს მიზნად. ის ექსპერტების დახმარებით დაიგეგმა, რომლებმაც ესტონეთში წარმატებით განახორციელეს სკოლების კომპიუტერიზაციის ანალოგიური პროგრამა, სახელად „ვეფხვის ნახტომი“.

„ირმის ნახტომი“ 2005 წელს დაიწყო და უკვე მესამე წელია, რაც მის ფარგლებში საქართველოს სკოლების კომპიუტერებით აღჭურვა და ინტერნეტში ჩართვა მიმდინარეობს. ამ ტექნიკური კომპონენტის გვერდით, სულ უფრო იზრდება იმ პროექტების ხვედრითი წილი, რომლებიც სწავლასა და სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვისკენ, პედაგოგებისა და მოსწავლეების კომპიუტერის მომხმარებლებად ჩამოყალიბებისკენ, ქართულ ენაზე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების განვითარებისკენ არის მიმართული.

კომპიუტერიზაცია და ინტერნეტში ჩართვა

სკოლების თანამედროვე დონეზე კომპიუტერიზაცია და ინტერნეტთან მათი კავშირის უზრუნველყოფა „ირმის ნახტომის“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო გეგმებზე ფონდის ხელმძღვანელს, **თამარ კაკუტიას** ვესაუბრეთ.

– გაქვთ თუ არა სრული ინფორმაცია სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტში ჩართვის პროცესზე? ხდება პროგრამის მონიტორინგი და კონტროლი?

თამარ კაკუტია

– დიდი ხანი არ არის, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე და პირველი სტრუქტურული ცვლილების სახით, მონიტორინგის კოორდინატორის შტატი შევქმენი. ამ ეტაპზე საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, სულ მცირე, ერთი კომპიუტერია, ხოლო 2008-2009 სასწავლო წლის ბოლოსთვის სკოლებში ყოველ 20 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მაინც იქნება.

არსებობს ინტერნეტის პრობლემა. გეგმის მიხედვით, 2008 წლის ბოლომდე ყველა სკოლა უნდა ყოფილიყო ინტერნეტთან კავშირით უზრუნველყოფილი, მაგრამ კომპანია „ტელენეტმა“, რომლისგანაც ინტერნეტს შევისყიდდით, საქმეს თავი ვერ გაართვა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა კომპანიებთან.

ამ ეტაპზე საქართველოს 2200-მდე საჯარო სკოლიდან 500-მდე სკოლაა ჩართული ინტერნეტში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათ შორისაა ყველაზე დიდი სკოლები, რომლებშიც მთელი ქვეყნის მოსწავლეთა 60%-ზე მეტია კონცენტრირებული. მაქსიმალურად ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად მოვაგვაროთ პრობლემა. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე სრულად მოხერხდება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სკოლების უზრუნველყოფა ინტერნეტთან კავშირით.

– გარდა იმისა, რომ შეფერხებები არსებობს პროგრამის ტექნიკური კომპონენტის, ანუ სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტში ჩართვის განხორციელებაში, სერიოზული პრობლემაა ინფორმატიკის მასწავლებლების ნაკლებობაც. თქვენი პროგრამის მიზანი ხომ მხოლოდ ტექნიკის მიწოდება არ არის. რას აკეთებთ იმისთვის, რომ უზრუნველყოთ ტექნიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება სკოლებში?

– ჩვენი პროგრამის მეორე მიმართულება სწორედ პედაგოგთა ტრენინგებია. მასწავლებელთა ნაწილისთვის კომპიუტერთან მუშაობა ახალია, ათვისების პროცესს კი თავისებური გაუცხოებაც ახლავს თან. ეს განსაკუთრებით რეგიონებში შეინიშნება. ბავშვებისათვის კომ-

პიუტერთან მუშაობა უფრო იოლი და სახალისოა.

გადავწყვიტეთ, მასწავლებლებს სიახლის ათვისებაში დავეხმაროთ და საბაზო ტრენინგებს ვუტარებთ, რომლებზეც ისინი ელემენტარულ უნარ-ჩვევებს იძენენ. უკვე დაახლოებით 20 000-მდე პედაგოგი მომზადდა.

გარდა ამისა, მეორე და მესამე დონის სატრენინგო პროგრამებიც გვაქვს. მათი მიზანია მასწავლებლებს საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის სრულყოფილი უნარები განუვითაროს. ვგეგმავთ, პედაგოგებს შევასწავლოთ ინტერნეტით სარგებლობა და საპრეზენტაციო პროგრამების გამოყენება. მესამე დონე კი უკვე ელექტრონული მასალების მოძიებას, დამუშავებასა და პორტალზე განთავსებას მოიცავს. ამ საფეხურის გავლის შემდეგ მასწავლებლები თავად მოახერხებენ ინტერნეტით სასწავლო მასალების მოძიებასა და გამოყენებას.

ასევე ვაწყობთ სხვადასხვა ტიპის კონკურსებს, რომლებიც უფრო საინტერესოს ხდის კომპიუტერით სარგებლობის უნარების დაუფლების პროცესს პედაგოგებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. ჩვენი მიდგომაა: ისწავლე კეთების პროცესში.

– მასწავლებლები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სკოლებში „ლინუქსის“ პროგრამა გამოიყენება. მათი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს პროგრამა ძნელად ასათვისებელია.

– ეს უფრო სიახლის მიმართ შიშით აიხსნება. მეც ანალოგიური დამოკიდებულება მქონდა ამ პროგრამასთან, სანამ მის შესწავლას დავიწყებდი. სწავლის პროცესში კი ბევრი მსგავსება აღმოვაჩინე „ლინუქსისა“ და „ვინდოუსის“ პროგრამებს შორის. ჩვენ ვაკვირდებით „ლინუქსის“ პროგრამის სწავლების პროცესს და დავრწმუნდით, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა წარმატებით ახერხებს მის ათვისებას. ამჟამად „ლინუქსისა“ და „ვინდოუსის“ შედარებით ანალიზს ვატარებთ. ანალიზის შედეგებს კი იმისთვის გამოვიყენებთ, რომ პედაგოგებს ამ პროგრამის ათვისება გავუიოლოთ.

სასწავლო და პროფესიული ინტერნეტ-რესურსები

როგორც უკვე ითქვა, „ირმის ნახტომი“ იმ პროექტებსაც ახორციელებს, რომელთა მიზანია პედაგოგებისთვის ახალი ტექნოლოგიებით სარგებლობის უნარების განვითარება, ელექტრონული რესურსების სწავლებაში გამოყენების წახალისება და ხელშეწყობა. ამ მიმართულებას **დავით კიზირია** ხელმძღვანელობს.

დავით კიზირია

– კონკრეტულად რა სახის ელექტრონული ინსტრუმენტები იქმნება მასწავლებელთა დასახმარებლად?

– ძირითადად ვმუშაობთ უკვე არსებული საერთაშორისო პროექტების, რესურსების, ინტერნეტ-პორტალებისა თუ ვებ-გვერდების მოძიებაზე, შეფასებაზე, შერჩევასა და შემდგომ ადაპტაციაზე. ჩვენი პროგრამის ფარგლებში, ამჟამად რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

ერთ-ერთი ასეთი პროექტია საქართველოს საგანმანათლებლო პორტალი, რომელიც ევროკომისიის ეგიდით დაფინანსდა და 2008 წლის დასაწყისიდან წარმატებით მუშაობს. ის პედაგოგებს საშუალებას აძლევს, შექმნან და გამოაქვეყნონ საკუთარი, ისარგებლონ სხვების შექმნილი სასწავლო რესურსებით, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, დაგეგმონ და მართონ ერობლივი პროექტები. პორტალი აერთიანებს სასწავლო რესურსების (გაკვეთილის სცენარები, სასწავლო აქტივობები, მეთოდები და ა.შ.) ვებ-რედაქტორებს, მათ ვებ-საცავს, ელექტრონული ინსტრუმენტების ბიბლიოთეკას, მასწავლებელთა გაერთიანებების პლატფორმებს. პორტალით სარგებლობისთვის კომპიუტერთან მუშაობის მხოლოდ მინიმალური უნარებია აუცილებელი — საკმარისია ელექტრონული ფოსტის მოხმარების ცოდნაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პორტალი საკმაოდ ახალგაზრდაა, ის უკვე აქტიურად გამოიყენება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სექტემბრის მონაცემებით, დარეგისტრირებულია 1573 მომხმარებელი, შექმნილია 125 გაერთიანება, განთავსებულია 3379 სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა, 867 მეთოდური მასალა. იგი გამოიყენება ჩვენ მიერ გამოცხადებული სხვადასხვა კონკურსებისთვისაც. **პორტალის მისამართია**

http://ge.lemill.net.

ამავე პორტალთან არის ინტეგრირებული დისტანციური განათლების ელექტრონული პორტალი, რომელიც ამჟამად ტესტირების რეჟიმშია და ვიმედოვნებთ, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის საბოლოო სახით ამუშავდება. ეს არის დისტანციური სასწავლო კურსების მართვის სისტემა, რომელიც მომხმარებელს კურსის ელექტრონული ვერსიის შექმნა-რედაქტირების, ინტერნეტში განთავსებისა და მართვის, შესაბამისი სასწავლო ჯგუფის ჩამოყალიბებისა და ჯგუფთან ერთად სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელების საშუალებას აძლევს. საბოლოო ამუშავებამდე პორტალი შეივსება სასწავლო რესურსებით, პარალელურად ჩატარდება ტრენინგები მისი პოტენციური მომხმარებლებისთვის. ვაპირებთ, იგი აქტიურად გამოვიყენოთ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ენების სწავლებაში, ასევე სახელობო-პროფესიული სწავლებისა და გადამზადებისთვის.

გარდა ამისა, სპეციალურად მასწავლებლებისთვის შექმნილია სოციალური მეცნიერებების, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ქართულისა და უცხო ენების, დაწყებითი კლასების ცალკეული საგნობრივი ქსელები. მათი ფუნქციაა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა შეუქმნას ერთსა და იმავე ან მომიჯნავე დარგებში მომუშავე მასწავლებლებს. დარგობრივ ქსელებში, პედაგოგთა გარდა, დარგის ექსპერტები და სახელმძღვანელოების ავტორებიც არიან გაერთიანებულები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია გეოინფორმაციული სასწავლო პორტალი „საქართველოს ელექტრონული ატლასი“ (http://map.dlf.ge/), რომელიც ამჟამად ტესტირებას გადის და მალე ამოქმედდება. პორტალი აერთიანებს თემატურ-ინტერაქტიულ რუკებს (ზოგადგეოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული

დავით ბარბაქაძე

მხარეები, დასახლებული პუნქტები, ადმინისტრაციული საზღვრები, საგზაო ქსელი, მცენარეული საფარი, ჰიდროგრაფია, კულტურული მემკვიდრეობა, ა.შ.), რომლებიც არა მხოლოდ პედაგოგებსა და მოსწავლეებს გამოადგება, არამედ სასარგებლოა საქართველოთი დაინტერესებული ფართო აუდიტორიისთვისაც.

– ამ ელექტრონული რესურსების შექმნის გვერდით, რა კეთდება იმისთვის, რომ გაიზარდოს მათი გამოყენების უნარები და მოტივაცია მასწავლებელთა შორის?

– სწორედ ამ მიზნით, წელს, მასწავლებელთა კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც საკმაოდ ბევრმა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო საგაკვეთილო გეგმების კონკურსი. საკონკურსო გაკვეთილების მიმართ წაყენებულ მთავარ მოთხოვნებს წარმოადგენდა: მათი მიმდინარეობის დროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ინტერდისციპლინარულობა. 11 სხვადასხვა ნომინაციას შორის იყო: საუკეთესო გაკვეთილი დაწყებით საფეხურზე, საუკეთესო გაკვეთილი საბაზო-საშუალო საფეხურზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო მაგალითი და ა. შ. მნიშვნელოვანია, რომ შემფასებლებიც თავად მასწავლებლები იყვნენ – სკოლებმა თითო პედაგოგი წარადგინეს კომისიაში. მაქსიმალური ობიექტურობის მიღწევის მიზნით, მათ არ მივეცით საკუთარი სკოლის წარმომადგენლების შეფასების უფლება. ვფიქრობ, ამ კონკურსმა წარმატებით ჩაიარა.

(კონკურსის მონაწილეთა ნაშრომებს „მასწავლებელი“ შემდეგ ნომრებში გაგაცნობთ).

პროექტების მიმართულება

„ირმის ნახტომის“ კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ნაწილია არასაგნობრივი პროექტების მიმართულება, რომლის კოორდინატორი **დავით ბარბაქაძეა**.

– როგორც ვიცი, არასაგნობრივი პროექტების მიმართულებით ყველაზე დიდი დაინტერესება კონკურსებმა გამოიწვია. რომელი პროექტებია განსაკუთრებით წარმატებული?

– სკოლებისთვის ყველაზე მიმზიდველი აღმოჩნდა მოსწავლეების შემოქმედების საუკეთესო ნიმუშთა გამოსავლენად მოწყობილი ელექტრონული ლიტერატურული ჟურნალების კონკურსი. ისინი „ირმის ნახტომის“ პორტალზე ქვეყნდება და მოსწავლეები ერთმანეთის შემოქმედებას საქართველოს ყველა კუთხეში ეცნობიან. ასევე პოპულარულია ახალი კონკურსი, სახელწოდებით „მხატვრული კითხვის ნორჩი ოსტატის გამოსავლენად“. მასში მონა-

წილენი ხმის ჩამწერი პროგრამის საშუალებით ქართველ და ქართულად თარგმნილ უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს იწერენ და საკონკურსოდ წარმოადგენენ.

– გავიგე, რომ კონკურსი გამოცხადდა ქართული კომიქსების შექმნაზეც. იქნებ ამაზეც მოგვითხროთ.

– შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მე-100 საჯარო სკოლის მიერ სულ ახლახან გამოცხადებული კონკურსი **„ქართული კომიქსი“** წლის განსაკუთრებულ მოვლენად იქცა. მისი მიზანია ქართული ლიტერატურის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ ნაწარმოებთა თემებზე შექმნილი საუკეთესო კომიქსის გამოვლენა. კონკურსის იდეა სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს თამარ ჩხაიძეს ეკუთვნის. ადმინისტრაციამ თავის თავზე აიღო როგორც კონკურსის ორგანიზება, ისე სკოლის ბიუჯეტიდან კონკურსის საპრიზო ფონდისთვის არც თუ მცირე თანხის მოძიება. საკონკურსოდ მასალების წარმოდგენის ბოლო ვადა **10 ნოემბერია**.

– ლიტერატურის დარგში ამჟამად რა პროექტებზე მუშაობთ?

– 2008 წლის შემოდგომაზე დასრულდება მუშაობა ქართული და ქართულად თარგმნილი უცხოური ლიტერატურის დიდი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე. პროექტის სახელწოდებაა „ვახტანგ VI“. მის ფარგლებში „ირმის ნახტომმა“ 2006 წლიდან დაიწყო ქართველი და უცხოელი მწერლების ნამუშევართა ელექტრონული ვერსიების შეგროვება: ტექსტების ნაწილს გამომცემლობებისგან ვიძენთ, სხვა ტექსტების აკრეფას ოპერატორებს ვუკვეთავთ. ბიბლიოთეკა შედგება ქართველი და უცხოელი ავტორების ინდივიდუალური ვებ-გვერდებისგან, რომელთა შექმნაზეც სკოლები მუშაობენ. მწერალთა შემოქმედების გარდა, აქვე განთავსებულია ბიოგრაფიული ცნობები მათ შესახებ, ფოტოგალერეა, ბიბლიოგრაფია და ბევრი სხვა სახის საინტერესო მასალა.

მჯერა, რომ ეს ელექტრონული ბიბლიოთეკა არა მხოლოდ ლიტერატურული მემკვიდრეობის საცავი იქნება, არამედ საქართველოს სასკოლო სივრცეში საგანმანათლებლო პროცესის ხელშემწყობი ძლიერი ინსტრუმენტის როლსაც შეასრულებს.

„ირმის ნახტომის“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტის შესახებ იხილეთ 52-54 გვერდებზე.

■

როგორი უნდა იყოს „მასწავლებელი“?

ელენე ფირცხალავა, თბილისის 52-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი: „ინტერნეტით ინფორმაციის მიღების საშუალება ყველას არ აქვს. ვფიქრობ, თუ პრესა ხელმისაწვდომი იქნება, მასწავლებლები არ ჩამორჩებიან განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს. სასურველია, ჟურნალი დიდი ტირაჟით გამოვიდეს, რომ მისი შეძენა მეტმა მასწავლებელმა შეძლოს“.

მარინა არიშვილი, ქუთაისის მე-7 სკოლის ქიმიის მასწავლებელი: „სიამოვნებით ვითანამშრომლებ თქვენს ჟურნალთან. იმედი მაქვს, ქიმიის გაკვეთილზე გამოსაყენებელ სავარჯიშოებსაც დაბეჭდავთ“.

მზია პაპავა, ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი: „ჟურნალში მომეწონა რუბრიკა „მრგვალი მაგიდა“, სადაც გამოთქმულია მასწავლებლებისა და განათლების სისტემაში მომუშავე ექსპერტების შეხედულებები დღევანდელი სკოლის პრობლემებზე, მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

ჟურნალი უდავოდ საინტერესოა. სიამოვნებით წავიკითხე იგი. კარგი იქნება, თუ დროულად მივა მკითხველამდე“.

თამილა ელიაური, გორის რაიონის სოფ. ქსუისის დაწყებითი კლასების მასწავლებელი: „მასწავლებელს” დღეს ყველაზე მეტად გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუშები და მაგალითები სჭირდება. ასევე კარგი იქნება, თუ ამ ჟურნალში ვიხილავთ მეტ ინფორმაციას შეფასების ახალი კრიტერიუმების შესახებ“.

მაჰმუდ ნასიბოვი, მარნეულის რაიონის მოლაოღლის აზერბაიჯანული სკოლის დირექტორი: „კარგია, რომ ჟურნალი აზერბაიჯანულ ენაზეც გამოდის. ძალიან გვაინტერესებს ახალი სასწავლო გეგმები, ახალი სახელმძღვანელოები და თვალსაჩინოებები.

საინტერესო იქნება სტატიები იმის შესახებ, როგორ უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა კომპიუტერული ტექნიკა გაკვეთილებზე.

ჩემთვის, როგორც დირექტორისთვის, და, ალბათ მასწავლებლებისთვისაც, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ კანონმდებლობაში არსებული სიახლეები და ნორმატიული აქტები“.

მოამზადა ნინო წიკლაურმა

■

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ახალი პერსპექტივების წინაშე

შორენა ბურდილაძე

განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი პედაგოგებს მორიგ სიახლეს სთავაზობს – 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პედაგოგთა სერტიფიცირებას გეგმავს. სერტიფიკატი იმ პროფესიული უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტი იქნება, რომელიც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებით განისაზღვრება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ამ ეტაპზე სწორედ პედაგოგთა პროფესიული სტანდარტების შემუშავებაზე ზრუნავს. სტანდარტების სამუშაო ვერსიები უკვე არსებობს და ერთ-ერთი მათგანის საბოლოო დამტკიცებამდე ცენტრი ცდილობს, მასწავლებელთა აზრები, შენიშვნები და კომენტარები მაქსიმალურად გაითვალისწინოს. ამ მიზნით ცენტრის წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში სამუშაო შეხვედრებს მართავენ. უკვე ჩატარდა მსგავსი შეხვედრები გურჯაანში, გორში, ქუთაისში. 18 ივლისს თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში გამართული განხილვის თემა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტი იყო. შეხვედრას უძღვებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი სოფო გორგოძე, ამავე ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი ნინო ელბაქიძე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია და საგნობრივი ექსპერტები: ირინე სამსონია (ქართული ენა და ლიტერატურა) და ეკა კორძაძე (მათემატიკა).

შეხვედრას 50-ზე მეტი პედაგოგი დაესწრო.

ცენტრის მიერ მასწავლებლებისთვის შეთავაზებული სტანდარტის სამუშაო ვერსია დაწყებითი საფეხურის პედაგოგს საშუალებას აძლევს, ესა თუ ის საგანი ან საგანთა ჯგუფი პირველიდან მეექვსე კლასამდე ასწავლოს. შესაბამისად, სათანადო სერტიფიკატის მისაღებად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს V-VI კლასების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამისა და მისი სწავლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაც მოუწევს. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობა კი პედაგოგმა სასერტიფიკაციო გამოცდებზე უნდა დაადასტუროს. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მასწავლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელი გახდება.

სოფო გორგოძემ პედაგოგებს განუცხადა, რომ სასერტიფიკატო გამოცდებისთვის მზადებაში მათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები დაეხმარებათ. ამ ეტაპზე პროგრამების აკრედიტაცია ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ის, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე განხორციელდება.

„წლის ბოლოს უკვე იარსებებს იმ სატრენინგო პროგრამების სია, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში შეუწყობენ ხელს. მსგავსი პროგრამები დღესაც არსებობს, მაგრამ მათი ხარისხის შესახებ არაფერია ცნობილი. აკრედიტაციის შემდეგ ჩვენ გარკვეულ პასუხისმგებლობას ავიღებთ, რომ ეს პროგრამები მინიმალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. ამჟამად ვზრუნავთ იმაზე, რომ აკრედიტებული სატრენინგო პროგრამების გავლა სახელმწიფომ დააფინანსოს და მასწავლებელს საკუთარი ჯიბიდან არ მოუხდეს ამ თანხის გადახდა“, – განაცხადა სოფო გორგოძემ. მან მასწავლებლებს ცენტრის მიზნები და საქმიანობის მიმართულებები გააცნო, აგრეთვე ისაუბრა სერტიფიცირების დანერგვასა და პედაგოგთა პროფესიული სტანდარტების შემუშავებაზე.

სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელის, სიმონ ჯანაშიას განმარტებით, სტანდარტის პრინციპი ასეთია: მან შესაძლებლობა უნდა მისცეს ყველა მასწავლებელს, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა მოსწავლეს მაქსიმალურად ეფექტურად შეასწავლოს და უზრუნველყოს პედაგოგის დაცვის მექანიზმი, რათა ის, ხელმძღვანელის სუბიექტური მოსაზრებების გამო, სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდეს.

„როცა ხელთ გექნებათ დოკუმენტი, რომელიც თქვენს მაღალ კვალიფიკაციას ადასტურებს, სკოლაში მოსული ახალი ხელმძღვანელი ვერ შეძლებს, ეჭვი შეიტანოს თქვენს კომპეტენტურობაში. ამასთანავე, სახელმწიფო მასწავლებლისგან ისეთს არაფერს მოითხოვს,

რის მიღწევაშიც თავად არ დაეხმარება. არ არსებობს საფრთხე, რომ მასწავლებლები ვერ დაძლევენ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სტანდარტი და მისი შესაბამისი სერტიფიკატი დაადასტურებს, კონკრეტულად რა სახის პროფესიულ უნარ-ჩვევებს ფლობს მასწავლებელი. დოკუმენტი იმასაც ადასტურებს, რომ პედაგოგს ხარისხიანი სწავლება შეუძლია. სერტიფიცირებულ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, მეტი სამუშაო საათები და შესაბამისად, მეტი ანაზღაურება მიიღოს. სწორედ შემოთავაზებულ სტანდარტს დაეფუძნება როგორც სერტიფიკატი და სატრენინგო პროგრამები, ასევე ის ტესტები, რომლებსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდოდ მოამზადებს", – აღნიშნა სიმონ ჯანაშიამ.

ცენტრის თანამშრომლებმა მასწავლებლებს სერტიფიკატის ტიპებზე მსჯელობის საშუალებაც მისცეს. პირველ ეტაპზე განიხილეს შემდეგი ვარიანტი: დაჯგუფდეს ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და ერთი გამოცდის ჩაბარების შემდეგ პედაგოგმა სამივე საგნის სწავლების უფლება მოიპოვოს I-VI კლასებში. ანუ ერთი სერტიფიკატი საგანთა ჯგუფს უნდა მოიცავდეს, შესაბამისად, ერთი სასერტიფიკატო გამოცდა რამდენიმე საგნის პროგრამის ჩაბარებას უნდა ითვალისწინებდეს. ცალ-ცალკე სასერტიფიკატო გამოცდები უნდა დაინიშნოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, შრომითი სწავლების, მუსიკისა და ფიზკულტურის სწავლების უფლების მოსაპოვებლად.

პედაგოგები, რომლთა დიდი ნაწილი სტანდარტის სამუშაო ვერსიას კარგად იცნობდა, ასეთ დაჯგუფებას უნდობლად უყურებდნენ. ამის გამო შეხვედრამ თავიდანვე აქტიური დისკუსიის სახე მიიღო. მსჯელობდნენ სერტიფიცირების მექანიზმებსა და სერტიფიკატის ტიპებზე. მასწავლებლები იმ მიზეზების ახსნას შეეცადნენ, რის გამოც სიახლისგან თავის შეკავება სურდათ.

ერთ-ერთ არგუმენტად სწავლების ხარისხის შემცირება დასახელდა. პედაგოგები ფიქრობენ, რომ რამდენიმე საგნის ერთდროულად სწავლება შეუძლებელს გახდის სწავლების ხარისხის შენარჩუნებას.

ხათუნა ჩხუტიაშვილი, 182-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: „მასწავლებელმა სასერტიფიკაციო გამოცდები რომ წარმატებით ჩააბაროს, ერთდროულად ამდენი საგნის სწავლება მას მაინც ურთულესი ამოცანის წინაშე დააყენებს. თითქმის შეუძლებელია, პედაგოგმა სამი საგანი ყოველდღე მოამზადოს. რა თქმა უნდა, თუ საქმის კეთილსინდისიერად შესრულებას ვგულისხმობთ".

თამარ მანჩხაშვილი, 24-ე საჯარო სკოლა:

შეხვედრის მონაწილენი

„მომხრე ვარ, დაწყებითი სწავლება ისევ ორ ეტაპად მოიაზრებოდეს. დაჯგუფდეს ქართული, მათემატიკა, ბუნება და ასწავლოს ერთმა მასწავლებელმა, V-VI კლასში კი არჩევანის საშუალება იყოს და მსურველებმა საგნობრივი გამოცდა ჩააბარონ. შემოთავაზებული მოდელით ხარისხიანი სწავლება შეუძლებელი გახდება. სკოლაშიც პრობლემები შეიქმნება. დაწყებითი და საბაზო საფეხურის პედაგოგებს გაუჭირდებათ საათების შეჯერება".

მასწავლებლებმა მასალის სირთულეზეც ისაუბრეს. მათ განსაკუთრებით გართულებულად მათემატიკის სწავლება ეჩვენებათ, თუმცა საგნის ექსპერტმა ეკა კორძაძემ განმარტა, რომ I და II საფეხურის სწავლების მეთოდიკები არ იცვლება. შეიცვლება მხოლოდ შინაარსი, რომელიც შეიძლება მოგვარდეს, რადგან დამატებითი საგნობრივი განხილვები მოეწყობა და ყველა საკამათო საკითხზე შეთანხმება შესაძლებელი გახდება.

აღინიშნა შეფასების ორი სისტემის არსებობის პრობლემაც: დაწყებითი სწავლების პირველი საფეხური უნიშნო სწავლებით მიმდინარეობს, V-VI კლასში კი ნიშნიანი სისტემა იწყება და პედაგოგს ორივე სისტემით მოუწევს მუშაობა.

მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ხარისხიანი სწავლებისთვის სჯობს, პედაგოგი ერთი პროფილით მუშაობდეს და სპეციალობაში დახელოვნდეს. ეს აზრი ბევრმა გაიზიარა და შეხვედრის მონაწილეებმა საგნობრივ სერტიფიკატს მიანიჭეს უპირატესობა, ანუ ყოველ საგანში თითო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებას. მათი თქმით, ამ შემთხვევაში, მასწავლებელს თავისუფალი არჩევანისა და სასურველი კომბინაციის შექმნის შესაძლობლობა ექნება.

მასწავლებელთა აზრის **გაზიარების შემ-**

ხათუნა ჩხუტიაშვილი

დეგ ცენტრის თანამშრომლებმა პედაგოგებს რამდენიმე გარემოება შეახსენეს, მაგალითად, კონკურენცია, რომელსაც შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში დღევანდელი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა ვეღარ გაუძლონ.

„უახლოეს წლებში ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასწავლებლების ახალ გამოშვებას მოამზადებს, რომელსაც საკმარისი კვალიფიკაცია ექნება იმისთვის, რომ პირველიდან მეექვსე კლასამდე ასწავლოს. ბუნებრივია, ნებისმიერი სკოლის ხელმძღვანელობა უპირატესობას ასეთ კადრს მიანიჭებს, რადგან მას თქვენზე მეტი კვალიფიკაცია ექნება. საგნობრივი სერტიფიკატით სამსახურის შოვნა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე კომბინირებული სერტიფიკატის შემთხვევაში“, – განმარტა სიმონ ჯანაშიამ.

საგნობრივი და კომბინირებული სერტიფიკატების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ შეხვედრის მონაწილე მასწავლებლებმა დიდხანს იმსჯელეს და არგუმენტები შემდეგნაირად გადანაწილდა.

საგნობრივი სერტიფიკატი
დადებითი მხარეები

1. იძლევა კომბინაციის საშუალებას
2. ითვალისწინებს პიროვნების შესაძლებლობებს
3. განაპირობებს ერთი მიმართულებით პროფესიულ ზრდას
4. ხარისხი საკმაოდ მაღალია

უარყოფითი მხარეები

1. საათების რაოდენობა იზღუდება
2. კონკურენცია იზრდება
3. გამოცდების სიმრავლე
4. დაბალი მოტივაცია უფრო მაღალი სტანდარტისთვის
5. სკოლაში თუ ბევრი პარალელური კლასია, მასწავლებელს მძიმე შრომა მოუწევს
6. იკარგება საგანთა შორის კავშირი

კომბინირებული სერტიფიკატი
დადებითი მხარეები

1. მასწავლებელი მაღალკვალიფიციურია
2. მეტი მობილურობა პროფესიაში
3. მასწავლებელი კონკურენტუნარიანია
4. საათების რაოდენობა მეტია
5. ერთი გამოცდა სამის ნაცვლად
6. ბავშვისთვის უფრო კომფორტულია
7. იძლევა ინტეგრირების საშუალებას

უარყოფითი მხარეები

1. ზედაპირული ტესტი გამოცდაზე
2. ნაკლები კონკურენცია
3. ბევრი ვერ ჩააბარებს და შეიძლება მასწავლებლები დაითხოვონ სკოლიდან
4. მოსამზადებლად რთულია

საბოლოოდ პედაგოგები დაეთანხმენ მოსაზრებას, რომ ახალი სტანდარტი მათ მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს და გაცილებით კონკურენტუნარიანებს ხდის. რაც შეეხება სერტიფიცირების მექანიზმებს, ისინი ასევე აღიარებენ კომბინირებული სერტიფიკატის უპირატესობას, თუმცა ურჩევნიათ, თავად შეარჩიონ საგანთა კომბინაცია.

ირინე კობეშავიძე, 151-ე საჯარო სკოლა: „საგნობრივი სერტიფიცირების პირობებში, იქმნება საშიშროება, რომ სკოლა მთლიანად საგნობრივ სწავლებაზე გადავა. ამიტომ, თუ არ გვინდა, სკოლებში დაწყებითი საფეხურის ფენომენი მოიშალოს და ბავშვის ფსიქოლოგიაც გავითვალისწინოთ, პირველი საფეხურის ძირითად მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, თავად აირჩიოს, სულ ცოტა, სამი საგანი. ის იმ საგნებს აირჩევს, რისი სწავლებაც ხარისხიანად შეუძლია“.

შეხვედრის დასასრულს მასწავლებლებმა სასერტიფიკაციო ტესტების ნიმუშების დროულად მიწოდება მოითხოვეს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლები პედაგოგებს დაჰპირდნენ, რომ სერტიფიცირების მექანიზმებზე და სერტიფიკატის ტიპებზე მუშაობისას მაქსიმალურად გაითვალისწინებენ მათ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲚᲝᲑᲐ – ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲔᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ირმა კახურაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი ინიციატივით – მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტით შეხვდა. პროექტში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლობის მაძიებლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საქართველოში, ორმოცდაცამეტი მაძიებელი და ოცდაათი გამოცდილი მასწავლებელი (მენტორი) ჩაერთო. პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ მომავალში მაძიებლობის ინსტიტუტი მყარად მოიკიდებს ფეხს ქართულ სინამდვილეში, გამოცდილების მიღებისა და ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით, დიდად წაადგება ახალბედა პედაგოგებს.

„მენტორთა ინსტიტუტის შემოღება ერთგვარად გაალღობს იმ ყინულს, რომელიც პედაგოგიურ სპეციალობებზე ჩარიცხულ სტუდენტსა და სკოლას შორის არსებობს. მენტორი სერტიფიკატის მსურველ ახალგაზრდას კიდევ ერთხელ შეახსენებს არჩეული სპეციალობის უპირატესობას, გულს გაუთბობს, ბავშვს შეაყვარებს“, – ამბობს ალეკო ყიფიანი, ბათუმის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი.

„1999 წელს სკოლაში რომ მივედი სამუშაოდ, არავინ იყო, ვინც მიმართულებას მომცემდა. ამის გამო ძალიან დათრგუნული აღმოვჩნდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „რატომ მოვედი სკოლაში?“... ჩემ გვერდით გამოცდილი მასწავლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდი“, – მიაჩნია ჟანა სალაღიშვილს, ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის მასწავლებელს.

ეს მასწავლებლები, სხვებთან ერთად, მენტორ მასწავლებლებად შეირჩნენ და, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით, 8-12 სექტემბერს დაბა ჩაქვში ჩატარებულ ტრენინგში მონაწილეობდნენ.

მაძიებლობის საშუალებით ახალგაზრდა პედაგოგებს შესაძლებლობა მიეცემათ, იპოვონ სამუშაო ადგილი მათთვის უკვე ნაცნობ გარემოში. მეორე მხრივ, მაძიებლობა ხელს შეუწყობს გამოცდილ მასწავლებლებს – მენტორებს, ახალგაზრდებთან მუშაობისას კიდევ უფრო დახვეწონ პროფესიული პრაქტიკა.

კანონში ზოგადი განათლების შესახებ მაძიებელზე ნათქვამია, რომ ეს არის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყების შემდეგ მასწავლებლის სტატუსი მაძიებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს, თუ გამოცდას ჩააბარებს. ამისთვის კი მან ერთი წელი სკოლაში მაძიებლის სტატუსით უნდა გაატაროს. მარტივად რომ ვთქვათ, მაძიებელი პედაგოგობის მსურველი

გასაუბრება მაძიებლობის მსურველებთან

ახალბედაა, რომელსაც ეძლევა შანსი, უფროსი და გამოცდილი კოლეგის მხარდაჭერით ეზიაროს სკოლის რთულ და სპეციფიკურ გარემოს, მოსწავლეებთან ინტენსიური კონტაქტის შედეგად გამოიმუშავოს მასწავლებლობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მოახდინოს უმაღლეს სასწავლებელში დაგროვილი ცოდნის რეალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების უფლება.

აღსანიშნავია, რომ მაძიებლობა მკვეთრად განსხვავდება იმ პრაქტიკული სამუშაოსგან, რომელსაც დღეს უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს. მაძიებლობის პერიოდი დატვირთულ ერთწლიან პროგრამას მოიცავს, უფროსკურსელებისთვის განკუთვნილი პრაქტიკული სამუშაო კი მხოლოდ ერთი ან რამდენიმე თვით შემოიფარგლება და, სამწუხაროდ, ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტის განხორციელებამდე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მაქსიმალურად იზრუნა მაძიებლებისა და მენტორების შერჩევის კრიტერიუმებსა და წესებზე, დაამუშავა მაძიებლობის მსურველთა საინფორმაციო ბაზა, საქართველოს სხვადასხვა რაიონის საჯარო სკოლების ადმინისტრაციის დახმარებით შეარჩია მენტორთა ჯგუფი, პარალელურ რეჟიმში მოამზადა მენტორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო და მაძიებლობის პროგრამა.

„საპილოტე პროექტის დაწყებამდე მაძიებ-

ლობის ანკეტა დაურიგდათ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს. გასაუბრება ასზე მეტმა კურსადამთავრებულმა გაირა, აქედან ორმოცდაცამეტი შევარჩიეთ. მანამდე დავაზუსტეთ, რომელ უნივერსიტეტში რამდენი პედაგოგიური ფაკულტეტი იყო და რამდენი სტუდენტი გვყავდა. გავესაუბრეთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის, ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის, ახალციხის ინსტიტუტისა და თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგიური/განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს. გვქონდა პრობლემებიც. საქმე ისაა, რომ კანონში, ზოგადი განათლების შესახებ, მითითებულია: მასწავლებლის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ განათლების ბაკალავრს (დაწყებით საფეხურზე) და განათლების მაგისტრს (საბაზო და საშუალო საფეხურზე). აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულებს შორის საგნის სპეციალისტები განათლების მაგისტრებს ჭარბობნენ. ისინი კი მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, არა მასწავლებლობას, არამედ ამ ეტაპზე უფრო პრესტიჟულ და სარფიან პროფესიებს ირჩევენ. ამიტომ გადავწყვიტეთ, მაძიებლობისთვის განათლების მაგისტრებთან ერთად საგნის მაგისტრებიც შეგვერჩია" – გვიამბობს პროექტის კოორდინატორი ეკა მამაცაშვილი.

პროექტის ფარგლებში, მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაესახელებინათ სამი სკოლა, სადაც მაძიებლობის პერიოდის გავლა სურდათ. მაძიებლის მოწონების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია ის მასწავლებლად დაიტოვოს (სერტიფიცირების დაწყებამდე — მანამ, სანამ კანონი მას უფლებას აძლევს, აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, სერტიფიცირების გაუვლელად). ასევე, მას შეუძლია უარიც უთხრას დამწყებ პედაგოგს. ბევრი რამ დამოკიდებულია მენტორზე, რომელმაც ახალბედა მასწავლებელს სკოლისკენ გზა უნდა გაუკვალოს.

პროექტის მიხედვით, მაძიებელი სკოლაში თითქმის ისეთივე უფლებებით სარგებლობს,

სემინარის მონაწილენი

როგორც დანარჩენი მასწავლებლები, თუმცა ნაწილობრივ მაინც შეზღუდულია: არ აქვს ხელფასი და არ შეუძლია საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. სამაგიეროდ, ისევე, როგორც მენტორს (ხელფასზე დანამატის სახით), პროექტის ფარგლებში, მაძიებელსაც სტიპენდიას უხდიან. რაც, ცხადია, მუშაობის მოტივაციასაც ზრდის.

მენტორების კანდიდატურების შერჩევას სკოლების დიდი ნაწილი ინტერესით გამოეხმაურა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ რეგიონის სკოლები.

მენტორის სახელმძღვანელოში მკაფიოდ არის განმარტებული მენტორის ცნება. მენტორობა გამოცდილი მასწავლებლის მიერ ახალბედა პედაგოგისთვის გაწეული მიზანმიმართული დახმარებაა. მართალია, ახალგაზრდებს ადრეც ეხმარებოდნენ გამოცდილი მასწავლებლები, მაგრამ ამას სტრუქტურული ხასიათი არ ჰქონია. ახლა კი, მენტორი ვალდებულია, მაძიებელს ყველანაირად მიაქციოს ყურადღება, გადასცეს ცოდნა, ასწავლოს სხვადასხვა მეთოდი, მიდგომა, გაუზიაროს გამოცდილება, დაეხმაროს რჩევებითა და კონსტრუქციული შენიშვნებით. როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ამბობენ, ამ შემთხვევაში, მენტორს ორი აუცილებელი თვისება უნდა ჰქონდეს – კომუნიკაბელურობა და კომპეტენტურობა.

„პროექტის მიხედვით, სადაც კი შესაძლებელი იქნება, ორ მაძიებელს ერთ მენტორს მიამაგრებენ. ვფიქრობთ, მაძიებლებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით, ეს კარგი იდეაა. რაც შეეხება მენტორისა და მაძიებლის ურთიერთობას, ეს უფრო თანამშრომლობა უნდა იყოს. სკოლაში მაძიებლის ყოფნის ყველა საათი გაწერილი იქნება: ჯერ მასწავლებლის გაკვეთილებს დაესწრება, მასთან ერთად განიხილავს გაკვეთილის მსვლელობას, შემდეგ გაკვეთილების გეგმას შეადგენენ, ერთობლივადაც ჩაატარებენ. წლის ბოლოსკენ მაძიებელი დამოუკიდებელად დაგეგმავს და ჩაატარებს გაკვეთილებს. ეს პროცესი არა მხოლოდ მაძიებლისთვის იქნება სასარგებლო, მენტორსაც, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, ერთი საფეხურით მაღლა ასწევს," – აღნიშნავს ეკა მამაცაშვილი და დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში მაძიებლობის სისტემა უფრო დაიხვეწება, ხოლო მასწავლებლის პროფესია პოპულარობას დაიბრუნებს.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსგავსი სისტემა საკმაოდ ეფექტური და მისაღებია არა მხოლოდ განათლების, არამედ სხვა სფეროებშიც.

2008-2009

სასწავლო წლის კალენდარი

სექტემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ოქტომბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ნოემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

დეკემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

იანვარი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

თებერვალი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	

მარტი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აპრილი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

მაისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

ივნისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

მასწავლებლის კვირის კალენდარი

	1	2	3	4	5	6	7
ორ							
სამ							
ოთხ							
ხუთ							
პარ							
შაბ							

ეს გვერდები (31-34) შეგიძლიათ ამოჭრათ, გაამრავლოთ და გამოიყენოთ თქვენს საქმიანობაში

გაცნობის სავარჯიშოები

ამ სავარჯიშოების გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ, მაგალითად, ახალ კლასში შესვლისას.

მიზანი: მასწავლებლისა და მოსწავლეების გაცნობა, „ყინულის გალღობა“.

ხანგრძლივობა: დამოკიდებულია ჯგუფის სიდიდეზე. თითოეულ მონაწილეს 0.5-2 წუთი ეთმობა.

მასალა: მკერდზე მისამაგრებელი ფურცელი (სახელის დასაწერად), მარკერები.

„სახელის ისტორია“

მიმდინარეობა: მონაწილეებს სთავაზობთ, ფურცლებზე დაწერონ საკუთარი სახელები, ხოლო შემდეგ თანამიმდევრობით წარადგინონ თავი: ხმამაღლა წარმოთქვან სახელი და მსმენელებს მოუთხრონ მასთან დაკავშირებული ამბავი (ვინ დაარქვა ეს სახელი და რატომ, თუ იციან მისი მნიშვნელობა, როგორია მათი დამოკიდებულება (მოსწონთ/არ მოსწონთ) და ა.შ.)

ავტორთა რჩევა: *ამავე მიზნით, შეიძლება მონაწილეებს სთხოვოთ საკუთარი გვარის ისტორიის მოყოლაც. ეს განსაკუთრებით ეფექტურია ისეთ კულტურულ გარემოში, სადაც გვარი რაიმეზე მიანიშნებს. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი მონაწილე ძალიან „ერთობა“ თხრობით. ამიტომ თავიდანვე დააწესეთ რეგლამენტი.*

„სახელი და დადებითი თვისებები“

მიმდინარეობა: მონაწილეებს სთხოვთ, თანმიმდევრობით წარმოთქვან თავისი სახელი და მის პირველ ასოზე დაწყებული რაიმე ზედსართავი, მაგალითად: მარი – მხიარული, კოტე – კეთილი და ა.შ.

კარგია, თუ ამ სავარჯიშოს შესრულებისას ჯგუფის წევრები წრიულად ისხდებიან.

„სახელი და სამი მთავარი თვისება“

მიმდინარეობა: მონაწილეებს სთხოვეთ, ფურცლებზე დაწერონ თავისი სახელი და მათთვის დამახასიათებელი სამი მთავარი თვისება, შემდეგ ჯგუფის წევრებს გააცნონ ეს ინფორმაცია, ფურცელი კი დაფაზე ან ფორმატზე მიაწებონ.

(გამოყენებულია მეთოდური სახელმძღვანელო „ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა“, 2007 წ. თბილისი)

მშობელთა პირველი კრება

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მასწავლებლის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა მომავალი მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრაა. განათლების კონსულტანტმა მარშა რატცელმა, რომელიც ამავე დროს მათემატიკის გამოცდილი პედაგოგია, შემდეგი რჩევები მოუმზადა მასწავლებლებს:

შეხვედრამდე

- ჩამოწერეთ ის სავარაუდო კითხვები, რომლებსაც მშობლები დაგისვამენ. ჰკითხეთ გამოცდილ კოლეგებს, რა აინტერესებთ ხოლმე მშობლებს.
- წინასწარ მოიფიქრეთ, რა პასუხს გასცემთ ამ კითხვებზე.
- გაითვალისწინეთ, რომ მშობლების მიერ დასმული ზოგიერთი საკითხის განხილვა სატელეფონო საუბრისას ან პირადი შეხვედრის დროს სჯობს. წინასწარ მოიფიქრეთ, როგორ შესთავაზებთ დიპლომატიურად მშობელს საკითხის უფრო შესაფერის დროს განხილვას.
- მშობლებისთვის მოამზადეთ დასარიგებელი მასალა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ადმინისტრაციული დეტალები, გაკვეთილების ცხრილი, კლასის წესები, შეფასების კრიტერიუმები, მოთხოვნები მოსწავლეთა მიმართ, თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებები იმის შესახებ, სად და როგორ შეუძლიათ მშობლებს ინფორმაციის მოპოვება დავალებების, შვილების შეფასებებისა და სასწავლო კურსის სხვა დეტალების შესახებ. პირველივე შეხვედრაზე მშობლებისთვის ასეთი მასალის დარიგება ბევრ ზედმეტ შეკითხვასა და გაუგებრობას აგაცილებთ თავიდან.

შეხვედრის განმავლობაში

- აგრძნობინეთ მშობლებს, რომ გიხარიათ მათთან შეხვედრა. არ დაუშვათ, რომ აღელვების ან ნერვიულობის გამო საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვოთ.
- აგრძნობინეთ მშობლებს, რომ ექსპერტი ხართ: ნებისმიერ იქ მყოფზე მეტი იცით სასწავლო პროგრამაზე, სწავლების ნაყოფიერ მეთოდებსა და მოსწავლეებთან ურთიერთობის ტაქტიკაზე. თუნდაც სრულებით ახალბედა იყოთ, მათ უნდა ჩათვალონ, რომ თქვენ მათი შვილებისთვის ავტორიტეტი ხართ.
- დაარწმუნეთ მშობლები, რომ მათ პარტნიორებად თვლით, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მოუსმენთ და მათ აზრს გაითვალისწინებთ. ამასთან, მეორე მხრივ, ნუ შეუქმნით მათ შთაბეჭდილებას, რომ რასაც მოისურვებენ, ყველაფერს შეასრულებთ.
- მკაფიოდ და დეტალურად აუხსენით მშობლებს:
  - რა სახით შეუძლიათ დაეხმარონ შვილს დავალებების მომზადებაში.
  - რომელი სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა და ხელსაწყოები დასჭირდებათ მოსწავლეებს წლის განმავლობაში.
  - სად და როგორ შეძლებენ მოსწავლეებისთვის მიცემული დავალებებისა და მათ მიერ მიღებული შეფასებების გაგებას. თუ საკუთარი ინტერნეტ-გვერდი გაქვთ ასეთი ინფორმაციის განსათავსებლად, წინასწარ ამობეჭდეთ მისი მისამართი და შეხვედრაზე დაარიგეთ.
  - როგორ შეუძლიათ თქვენთან დაკავშირება. თუ ტელეფონს ანიჭებთ უპირატესობას, აუცილებლად უთხარით, დღის რომელ პერიოდში შეუძლიათ დარეკვა. თუ ელ-ფოსტა გაქვთ და წერილის მოწერა გირჩევნიათ, არ დაგავიწყდეთ მისამართის აღნიშვნა. აქვე აგრძნობინეთ, რომ მთელ დროს მათ სატელეფონო ზარებსა თუ წერილებზე პასუხის გაცემაში ვერ დახარჯავთ.
- კრების მიმდინარეობისას ყველაფერი ჩაინიშნეთ, რის გაკეთებასაც მშობლებს დაჰპირდებით. ამის გარეშე შეიძლება საკუთარი პირობა დაგავიწყდეთ, რაც საკმაოდ ცუდად აისახება პირველ შთაბეჭდილებაზე.
- გამოიყენეთ შეხვედრა იმისთვის, რომ მშობლებს შორის მოძებნოთ მოხალისეები დაგეგმილ საველე გასვლებსა და სპეციალურ ღონისძიებებში დასახმარებლად. თუ მათ შორის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს მოძებნით, სთხოვეთ, მოსწავლეებს პროექტებზე მუშაობისას პროფესიული გამოცდილება გაუზიარონ ან კონსულტაცია გაუწიონ.

მასალა მომზადდა შემდეგი პუბლიკაციის მიხედვით: "Teaching Secrets: The Parent Meet and Greet" by Marsha Ratzel // *Teacher Magazine*, August 27, 2008

ლიტერატურული ლოტო

ლიტერატურული ლოტო მომზადებულია ილია ჭავჭავაძის ცნობილი აფორიზმების მიხედვით. თითოეულ დიდ ფირფიტაზე მოთავსებულია აფორიზმის დასაწყისი, ხოლო პატარა ფირფიტაზე – დასასრული. ამ აფორიზმების ამოკრება-შესწავლა მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლების პარალელურად. ლოტოს გამოყენება ეფექტურია დასკვნით გაკვეთილებზე.

მსგავსი ლოტო შეგიძლიათ გააკეთოთ სხვა მწერლების შემოქმედების, ან სულაც სხვა საგნების შესწავლისას.

მარტო შენი მტერი დაგიმალავს		მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს		მეზობლის უბედურებაზე		დიდი გრძნობა მუნჯია
	დედაშვილური სიყვარული		სიყვარული		უფროს-უმცროსობაში სიყვარული	
ყოველგვარი სიყვარული, დედაშვილურია თუ სხვა,		ქვეყანაზე რომ ჭირი არ იყოს		ლუკმა მაშინ არის ტკბილი		დამალული ჭირი ძნელია

	თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე		შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ		კმაყოფილება კაცის	
წუთისოფელი ზოგისთვის		ის იცინის კარგად,		თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე		კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე
	წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა		ნეტავ იმ ვაჟკაცს, ნეტავ იმ გმირსა		ღონე ქვეყნისა	

ამოჭერით პასუხები:

ყოველ დღესა შენს თავს კითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე?	მამაა, ზოგისთვის მამინაცვალი.	ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა.	როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი.	პატარა კი ლაქლაქა.

მძელეთამძლეა.	სხვას მაინც ნუ გალანძღავ.	პირდაპირ მოსულს კიდევ შეეჭიდება კაცი.	ნიჭიერი და მხნე კაცია.	რომ შენს სახეზე რაიმე ურიგობა ნახოს.

რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.	რომ ხვალემა მადლობით თქვას, ნანერგითა შენით მარგე.	მამულისათვის თავის დადება.	ვინც ბოლოს გაიცინებსო.	ყვირილი არ უნდა.	მაინც ფრთხილია და მშიშარა

მომაკვდინებელი სენია.	ჭიდილია, სხვა არაფერი.	ბრძანებით არ მოდის.	ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.	ისე გათელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

მოგვაწოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მარინე უკლებამ (ქუთაისი)

სვანეთი: მწვერვალებიდან დანახული საქართველო

არჩილ გამზარდია

ზემო სვანეთისკენ მიმავალი მიკროავტობუსები თბილისიდან დილის 5 საათზე გადიან. ჯერ კიდევ ბნელა და წინ, სულ ცოტა, თორმეტი საათის სავალია. ზაფხულში, ტრადიციულად, სვანეთში წასვლის ბევრი მსურველია.

ზუგდიდთან ვისვენებთ და მერე აღმართს მივუყვებით. სამეგრელოს სოფლების შემდეგ სვანეთის საზღვარსაც ვუახლოვდებით. აქ რუსი „სამშვიდობოები" დგანან. უკვე რამდენი წელია, ასეა.

მესტიაში უცხოელების დანახვა არ უკვირთ. ყოველ ნაბიჯზე შეგხვედებიან გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი თუ იაპონელი ტურისტები. ისინი შორტებსა და სვანურ ქუდებში გამოწყობილები უძველესი კოშკებისა და ეკლესიების სანახავად, მთების დასალაშქრად მიემართებიან.

ზურგჩანთამოკიდებულებს რომ გვხედავენ, ბავშვებს უცხოელები ვგონივართ და „ჰელოუს" ძახილით გვეგებებიან. გაუმარჯოსო, რომ ვპასუხობთ, სახეზე გაკვირვება ეხატებათ. „მისტერ, თქვენ ქართულიც იცით?", – ერთი გვეკითხება კიდეც.

სვანები გულწრფელად განიცდიან, რომ ამ ძირძველი კუთხის მიმართ უცხოელები უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებენ, ვიდრე ქართველები.

კითხვა-კითხვით რამდენიმე პედაგოგს ვპოულობთ და სკოლების პრობლემებზე ვესაუბრებით.

მიხეილ ხერგიანის სახელობის სკოლა: გზად მწვერვალებისკენ

დაბა მესტიაში სულ სამი სკოლაა, სადაც 400-მდე მოსწავლე სწავლობს. ქალბატონი ნატო გვარლიანი მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის სკოლის დირექტორია. შენობა ახლად გარემონტებულია და შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ სკოლას უამრავი პრობლემა აქვს მაინც. მოუგვარებელია გათბობის საკითხი: სისტემამ ვერ გაამართლა და მალევე მოიშალა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სარეაბილიტაციო სამუშაოები ზაფხულში ჯერაც არ მიმდინარეობდა.

სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. დირექტორის ინფორმაციით, რამდენიმე კომპიუტერი კი გადასცეს, მაგრამ, სამწუხაროდ, კაბინეტის მოწყობა ვერ მოხერხდა. სიტუაციის გამოსწორებას ახალი სასწავლო წლისთვის ვარაუდობენ. ამავე პერიოდისთვის იგეგმება ინტერნეტის საკითხის მოგვარებაც.

ამ სკოლაში მუშაობს და სასწავლებლის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიხეილ ხერგიანის და – ნაზო ხერგიანი. ის ბავშვებს ფიზიკურ კულტურას ასწავლის და მიუხედავად ასაკისა, ახლაც დაჰყავს ახალგაზრდები მთებისა თუ მყინვარების დასალაშქრად. სკოლაში მთამსვლელობისა და მეკლდეურობის წრე მუშაობს, სადაც მოზარდები კლდეზე ცოცვის ტექნიკას ეუფლებიან.

ნატო გვარლიანი

სვანეთი არაერთი ცნობილი მთამსვლელით იწონებს თავს. ნაზო მასწავლებელიც ცდილობს, ღირსეულად გააგრძელოს სვანური ტრადიციები, მოზარდებს ცნობილი მთამსვლელების შესახებ მოუთხროს და ამ სპორტის მიმართ ინტერესი გაუღვივოს. იგი სხვა კლასგარეშე ღონისძიებების ინიციატორიცაა და სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან ერთად ახალ-ახალ გეგმებს აწყობს. დღეს ყველაზე მეტ პრობლემას ის ფინანსურ უზრუნველყოფასა და კომუნიკაციების დეფიციტში ხედავს.

ნაზო მასწავლებელს სჯერა, რომ სვანეთში კიდევაც დაიზრდებიან ჯაფარიძეები, ხერგიანები, ბარლიანები, წერედიანები, გურჩიანები, მარგიანები, ნიგურიანები... რომლებიც არ შეუშინდებიან უშბას, შხარას და ევერესტსაც კი.

ნაზო ხერგიანი

იამზე კვიციანი

მაზერის სკოლა: გზად უშბის მწვერვალებისა და შდგრას ჩანჩქერისკენ

მაზერი ბეჩოს თემში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სოფელია. ავტობუსი მესტიიდან მაზერში კვირაში ორჯერ – მხოლოდ სამშაბათობითა და ხუთშაბათობით დადის. ჩვენ მესტიის პოლიციის უფროსის დახმარებით ვხვდებით იქ. უშბისკენ მიმავალ გზაზე ეს ბოლო სოფელია, საიდანაც ორიოდე საათის სავალზე ულამაზესი შდგრას ჩანჩქერია. ტრადიციულად, მაზერში ბანაკდებიან ხოლმე უშბისკენ მიმავალი ალპინისტები. მთამსვლელებს სვანეთში დიდ პატივს სცემენ.

სკოლის ეზოში ვბანაკდებით. წყლის მოსატანად, სულ მცირე, კილომეტრის გავლა გვიწევს. როგორც აგვიხსნეს, სკოლამდე წყლის მიყვანას დაახლოებით 500 ლარი სჭირდება, თუმცა ადმინისტრაცია პრობლემის გადაჭრას საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს. ადგილობრივ ხელისუფლებასაც, როგორც ჩანს, საამისოდ ჯერ არ სცალია.

სოფელ მაზერის სკოლაში 70-მდე მოსწავლე სწავლობს. რამდენიმე წლის წინ იგი ერთ-ერთ სახლში იყო განთავსებული. ორი წლის წინ სკოლა ნაწილობრივ გარემონტდა, მაგრამ ბოლო დროს თითქმის აღარაფერი შემატებია. უწყლობა სხვა პრობლემებს თითქოს ჩრდილავს კიდეც, თუმცა გათბობის საკითხიც მოუგვარებელია და ახლადშეღებილი კედლები კვლავ შეშის ღუმელების მოლოდინშია.

სკოლას არც კომპიუტერული კლასი აქვს. მართალია, მას რამდენიმე კომპიუტერი გადასცეს, მაგრამ საკლასო ოთახები არ არის მოწყობილი იმდენად უსაფრთხოდ, რომ ლაბორატორიის შექმნა მოხერხდეს. აქ არც ინფორმატიკის მასწავლებელია, რომელიც ამ კაბინეტს მოაწყობდა და უხელმძღვანელებდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იამზე კვიციანი ჩივის, რომ სკოლას არც ბიბლიოთეკა აქვს:

„სახელმძღვანელოებში მოცემულია ნაწყვეტები სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებიდან. მოსწავლეს ხომ უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მთლიან ნაწარმოებზე. ჩვენს ბავშვებს ამის საშუალება არა აქვთ. ძნელია ასე მუშაობა".

სოფელ ეცერის სკოლა: გზად სვანური სიწმინდეებისკენ

ეცერში მაზერის მთიდან ვაპირებთ გადასვლას. ამ გზით ტბაზე მოვხვდებით. მაზერის ტბა ბეჩოსა და ეცერს შუა აზიდულ მთაზე მდებარეობს. იქვე აღმართულია მთავარანგელოზის ეკლესია. აქაურები ტბის დაბინძურებას ერიდებიან, რადგან სჯერათ, რომ წყლის წაბილწვა ღვთის რისხვას გამოიწვევს და აუცილებლად გაავდრდება.

ღამით ტბის სიახლოვეს ვბანაკდებით, თქმულებას არ ვუჯერებთ და დილით ტბაში ვბანაობთ. შემდეგ ეცერისკენ ვაგრძელებთ გზას. მეორე დღეს ისეთი კოკისპირული წვიმა მოდის, შავღელეზე მეწყერი წვება და ნახევარი დღე მესტიამდე გზაც იკეტება.

სოფელი ეცერი დადეშქელიანების უძველესი და უდიდესი ციხესიმაგრით არის ცნობილი. მოედანზე იფნის ხე დგას, გარშემო შემოწყობილი ქვებით. გადმოცემის მიხედვით, ძველ დროში აქ დადეშქელიანები დამნაშავეებს ასამართლებდნენ.

ეცერელებმა განსაკუთრებული მასპინძლობა იციან, რაშიც ამჯერადაც ვრწმუნდებით. ჩვენი მასპინძელი მათემატიკის მასწავლებელი ლელა გურჩიანია.

ამ უმუშევრებით სავსე ქვეყანაში სვანეთში არაერთი სამუშაო ადგილია, თუმცა სპეციალისტები იქამდე ძნელად აღწევენ.

ეცერის სკოლას, უკვე რამდენიმე წელია, რუსულის მასწავლებელი არ ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შეუძლია სოფლის ახალგაზრდობა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოს, ამ შესაძლებლობას თითქმის არავინ იყენებს. ქალბატონი ლელა გვიხსნის: „გოგოები ხშირად მიდიან სასწავლებლად, თუმცა უნივერსიტეტის

ლელა გურჩიანი

დასრულების შემდეგ იშვიათად ბრუნდებიან მშობლიურ სოფელში. ბიჭებს ამის სურვილი არ აქვთ. აქ სამუშაოდ ჩამოსვლას სხვებიც არიდებენ თავს ხელფასის სიმცირისა და რთული საცხოვრებელი პირობების გამო. მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. მიგრაცია სოფლიდან ძალიან დიდია“.

ზემო სვანეთის პედაგოგები მართლაც ბევრს აკეთებენ, რათა ბავშვებში სწავლისა და რეგიონში დარჩენის მოტივაცია გაზარდონ. ლელა მასწავლებელსაც ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევს სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე.

მიუხედავად სირთულეებისა, ეცერის მასწავლებლები საკუთარ ყოფას არ უჩივიან და პროფესიულ წინსვლასაც ენთუზიაზმით ცდილობენ. მათი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების სიმცირეა.

„მასალის მოძიება ჩვენთვის ძალიან რთულია. დღემდე არ არის სოფელში ინტერნეტი, თუმცა გვპირდებიან, რომ იანვრიდან გვექნება. ჯერჯერობით კი საქმე ასეა: მასალისა და სიახლეების მოსაძიებლად ჩვენი წარმომადგენელი თბილისში უნდა ჩავიდეს, ინფორმაცია მოიპოვოს და აქამდე მოიტანოს. ხშირად ისე ხდება, რომ რაც სხვაგან აქტუალურია, სოფელში მოგვიანებით ვიგებთ. ძალიან ჭირს ახალი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები. მართალია, რესურსცენტრები გარკვეულ მასალებს გვიგზავნიან, მაგრამ ჩვენ მეტი გვჭირდება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის არანაირი მასალა არ გვაქვს, გარდა იმისა, რასაც ტრენინგებზე გვირიგებენ. სურვილი და ენთუზიაზმი კი, მართლაც, დიდია. ყოველთვის ვცდილობთ, ინტენსიურად დავესწროთ ტრენინგებს, რათა სიახლეები სკოლამდე მივიტანოთ,“ – ამბობს ლელა გურჩიანი.

ბოლო დროს ბავშვებში სწავლის მოტივაცია შესამჩნევად გაიზარდა, ხორციელდება პრეზიდენტის პროგრამაც. ფრიადოსანმა მოსწავლეებმა საჩუქრად კომპიუტერები მიიღეს.

მოსწავლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, სოფელ ეცერის სკოლა დოტაციურია. მასწავლებლები სახელმწიფო ვაუჩერზე არიან დამოკიდებულები, 30%-იანი გადასახადი კი პედაგოგების ანაზღაურებას მძიმე ტვირთად აწვება. გარდა ამისა, ზემო სვანეთის მასწავლებლებს ის შეღავათები მოეხსნათ, რაც ადრე ჰქონდათ.

სვანური მოგზაურობა სრულდება. ვემშვიდობებით შხარას და თეთნულდს, უშბას და შდგრას ჩანჩქერს. ვემშვიდობებით სვანურ კოშკებსა და ულამაზეს პეიზაჟებს. გზა კვლავ თბილისისკენ მოემართება. ჩვენც იმ იმედით ვბრუნდებით, რომ მომავალ წელს სვანეთში ჩასულებს პრობლემების ნაწილი მაინც მოგვარებული დაგვხვდება, მათ შორის უმთავრესი: ინტერნეტი, ელემენტარული სასკოლო ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკები... მასწავლებლები კი უფრო მეტად დაფასდებიან.

მესტია

სკოლა, სადაც ქართველი და ოსი ბავშვები ერთად სწავლობენ

ხათუნა გოგაშვილი, თინათინ მოსიაშვილი

თამაზ ცირეკიძე და ზურაბ თებუნიძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანის საჯარო სკოლის მესამე კლასში სწავლობენ. თებუნიძეები ოსები არიან, ცირეკიძეები – ქართველები, თუმცა ეს ბიჭების მეგობრობას სულაც არ უშლის ხელს. ისინი სულ ერთად არიან კლასშიც, შესვენებაზეც და გაკვეთილების შემდეგაც.

15 სექტემბერს არეშფერანის საშუალო სკოლაში ოსი და ქართველი ბავშვები კვლავაც ერთად მიუსხდნენ მერხებს. ეს სკოლა ერთადერთია ლაგოდეხის რაიონსა და კახეთშიც, სადაც განათლების მიღება ქართულ და ოსურ ენებზე შეიძლება.

არეშფერანში ადრე, ძირითადად, ოსები სახლობდნენ. კახეთში, ყვარლისა და ლაგოდეხის ქართულ და ოსურ სოფლებს შორის 90-იანი წლების კონფლიქტი სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, თუმცა პრობლემები ნამდვილად იყო. შემდეგ, საყოველთაო გაჭირვებისას, ბევრი ოსური ოჯახი აიყარა, ზოგმა ისევე მიატოვა ყველაფერი, ზოგმა – სახლი გაყიდა და სხვაგან გადასახლდა... არეშფერანში ახლა ქართველები და ოსები ერთად ცხოვრობენ. ბოლო დროს სოფელმა აჭარიდან ეკოლოგიურ პრობლემებს გამოქცეული ხალხიც შეიფარა.

სასწავლო კერა – ორკლასიანი სასწავლებელი არეშფერანში 1907 წლიდან არსებობდა. მის ბაზაზე ჯერ დაწყებითი ოსური სკოლა გაიხსნა, რომელიც 1937 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა. 50-იან წლებში აქ ახალი, ორსართულიანი შენობა აშენდა. XXI საუკუნის დასაწყისშიც ეს ერთ დროს მთელ რაიონში ულამაზესი სკოლა „სულს ღაფავდა“: კედლები ჩამონგრეული იყო, ფანჯრები ჩამტვრეული, სამასწავლებლოს ჭერიდან ცა ჩანდა და ზოგიერთ საკლასო ოთახში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ.

ხეებით დაჩრდილულ ეზოში 90-იანი წლების კონფლიქტის მოწმედ რჩებოდა მაღალი კვარცხლბეკი, მასზე შერჩენილი კოსტა ხეთაგუროვის ქანდაკების ნაწილებით. ძეგლი 1959 წელს გაიხსნა, 90-იან წლების დასაწყისში კი ააფეთქეს. ამა თუ იმ ერის გამოჩენილ შვილთა ძეგლების ნგრევა–შებღალვა ხომ კონფლიქტების თანმდევი მოვლენაა.

2004 წელს ქართველ ჟურნალისტთა ჯგუფმა, ნაირა ბეპიევთან და მოქანდაკე მერაბ გაგლოევთან ერთად ქანდაკება აღადგინა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მაშინ დადებული პირობა შეასრულა: დღეს სასწავლებელი გარემონტებული და აღჭურვილია.

სკოლაში 114 მოსწავლე და 28 მასწავლებელია, უმეტესობა ეროვნებით ოსია.

სასკოლო ავტობუსით არეშფერანში ყოველდღე მიჰყავთ მოსწავლეები მეზობელი ოსური სოფლებიდან – ბოლქვიდან და ფიჩხიბოგირიდან.

ადრე ოთხი კლასის ჩათვლით სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა, შემდეგ კი – რუსულად (ისე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სკოლებში), რუსულად სწავლა კი კახეთში გაზრდილ ოს ბავშვებს საკმაოდ უჭირდათ, თუმცა უჭირდათ ქართულიც და შემდეგ უმეტესობა სასწავლებლად რუსეთში მიდიოდა.

ახლა პირველი კლასიდან მოსწავლეები ქართულს და ოსურს ეუფლებიან. ოსური ენის გაკვეთილს ზოგიერთი ქართველი ბავშვიც ესწრება, ზოგი შერეულ ოჯახში იზრდება, ზოგს მეზობლების ენის უკეთ შესწავლა უნდა.

ამას წინათ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლაიმონას ტარატ კელპე, დაინტერესებული იმით, როგორ ცხოვრობენ ეთნიკური ოსები კონფლიქტის პირობებში, არეშფერანს ეწვია. **„ჩამოვედი, რომ ვნახო, როგორ ცხოვრობს ეს ორი ხალხი ერთი მუნიციპალიტეტის რეალობაში. ადამიანები თავად საუბრობენ იმის შესახებ, რომ მათ შორის კონფლიქტები არ არის. აქ მრავალი თაობის შერეული ოჯახები ცხოვრობენ. გულწრფელად**

შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი სკოლის ნახვა ბევრ ლიტვურ სოფელში გაგიძნელდებათ. ყოველგვარი გადამეტების გარეშე მინდა აღვნიშნო, რომ აქ სწავლისთვის, მართლაც, საჭირო პირობებია. მთავარია, იყოს მშვიდობა, ურთიერთგაგება; არ უნდა ავყვეთ პროპაგანდას, რომელიც მიმართულია ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებისკენ. საქართველო ამტკიცებს, რომ აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხს შეუძლია მშვიდობით იცხოვროს და განვითარდეს“, – განაცხადა ლიტველმა დიპლომატმა.

სკოლის პედაგოგებიც არაფერს იშურებენ, რომ მოსწავლეებმა შეძლებისდაგვარად მაღალი განათლება მიიღონ. დირექტორი, თამაზ კაპანაძე აცხადებს, რომ ეროვნული გამოცდების ჩაბარება ამ სკოლაში აღზრდილებს არ უჭირთ: „ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები, როგორც ქართველები, ასევე ოსები, თითქმის ყოველ წელს წარმატებით ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში, მაგალითად, წელს 70 %-იანი დაფინანსება მიიღო თინა გაბუევამ, რომელიც ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა“.

ამ სასწავლო წლის დასაწყისში არეშფერანის სკოლა გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა: ოსურენოვანი სახელმძღვანელოები გასულ წლებში ცხინვალიდან შემოჰქონდათ. წელს ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება: „თბილისში ასეთი სახელმძღვანელოები არ იბეჭდება. ცხინვალიდან სხვადასხვა საშუალებით, როგორც ვახერხებდით, ისე ვიძენდით. წელს ძველი შემორჩენილი წიგნებით მოგვიწევს ხელმძღვანელობა“, – ამბობს დირექტორი.

იყო კიდევ ერთი მწვავე პრობლემა: სასკოლო ავტობუსი, რომელიც განათლების სამინისტროს დახმარებით მეზობელი ოსური სოფლებიდან მოსწავლეთა გადაადგილებას უზრუნველყოფდა, შეიძლება გაჩერებულიყო. არადა, ბოლქვსა და ფიჩხიბოგირში სკოლები აღარ არსებობს და, როგორც ზემოთ ვთქვით, იქაური მოსწავლეები არეშფერანში დადიან. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელის გია გოზალიშვილის განმარტებით, სექტემბრის თვის საწვავის ხარჯები ადგილობრივმა ბიუჯეტმა გაიღო. რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, მანანა ჩიკვაიძეც აცხადებს, რომ არეშფერანის სასკოლო ავტობუსს გაჩერება არ ემუქრება. იმ შემთხვევაში, თუ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი დაფინანსებას ვეღარ შეძლებს, ხარჯებს კვლავ განათლების სამინისტრო გაიღებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური რესურსების დეპარტამენტის სამსახურის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი ვახტანგ ნოზაძე აცხადებს, რომ სექტემბერში მოთხოვნილი თანხა სკოლას უკვე გადაურიცხეს.

არეშფერანისგან განსხვავებით, საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებათ სწავლა სოფელ ფონას რუსულ-ქართულ საჯარო სკოლაში. სკოლის სახურავი დაზიანებულია და წვიმიან ამინდში შენობაშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ. შენობას სასწრაფო შეკეთება სჭირდება.

შეხვედრა არეშფერანში

სამინისტროში ამბობენ, რომ 2011 წლამდე საქართველოში ეტაპობრივად ყველა სკოლა და, მათ შორის, ფონას სკოლაც შეკეთდება.

და ბოლოს

„ამ დღეებში მაინც თამაზსა და ზურაბს რომ ვუყურებ, სულ ვფიქრობ, რატომ უნდა შეეცადოს ვინმე ამ ბავშვების დაშორებას? როგორ უნდა მოუბრუნდეს ადამიანს ხელი საომრად?“ – ამბობს არეშფერანის სკოლის დირექტორი თამაზ კაპანაძე. ის იმედოვნებს, რომ მისი აღსაზრდელები მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ, ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ნიშნად კი კახეთის ამ ლამაზ სოფელში მუდამ იდგება ძეგლი-სიმბოლო – კოსტა ხეთაგუროვის აღდგენილი ქანდაკება.

თამაზ კაპანაძე

კავკასიის მოსახლეობა და მათემატიკა

მზია დადვანი, *დაბა აგარის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი*

მასწავლებელი მუდმივ კვლევასა და ძიებაშია. ის უწყვეტად აკვირდება სწავლების პროცესს და სასურველი შედეგის მისაღწევად, მრავალგვარ მეთოდს მიმართავს. მეც ვცდილობ, მათემატიკის სწავლებაში გამოკვეთილი პრობლემების დასაძლევად და მოსწავლეებში მოტივაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ხერხი გამოვიყენო.

როგორ მოვახდინო მათემატიკაში მიღებული ცოდნის რეალიზაცია? როგორ დავუკავშირო მისი სწავლება სხვადასხვა სასკოლო დისციპლინას? როგორ ვასწავლო ცხოვრებისეული სირთულეების გადაჭრისა და არასტანდარტული სახის ამოცანების ამოხსნის გზები მათემატიკის დახმარებით? და ბოლოს, როგორ „გავაცოცხლო" მათემატიკა? — ეს არის ის საკვანძო საკითხები, რომელზეც აღნიშნული საგნის მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს.

სხვადასხვა პედაგოგის გამოკითხვამ და გაკვეთილებზე დაკვირვებამ დამანახა, რა საკითხები უადვილდებოდათ და რა საკითხები უძნელდებოდათ ბავშვებს. გამოიკვეთა, რომ:

* მოსწავლეებს არა აქვთ განვითარებული სასკოლო დისციპლინებში მათემატიკის ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევა.
* ისინი ვერ ხვდებიან, რომ მათემატიკაში მიღებული ცოდნით შესაძლებელია რთული სიტუაციის თვალსაჩინო წარმოდგენა, მოვლენების ახსნა და შედეგების განჭვრეტა.

ბუნებრივია, მსგავსი სახის პრობლემების აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო. გადავწყვიტე, რომ თითქმის ყველა თემა, რომელიც მათემატიკაში ისწავლება, სხვადასხვა დისციპლინასა და მეცნიერებასთან დამეკავშირებინა, ასევე, ყოველი თემის შესასწავლად შესაბამისი სიტუაციური ამოცანა მომეგონებინა. ამ გზით მოსწავლეებს ვაჩვენებდი მათემატიკის მჭიდრო კავშირს პრაქტიკასთან და ვასწავლიდი, როგორ უნდა მოეხდინათ მათემატიკაში მიღებული ცოდნის რეალიზება, როგორ გადაეჭრათ ცხოვრებისეული ამოცანები მათემატიკის დახმარებით.

შეკითხვაზე, რამდენად იყენებს მათემატიკას გეოგრაფიის გაკვეთილებზე, VIII კლასის გეოგრაფიის მასწავლებელმა ნინელი ხაპირაშვილმა მიპასუხა: „გაკვეთილებზე ინტენსიურად



მზია დადვანი გაკვეთილზე

ვიყენებთ მათემატიკას, მაგალითად: მასშტაბის მიხედვით ორ პუნქტს შორის მანძილის გამოთვლისას, მოსახლეობის სიმჭიდროვის ხვედრითი წილის, ბუნებრივი ნამატის გამოანგარიშებისას, დიაგრამებისა თუ გრაფიკების აგებისას. გეოგრაფია მჭიდრო კავშირშია სტატისტიკასთან, სტატისტიკა კი მათემატიკის ნაწილია".

მას შემდეგ, რაც გეოგრაფიის მასწავლებელთან ის საკითხები დავაზუსტე, რომელთა შესწავლის დროსაც მათემატიკაში მიღებულ ცოდნას იყენებენ, ერთი გაკვეთილი მთლიანად დავუთმე მსგავსი თემების განხილვას.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები ოთხ ჯგუფად დავყავით. გეოგრაფიის მასწავლებელმა მათ ერთნაირი ცხრილები დაურიგა, რომლებშიც მოცემული იყო კავკასიის 12 სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეგიონის ტერიტორიის ფართობები და მოსახლეობის რაოდენობა სხვადასხვა წლებში. მოსწავლეებს დაევალათ მოსახლეობის ხვედრითი წილის გამოთვლა, ასევე, მისი სიმჭიდროვის გამოანგარიშება ერთ კვადრატულ კილომეტრზე და

მუშაობა ჯგუფებში

მიღებული შედეგით ცხრილის შევსება.

მას შემდეგ, რაც ჯგუფის ლიდერებმა ნამუშევრების პრეზენტაცია დაასრულეს, დადგა ჩემი, როგორც მათემატიკის მასწავლებლის, პროცესში აქტიურად ჩართვის დროც.

მოსწავლეებს ვთხოვე, დაეკონკრეტებინათ, როგორ გამოიყენეს მათემატიკაში მიღებული ცოდნა გეოგრაფიის დავალების შესასრულებლად. ბუნებრივია, მათ იოლად ახსნეს ჩატარებული პროცედურების არსი და სხვა დისციპლინების სწავლისას მათემატიკის ცოდნის საჭიროება და აუცილებლობაც დაადასტურეს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა მიიღეს ახალი დავალება, მოცემული შედეგების მიხედვით აეგოთ დიაგრამები. *დიაგრამების საშუალებით, მოზარდებმა კიდევ ერთხელ დაინახეს, რომ კავკასიის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აზერბაიჯანელებზე მოდის.*

გაკვეთილის დარჩენილი დრო სიტუაციური ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენეთ. მოსწავლეებს დავუსვით შეკითხვა: გაიხსნება თუ არა აგარის სკოლაში რუსული სექტორი, თუ ცნობილია, რომ სექტორი იხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი 10%-ზე მეტია (მათ წინასწარ მივეცით დავალება, მოეძიებინათ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს აგარაში, დაედგინათ არაქართველი მოსახლეობის რაოდენობაც). ისინი ხალისით მუშაობდნენ, ბოლოს დაასკვნეს, რომ მას შემდეგ, რაც არაქართველი მოსახლეობა სხვადასხვა რეგიონში გადავიდა საცხოვრებლად, აგარაში მათი რაოდენობა შემცირდა, ამიტომ დაბის სკოლაში რუსული სექტორი არ გაიხსნება.

მოსწავლეებს ვთხოვე, მოეხდინათ აღნიშნული გეოგრაფიული ამოცანის მათემატიკური ინტერპრეტაცია, ანუ ამოცანა მათემატიკურად ჩამოეყალიბებინათ. გამოთქმული მოსაზრებები დაფაზე დავწერეთ. მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხვედრითი წილის პოვნა პროცენტის საშუალებით შეიძლება.

მათემატიკისა და გეოგრაფიის ინტეგრირებით მოსწავლეებს ორი ჩვეულებრივი გაკვეთილიდან ერთი უჩვეულო სტრუქტურის გაკვეთილი შევთავაზეთ, რაც მათთვის მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა.

ვფიქრობ, მოსწავლეთა მათემატიკით დაინტერესება სხვადასხვა გზით შეიძლება. მათი გამოყენება აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ გავითვალისწინებთ კლასის ინდივიდუალურობას, მოზარდთა ასაკს, მათ ინტერესებს. პედაგოგებს დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რათა გაკვეთილები მრავალფეროვანი და საინტერესო გავხადოთ. მოსწავლეებს უნდა ვაგრძნობინოთ და დავანახოთ, რომ მათემატიკა თითოეული ჩვენგანის ცხოვრების აუცილებელი და ამასთან, სასიამოვნო ნაწილიც არის.

■

„დიოგენეს“ კონკურსი მათემატიკის მასწავლებლებისთვის

გამომცემლობა „დიოგენეს“ ინიციატივით გაიმართა კონკურსი „სასწავლო მასალები და თვალსაჩინოებები დაწყებითი კლასებისათვის“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მათემატიკის პედაგოგთა შორის. კონკურსის მიზანი იყო სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირებული მასწავლებლების გამოვლენა და წახალისება.

2008 წლის 15 ივლისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაწყებითი კლასის მასწავლებლების კონფერენცია და კონკურსის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

კონკურსში გაიმარჯვა ოზურგეთის № 5 საჯარო სკოლის პედაგოგმა ქეთევან ქადიეშვილმა, რომელმაც საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი მიიღო. II ადგილზე ტყიბულის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი თამარ მერკვილაძე გავიდა, III-ზე – ამბროლაურის № 1 საჯარო სკოლის პედაგოგი იზოლდა ჯოხაძე-მიქიაშვილი. მათ ფულადი პრემიები გადაეცათ.

მათემატიკის II კლასის სახელმძღვანელოს უფასო კომპლექტი მთელი კლასისთვის მიიღეს პედაგოგებმა: ნინო ადუაშვილმა (გორის № 11 საჯარო სკოლა), ლუიზა კობახიძემ (ამბროლაურის № 2 საჯარო სკოლა), ჯულიეტა ბოკუჩავამ (კრწანისის საჯარო სკოლა), ნანა ბურძენიძემ (ჭიათურის № 5 საჯარო სკოლა), ციალა მაჭარაშვილმა (ტყიბულის № 1 საჯარო სკოლა), ლენა ბალარჯაშვილმა (თელავის № 2 საჯარო სკოლა), ინგა ფირცხალაშვილმა (ლაითურის საჯარო სკოლა).

აუდიტორიის სპეციალური პრიზი გადაეცა ინგა ფირცხალაშვილს.

მათემატიკის სწავლება ფიზკულტურის გაკვეთილზეც შეიძლება

სოფო გორგოძე

აგვისტოში საქართველოში იმყოფებოდნენ განათლების სფეროს სპეციალისტები: მონპელიეში კლემანსოს საბაზო-საშუალო სკოლის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი პატრიკ ტოლედანო და მისი მეუღლე სოფი ვილკური, კონდორსეს დაწყებითი სკოლის დირექტორი. ბატონ პატრიკსა და ქალბატონ სოფის საფრანგეთში მასწავლებელთა მომზადებისა და მათი პროფესიული განვითარების შესახებ ვესაუბრეთ.

საფრანგეთის განათლების სისტემაში მკვეთრად გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ერთია შინაარსობრივი მხარე – ყველაფერი, რაც სწავლა-სწავლების საკითხებს მოიცავს და მეორე – ადმინისტრაციული, ეს ორი ხაზი მიზანმიმართულად არის გამიჯნული ერთმანეთისგან. „ვინც პედაგოგიურ მიმართულებაზე ზრუნავს, ფინანსებსა და ადმინისტრაციას არ ეხება, რაც ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. სწორედ ამიტომ, პედაგოგიური მიმართულებით მომუშავენი მაღალი ნდობით სარგებლობენ. ეს ითქმის ინსპექტორებზეც“ – გვიამბობს ბატონი პატრიკი.

ინსპექტორები საფრანგეთის სკოლებში სწავლების ხარისხს ამოწმებენ. სწორედ მათ ევალებათ პედაგოგიკის საკითხების კონტროლი და მასწავლებლის მუშაობის შემოწმება. ინსპექტორი წელიწადში ხუთჯერ კრებს დირექტორებს, ერთგვარ დირექტივებს აძლევს მათ და სკოლის პრობლემებს განიხილავს. ინსპექტორობა ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა, რომელზეც მხოლოდ ყოფილი მასწავლებლები ინიშნებიან – დისციპლინების მიხედვით. „მონპელიეს აკადემიაში 1000 ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი და ამ დისციპლინის მხოლოდ სამი ინსპექტორი გვყავს“, – ამბობს ბატონი პატრიკი. განსაკუთრებული ყურადღებით აკონტროლებენ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს. დაწყებით საფეხურზე თითო ინსპექტორს 40 სკოლაზე მეტი არ შეიძლება ჰყავდეს.

პატრიკ ტოლედანო

დაწყებითი სკოლა ორი ძირითადი საფეხურისგან შედგება: სამწლიანი სკოლამდელი და ხუთწლიანი ელემენტარული. საბაზო საფეხური 4 წელს მოიცავს, ლიცეუმი – 3 წელს.

დაწყებით კლასებში ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის. ისინი ისე არიან მომზადებულნი, რომ ამ საგნების სწავლება არ უჭირთ.

„მე ვერ ვმღერი, მაგრამ ბავშვებს ვამღერებდი, ამისათვის კი დამხმარე საშუალებებს ვიყენებდი: ინსტრუმენტს, ფირსაკრავს, ვიზუალურ სქემებს, – ამბობს ქალბატონი სოფი, – რამე თუ არ მეხერხება, ეს პრობლემას არ მიქმნის. რა არის ჩვენი ამოცანა? დაწყებითში ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ თითოეული მოსწავლე გაიხსნას და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. როცა ვხედავ, რომ მოსწავლეს მათემატიკის სწავლა უჭირს, ვცდილობ, სხვა საგანს მივმართო. მაგალითად, ფიზკულტურის დახმარებით მათემატიკურ ამოცანას ამოვახსნევინებ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, სხვადასხვა მასწავლებელი შევიდეს დაწყებით კლასებში. ეს ბავშვებს ავნებს“.

მართალია, ყველა საგანს ერთი პედაგოგი ასწავლის, მაგრამ მოსწავლეებს ყოველ წელს ეცვლებათ მასწავლებელი, ანუ თუ მესამე კლასში ერთი ასწავლიდა, მეოთხეში სხვა შედის.

რაც შეეხება მასწავლებელთა მომზადებას, იმისთვის, რომ პედაგოგი გახდე, უმაღლეს სასწავლებელში სამი წელი უნდა ისწავლო და ლიცენზია აიღო. საფრანგეთში მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო ინსტიტუტები არსებობს, სადაც ლიცენზიის მიღების შემდეგ, მომავალი პედაგოგები ერთი წლის განმავლობაში ემზადებიან კონკურსზე გასასვლელად. თუმცა ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია, პირდაპირ ლიცენზიის აღების შემდეგ გავიდეს კონკურსზე.

სკოლები ყოველ წელს აცხადებენ ადგილების გარკვეულ რაოდენობას ახალი მასწავლებლების მისაღებად. „მაგალითად, თუ 1000 ადგილია, კონკურსზე შეიძლება გავიდეს 10000 მსურველი. ისინი ჯერ წერით გამოცდას აბარებენ, შემდეგ კი, დაახლოებით, 2000 კონკურსანტი შეირჩევა და მათ ზეპირ გამოცდას უტარებენ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: პედაგოგიკის სპეციალისტი, საგნის მასწავლებლები და ინსპექტორები", – ამბობს ბატონი პატრიკი.

კონკურსში გამარჯვებულები, ფუნქციონერ-სტაჟიორის სტატუსით, მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო ინსტიტუტებში ერთწლიან მომზადებას გაივლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლაში ნახევარ შტატზე იმუშავებენ და თან საუნივერსიტეტო ინსტიტუტში დახელოვნდებიან. ფუნქციონერ-სტაჟიორი კვირაში 8 საათს მუშაობს, მასწავლებელს კი 18-საათიანი განაკვეთი აქვს. სტაჟირებას გადიან, მიდგომებს ხვეწენ, პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის გზებს ეძებენ. წლის დასასრულს კომისია გადაწყვეტს, მიანიჭოს თუ არა სტაჟიორს საჯარო პირის – მასწავლებლის წოდება.

კომისიისთვის წარსადგენად სტაჟიორმა საკუთარ პროფესიულ გამოცდილებასთან დაკავშირებული კვლევა უნდა მოამზადოს. მოწმდება კომპეტენციის სამი დონე: პედაგოგიური საქმიანობა, პროფესიული ეთიკა და ურთიერთობა სკოლის პარტნიორებთან, კოლეგებთან, სკოლის გარეთა ინსტიტუტებთან. პარალელურად, ინსპექტორი გაკვეთილებს ესწრება და აფასებს, თეორიული რეფლექსიის რა უნარი აქვს მასწავლებელს, რას ასწავლის, რამდენად შეუძლია კლასის მართვა, შეუძლია თუ არა მუშაობა ამ სისტემაში. კონკურსის გავლის შემდეგ მასწავლებელი სერტიფიკატს იღებს, რომელიც მის პროფესიონალიზმს ადასტურებს და პედაგოგის წოდებას ანიჭებს. თუ გამოცდას პირველ ცდაზე ვერ ჩააბარებს, სტაჟიორს უფლება აქვს, კიდევ ერთი წლის განმავლობაში დარჩეს ფუნქციონერ-სტაჟიორად, შემდგომი წარუმატებლობის შემთხვევაში კი – იგი გაირიცხება.

მასწავლებლის პროფესიული ზრდის 11 საფეხური არსებობს. მხოლოდ მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენ ხანში გაივლის ამ საფეხურებს. ფუნქციონერ-მასწავლებელი, პირველი საფეხურია, მე-11 საფეხურზე კი ხელფასი უკვე ორჯერ აღემატება დამწყებისას.

„შესაძლებელია, დროზე ადრე ახვიდე მაღალ საფეხურზე. საბაზო-საშუალო დონეზე გაკვირდებიან, რამდენად აქტიური ხარ. ამისთვის პედაგოგიურ პროექტებს უნდა ახორციელებდე, ბევრ სხვა საქმიანობაში უნდა იყო ჩართული. ზოგჯერ კონკრეტული მასწავლებლის შესამოწმებლად ინსპექტორი შეიძლება მხოლოდ წელი-

წადში ერთხელ მოვიდეს. სკოლის დირექტორსაც შეუძლია შენიშვნებისა და რეკომენდაციების მოცემა", – ამბობს ბატონი პატრიკი.

ზოგ მასწავლებელს 25 წელი სჭირდება თერთმეტივე საფეხურის გასავლელად, ზოგი კი, გაცილებით სწრაფად ახერხებს ამას. როგორც წესი, პირველიდან მეოთხე საფეხურამდე ყველა მასწავლებელი სწრაფად ადის. მეოთხე საფეხურიდან ორი არჩევანია: ვისაც კარგი შეფასებები აქვს, შეუძლია 1,5 წელიწადში გადავიდეს შემდეგ საფეხურზე. ამ ამოცანას მასწავლებელთა დაახლოებით 20% ართმევს თავს. არსებობს მეორე არჩევანიც: ამ შემთხვევაში, 2,5 წელია საჭირო შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად, რასაც მასწავლებელთა 50% ახერხებს.

აღნიშნული სისტემა 2008 წლამდე მოქმედებდა. იგი თანდათან იცვლება. მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო ინსტიტუტები ფუნქციას ნელ-ნელა კარგავენ. ხდება უნივერსიტეტებთან მათი ინტეგრირება. ახლა პედაგოგობის მსურველები უნივერსიტეტში 5 წელიწადს ისწავლიან მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად და მხოლოდ ამის შემდეგ გაივლიან კონკურსს. გაუქმდება სავალდებულო ერთწლიანი სტაჟიც.

რაც შეეხება დაფინანსებას, სტუდენტები სწავლის საფასურად არც ისე დიდ თანხას იხდიან – დაახლოებით 200 ევროს წელიწადში. მაგისტრატურაში სწავლა შედარებით ძვირია. „სახელმწიფო თანხის ძალიან დიდ ნაწილს თავად იხდის. შემიძლია ვთქვა, რომ საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლა თითქმის ყველაზე იაფია ევროპაში", – ამბობს ბატონი პატრიკი.

ქალბატონი სოფის აზრით, მასწავლებლობა საფრანგეთში პოპულარული პროფესიაა, თუმცა ამავე დროს – საკმაოდ რთულიც.

სტატიის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქალბატონ თამარ ჯაყელს.

როგორ ეხმარება მეგობრობა სწავლას

მინესოტას უნივერსიტეტის მეცნიერები იკვლევდნენ, რა გავლენას ახდენს სოციალური ურთიერთობები მოსწავლის ქცევასა და მიღწევებზე. მეცნიერებმა სწავლის პროცესში ე.წ. „კორპორატიული", ანუ თანამშრომლობითი მეთოდების უპირატესობა დაასაბუთეს. მათ 12-დან 15-წლამდე ასაკის მოსწავლეებს შორის ჩატარებული 148 კვლევის შედეგი გაანალიზეს. კვლევაში 11 ქვეყნის 17 000 მოზარდი იყო ჩართული.

დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მოსწავლეები, რომლებსაც საერთო მიზანი ამოძრავებდათ და გამოცდისათვის ერთად ემზადებოდნენ, უკეთეს ქულებს იღებდნენ.

„მასწავლებელმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს, რათა სწავლებაში სოციალური და აკადემიური მიზნები ერთმანეთს დაემთხვეს", – ამბობენ მკვლევარები.

როცა მასწავლებლები გაკვეთილს თანამშრომლობით ურთიერთობებზე აგებენ, ბავშვები თანატოლებთან მეტ მხარდაჭერასა და სიახლოვეს გრძნობენ. შესაბამისად, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაც მაღალია.

ეს მეთოდი მხოლოდ სკოლებში როდი ამართლებს. ორგანიზაციები, სადაც პერსონალს შორის თანამშრომლური და მეგობრული დამოკიდებულებაა, უფრო ეფექტურად მუშაობენ.

SceinceDaily

2008 წელი მათემატიკის წელია

2008 წელი გერმანიაში მათემატიკის წლად გამოცხადდა. გერმანიის ტელეკომმა და მათემატიკოსთა კავშირმა მათემატიკის წლის ორგანიზება უზრუნველყო. ამ პროექტის მიზანია, ხმა მიაწვდინოს მათემატიკით დაინტერესებულ ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს, აგრეთვე, მოაწყოს ტრენინგები, რომლებიც მოსწავლეებს მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის მოამზადებს.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადა 2009 წელს გერმანიაში ჩატარდება. ოლიმპიადის მთავარი ამოცანა მხოლოდ „მათემატიკოსთა" გამოვლენა კი არ იქნება, არამედ მონაწილეთა უფრო მეტად დაინტერესება ამ დისციპლინით და მის მიმართ კეთილგანწყობის გაღვივება. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს ერთგვარი პრიზი გადაეცემა.

გარდა ამისა, ტელეკომი მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებაზეც ზრუნავს და, შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, მათემატიკის გაკვეთილის გაუმჯობესების რეალურ გეგმებზე მუშაობს.

die Zeit

ბავშვებთან აღარავინ საუბრობს

გერმანიის 2007 წლის საუკეთესო საბავშვო მწერალი კირსტენ ბოიესი გახდა. მისმა ახალმა წიგნმა *„ბავშვებთან ხომ აღარავინ საუბრობს"* (Mit Kindern redet ja Keiner) დიდი აღიარება მოიპოვა. პოპულარობა, უმთავრესად, წიგნში ასახულმა პრობლემატიკამ განაპირობა. თანამედროვე ბავშვებსა და მოზარდებს ძალიან აწუხებთ, რომ მათთვის არავის სცალია, ისინი თავს მარტოსულად გრძნობენ სახლშიც, სკოლაშიც. რატომ? იმიტომ რომ მათთან აღარავინ საუბრობს.

www.teachernews.de

მომავალი თაობის აღზრდაში მშობლის როლი სულ უფრო მცირდება

დიდ ბრიტანეთში განათლების სფეროს ექსპერტები შეშფოთებული არიან იმ ფაქტით, რომ მომავალი თაობის აღზრდაზე პასუხისმგებლობა სულ უფრო მეტად ეკისრება სკოლასა და მასწავლებლებს — მშობლებს ნაკლებად აქვთ იმის სურვილი ან უნარი, რომ შვილების აღზრდაში სათანადო როლი შეასრულონ. დღევანდელი მშობლები უფრო მეტად არიან საკუთარ თავზე კონცენტრირებულნი, მათი ურთიერთობებიც გაცილებით არასტაბილურია. ამის საპასუხოდ, სკოლები იძულებული არიან, მშობლების ფუნქციები იტვირთონ.

უკვე სკოლების მოვალეობებში შედის იმის შემოწმება, ხომ არ ატარებს მოზარდი იარაღს, ხომ არ არის ყაჩაღური დაჯგუფების წევრი, ხომ არ იზიარებს ექსტრემისტულ შეხედულებებს. სკოლებს უწევთ ბავშვის მეტყველების განვითარებისა და თვით წონის კონტროლიც კი. ედ ბოლზი, სახელმწიფო მდივანი ბავშვის, სკოლისა და ოჯახის საკითხებში, მომავალი წლიდან აპირებს, სკოლებს დაავალოს მოზარდების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის, ფეხმძიმობის, ნარკოტიკების მოხმარებისა და კრიმინალის შემთხვევების აღრიცხვაც. „რაც უფრო მეტს აკეთებენ სკოლები, მით ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ მშობლები საკუთარი შვილების მიმართ," — განაცხადა მასწავლებელთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა, ფილიპ პარკინმა.

ბავშვის, სკოლისა და ოჯახის დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კარგად სწავლისთვის აუცილებელია, ბავშვს ოჯახის მხარდაჭერა ჰქონდეს. ამიტომ მთავრობამ სკოლებს დააკისრა, სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებით, მშობლებს საკუთარი ფუნქციების შესრულებაში დაეხმარონ: „სკოლები რეალურად უკვე აკეთებენ ამ საქმეს. ამდენად, ეს ახალი მოვალეობაა, მაგრამ არა – ახალი ტვირთი."

Guardian

სკოლამდელ ასაკში წერა-კითხვის სწავლება ბავშვის მომავალ აკადემიურ მიღწევებს არ განაპირობებს

ინგლისის ბავშვის, სკოლისა და ოჯახის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სექტემბრიდან სავალდებულო გახდა საბავშვო ბაღებში 3 წლის ბავშვებისთვის წერა-კითხვისა და ელემენტარული პუნქტუაციის სწავლება. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ლონდონის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, მთავრობის დაკვეთით, გამოიკვლიეს, თუ როგორ აისახება ადრეულ ასაკში წერა-კითხვის სწავლება აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამი წლის ბავშვებისთვის მარტივი წინადადებების წერისა და პუნქტუაციის წესების სწავლება არ განაპირობებს დაწყებით კლასებში მათ გამორჩეულ მიღწევებს. სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვი ეფექტურად ითვისებს წერა-კითხვას, თუ სკოლამდელ ასაკში მას აზროვნებისა და კომუნიკაციის წამახალისებელ გარემოს უქმნიდნენ.

დეპარტამენტმა განმარტა, რომ აღნიშნული კვლევა მეტისმეტად მცირემასშტაბიანი იყო და მისი შედეგები გადამწყვეტად ვერ ჩაითვლება. ამდენად, დადგენილება საბავშვო ბაღებში 3 წლის ასაკიდან წერა-კითხვის სწავლების შესახებ ისევ ძალაში რჩება, თუმცა სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმის ეს კომპონენტი სამომავლოდ გადაისინჯება.

The Guardian

მოამზადეს ნუცა კობახიძემ და თამარ ცხადაძემ. საინტერესო ამბებს, ყოველკვირეული დაიჯესტის სახით, შეგიძლიათ გაეცნოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე: www.tpdc.ge

■

როგორი უნდა იყოს „მასწავლებელი"?

ნორა აბულაძე, მარნეულის რაიონის სოფელ მოლაოღლის ქართული ენის მასწავლებელი: „ჩვენი სოფლის მოსახლეობასა და მასწავლებლებს დიდი სურვილი აქვთ, ფლობდნენ სახელმწიფო ენას. მათ კარგად ესმით, რომ ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაცია. ამიტომ კარგი იქნება, თუ პედაგოგებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნება და ჟურნალიც რამენაირად დაგვეხმარება ამ საქმეში".

მანანა ნაროუშვილი, ქუთაისის მე-4 საჯარო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი: „ყურადღებით წავიკითხე სტატია „დღეს ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლობა გმირობის ტოლფასია". ავტორს ვეთანხმები: თუ სასწავლო დაწესებულებებში მაღალ დონეზე ასწავლიან, რეპეტიტორობის ინსტიტუტი აღარ იქნება საჭირო".

ქეთევან გოგრიჭიანი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი (დაბა ადიგენი): „ყველაზე მეტად მომეწონა რუბრიკა „მასწავლებლის წიგნის თარო", რადგან ეს საკითხი პროფესიული განვითარების პრობლემას უკავშირდება.

იმედი მაქვს, რომ მალე ჟურნალის გამოწერა შესაძლებელი იქნება".

ნონა კიკნაძე, ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: „სასურველია, ჟურნალში ყველა სიახლე აისახოს, განსაკუთრებით – მეთოდური სიახლეები. ასევე საინტერესოა პრობლემურ საკითხებზე საუბარი, წარმატებული პედაგოგებისა და მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების გაცნობა".

ზვიად მიმინოშვილი, თბილისის მე-14 საჯარო სკოლის დირექტორი: „ეს ჟურნალი, პირველ რიგში, საინფორმაციო საშუალება უნდა იყოს მასწავლებლისთვის. კარგი იქნება, თუ რეგულარულად გავეცნობით სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სიახლეებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია კანონისა და უფლებების დაცვის თემაც, რადგან მიმაჩნია, რომ მასწავლებელი კარგად უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში. თანამედროვე ტექნოლოგიები და სტანდარტები ჯერ კიდევ ასათვისებელია. ჟურნალი ამ სიახლეების გაცნობაშიც უნდა დაგვეხმაროს".

მოამზადა ნინო წიკლაურმა

■

საველე კვლევა გეოგრაფიაში

მანანა რატიანი

იმისთვის, რომ გაკვეთილი ახალი მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდეს, მასწავლებელი საგნის სწავლებას შემოქმედებითად უნდა მიუდგეს. მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების ხელშესაწყობად საკლასო მეცადინეობების მიღმა ისეთი აქტივობების დაგეგმვაა საჭირო, რომლებიც მოზარდებს შესაძლებლობას მისცემს, თვითონ ჩაატარონ კვლევა ლოკალურ გარემოში. საველე კვლევები, მოსწავლეების აზრით, საინტერესო და ფასეულია. ამ დროს ისინი თავს სრულფასოვან მკვლევარებად, გადაწყვეტილებების მიმღებებად აღიქვამენ. მოცემულ შემთხვევაში, მათთვის დრო შინაარსიანად გადის, საერთო საქმეში პასიური მოსწავლეების ჩართულობაც იზრდება. ისინი ხშირად განსხვავებულ როლს ირგებენ, რაც მათ თვითშეფასებას ზრდის და ხელს უშლის ამ უკანასკნელებზე „წარუმატებელთა" იარლიყის მიწებებას. საველე კვლევის ცენტრში სწორედ მოსწავლე დგას. მოზარდებიც სიამოვნებით ერთვებიან სხვადასხვა საკითხის კვლევაში.

გეოგრაფიული მეცნიერება საველე კვლევის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა წლების მანძილზე გეოგრაფიის სასკოლო საგანი, ძირითადად, საკლასო ოთახში ისწავლებოდა და მისი სასწავლო რესურსიც მხოლოდ რუკითა და სახელმძღვანელოთი შემოიფარგლებოდა. რა თქმა უნდა, საველე კვლევა სახალისოა და მოსწავლეთათვის სასურველი, მაგრამ ნუთუ ნამდვილად საჭიროა? საველე სამუშაოების აუცილებლობაში სასკოლო ადმინისტრაციის დარწმუნება არც ისე ადვილია, რადგან კვლევა გარკვეულ მატერიალურ დანახარჯებს უკავშირდება და მას გაუმართლებელ ფუფუნებად მიიჩნევენ. ამავე დროს საველე კვლევის ჩატარებას შეიძლება იმ საგნების პედაგოგებმა გაუწიონ წინააღმდეგობა, რომელთა გაკვეთილების გაცდენაც მოუწევთ მოსწავლეებს. ასე რომ, გეოგრაფს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რა არის საველე კვლევა და წინასწარ უნდა დაგეგმოს მისი ყოველი ეტაპი.

„ექსპერიმენტული სწავლება" მოსწავლეთა მოტივაციას ამაღლებს, რადგან ისინი ინფორმაციას უშუალოდ გარემოზე ან მოსახლეობაზე დაკვირვებით მოიპოვებენ და არა სხვა ავტორის მიერ მითითებული წყაროდან.

საველე კვლევა „აღმოჩენით" ასწავლის. ასეთ დროს მიღებული ცოდნა უფრო სიღრმისეული და ძნელად დასავიწყებელია. საველე კვლევის ძლიერი მხარეა ისიც, რომ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას სოციალური უნარ-ჩვევები ვითარდება, შესასწავლი საკითხი უფრო რეალური და ხელშესახები ხდება. გეოგრაფია, როგორც გარემოს შემსწავლელი მეცნიერება, მოსწავლეებს მრავალგვარ ინფორმაციას აწვდის, რომლის ინტერპრეტაციებსაც ისინი საკუთარ კვლევაში გვთავაზობენ.

ველზე მასწავლებელი მოსწავლეების გიდი და ღონისძიების წარმმართველია. ამ დროს მოზარდთა ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად მგრძნობიარეა გარემო არარაციონალური ჩარევებისადმი, როგორ შეიძლება დაირღვეს ეს სათუთი წონასწორობა. ბავშვები ადრეულ ასაკშივე უნდა დააკვირდნენ ყველაფერს, აღწერონ მოცემული ადგილი, ბუნების კომპონენტები, შეისწავლონ მათი თვისებები. შედარებით მოზრდილები სამყაროს ინტერპრეტატორებად გვევლინებიან, მიმდინარე მოვლენების, პროცესების კანონზომიერებების ახსნას ცდილობენ. მოსწავლეები, რომლებიც დაწყებითი კლასებიდან იწყებენ გარემოს შესწავლას, უკეთ არიან მომზადებულები იმისთვის, რომ ადრეული ასაკიდანვე აიღონ პასუხისმგებლობა გარემოზე.

საველე კვლევების დაგეგმვა განსხვავდება საკლასო კვლევების დაგეგმვისგან. მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ეტაპების განსაზღვრაში. საბოლოო კვლევითი ნაშრომი რომ ვიზუალურად უფრო გამომხატველი იყოს, შესაძლებელია ველზე ფოტოგრაფირება, ჩანახატების გაკეთება და ადგილის გეგმის შედგენა.

მასწავლებელმა საკუთარ თავს მრავალი კითხვა უნდა დაუსვას, სანამ კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს:

- როგორ ესადაგება ჩემი დაგეგმილი კვლევა ეროვნულ სასწავლო გეგმას?
- როგორ ესადაგება ეს კვლევა მოსწავლეთა საჭიროებებს?
- მაქვს თუ არა საკმარისი ინფორმაცია და რესურსები კვლევის ჩასატარებლად?
- რა არსებულ მასალაზე მიმიწვდება ხელი?
- ვის მივმართო დასახმარებლად?
- ჩაუტარებიათ თუ არა მსგავსი კვლევა ჩემს კოლეგებს?
- რა ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს განუვითარებს დაგეგმილი კვლევა მოსწავლეებს?

ასევე: რას მოინახულებთ ვიზიტის ფარგლებში? ვის აირჩევთ ასისტენტად? რამდენ მოსწავლეს წაიყვანთ? რას გააკეთებენ ისინი? რა

დროს მოანდომებთ – ერთ საათს, მთელ დილას თუ მთელ დღეს? რა სახის ნაშრომი უნდა მიიღოთ კვლევის შედეგად? რა იქნება სწავლების შედეგი?

სასკოლო პოლიტიკა: მშობლების და დამრიგებლის გარდა, ვის უნდა შეუთანხმდეთ? საჭიროა თუ არა სპეციალური მოთხოვნის ფორმის შევსება გასვლამდე და ანგარიშის დაწერა ჩამოსვლისას (თუ სკოლას აქვს ასეთი ფორმა, ეს დოკუმენტაცია სკოლას აკრედიტაციის პროცესისთვის დასჭირდება)? რამდენ მოსწავლეზე რამდენი უფროსი უნდა წამოვიდეს? აქვს თუ არა სკოლას ხელშეკრულება სატრანსპორტო კომპანიასთან?

შეადგინეთ დღის განრიგი: რა დრო დასჭირდება საველე კვლევას? სად გექნებათ სადილი? რას მოინახულებთ? საჭიროა თუ არა დაკვირვების ცხრილის მომზადება და გამრავლება?

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოინახულოს შესასწავლი ადგილი და მოამზადოს გადასაცემი მასალა.

სასურველია, მშობლებს წერილობითი ფორმით აცნობოთ მგზავრობის მიზანი, ღირებულება, საჭირო აღჭურვილობა (მაგალითად, ფოტოკამერა, სანტიმეტრი, ბლოკნოტი, საკვები...), ასევე ისიც, როდის იგეგმება გასვლა და დაბრუნება. უნდა დასვათ შეკითხვა იმის შესახებაც, სპეციფიკური რამ ხომ არ სჭირდება მოსწავლეს (მაგალითად, მისაღები აქვს მედიკამენტი...).

აუცილებელია, მასწავლებელს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული, რა ტიპის ინფორმაცია უნდა მოიპოვოს, რა სახის გეოგრაფიული იდეები უნდა განავითაროს ჯგუფმა. ამისთვის მან უნდა აირჩიოს საველე მუშაობის სტრატეგიის ერთ-ერთი ფორმა.

საველე მუშაობის სტრატეგიის ნიმუში



როდესაც საველე კვლევის სტრატეგია შერჩეულია, მიზნები განსაზღვრულია და ძირითადი ეტაპები დაგეგმილი, უნდა მომზადდეს ცხრილები დაკვირვებისა და რესურსების შესაგროვებლად. მოსწავლეებს დეტალური ინსტრუქციები უნდა მისცეთ, რათა ინფორმაციის შეგროვება დაგეგმილ დროში მოხდეს. აქვე უნდა გაითვალისწინოთ ის უნარები, რომელთა განვითარებაც გსურთ და ასევე, მოსწავლეების ავტონომიურობის ხარისხიც. სასურველია, მოზარდებს ინიციატივისა და შემოქმედებითობისთვის მეტი ადგილი დაუტოვოთ.

დაკვირვების ცხრილში ის საკვანძო კითხვები გამოიტანეთ, რომლებზეც მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს.

ზოგადი კითხვებია:

* რის კვლევას ვაპირებ?
* რა სახის ინფორმაცია მჭირდება ამისთვის?
* რისთვის მინდა მოპოვებული ინფორმაცია?
* ვიცი თუ არა რაიმე ამის შესახებ და თუ შემიძლია ამ ცოდნის კვლევაში გამოყენება?

მაგალითად, დასახლებული პუნქტის კვლევისას საკვლევი კითხვები შეიძლება იყოს:

* რას ჰგავს დასახლება?
* რა მასალა გამოიყენება ძირითადად შენობებში?
* მდიდარია თუ არა კულტურული ძეგლებით?
* აისახება თუ არა ეს მოსახლეობაზე, ჩართულია თუ არა იგი დასახლების განვითარებაში?
* როგორია მოსახლეობის სიმჭიდროვე?
* რა ტიპის ტრანსპორტი დადის?
* რა ინტენსივობით მოძრაობს ეს ტრანსპორტი?
* რა პირველადი და მეორედი დარგებია განვითარებული?
* რა დასკვნების გაკეთების საშუალებას მაძლევს ეს?
* რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს დასახლების განვითარებისთვის?
* რას გამოვიკვლევდი უფრო საფუძვლიანად?

აქტივობების ფორმები:

- ➢ პირდაპირი დაკვირვება
- ➢ ჩანაწერები, ინტერვიუები, აღწერა, გამოთვლები
- ➢ საბოლოო ანგარიშის დაწერა
- ➢ თვითშეფასება

დასკვნის სახით, მინდა გითხრათ, რომ ის ძალისხმევა, რომელიც საველე კვლევის დაგეგმვაზე იხარჯება, მოსწავლეებისთვის პოზიტიური შედეგების მომტანია. მათ ეზრდებათ ინტერესი აღნიშნული საგნისადმი. ისინი თანატოლებთან უკეთესად თანამშრომლობენ და ხდებიან აქტიური მოქალაქეები, რომლებსაც განვითარებული აქვთ კვლევითი უნარ-ჩვევები და პასუხისმგებლობის გრძნობით ეპყრობიან საცხოვრებელ გარემოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

გულიკო შოშიტაშვილი

სასწავლო წლის დასაწყისი, ტრადიციულად, ექსკურსიების დროა. „მასწავლებელი“ აგრძელებს ინფორმაციის მოწოდებას საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ ბორჯომ-ხარაგაულისა და კოლხეთის ეროვნული პარკების, ლაგოდეხისა და სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალების, თუშეთის დაცული ტერიტორიებისა და იქ არსებული მარშრუტების შესახებ გიამბეთ. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით კი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საკმაოდ დაზიანდა აგვისტოში საომარი მოქმედებებისა და მათი თანამდევი მოვლენების გამო.

ჟურნალის ამ ნომერში კიდევ რამდენიმე ეროვნულ პარკსა და ნაკრძალს გაგაცნობთ.

ალგეთის ეროვნული პარკი

ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი 1965 წელს დაარსდა, ნაძვისა და კავკასიური სოჭის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით, ხოლო 2007 წელს მას ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭა. ეროვნული პარკი მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში, თბილისიდან 60 კმ-ში. მისი საერთო ფართობია 6822 ჰა. აქედან 5835 ჰა ტყით არის დაფარული. ნაკრძალი მდიდარია ისტორიული ძეგლებით: უძველესი „თამარ მეფის გზები“, რომელთაგან ერთ-ერთი მიემართება მთა კლდეკარისკენ – ბუნებრივი კლდის ციხე-სიმაგრისკენ. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს დიდგორის მთა, სადაც 1121 წელს ცნობილი ბრძოლა მოხდა.

მოლაშქრეს საშუალება აქვს, მოინახულოს სხვა მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლებიც: არსენას გამოქვაბული, მანგლისის სიონი, წმინდა გიორგის ეკლესია.

ეროვნული პარკის ტერიტორია მდიდარია იშვიათი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებით. მცენარეებიდან აღსანიშნავია: დათვის თხილი, ქართული თხილი, მაღალმთის მუხა, ქაცვი, თელა, რომლებიც შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“. ფაუნის წარმომადგენლებიდან გვხვდება: დათვი, მელა, ფოცხვერი, შველი, გარეული ღორი, კურდღელი, კავკასიური როჭო, ბექობის არწივი, გნოლი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნაკრძალში მრავალი წყაროა.

კლდეკარი

ადმინისტრაციული შენობის მისამართია:
დაბა მანგლისი, კურორტის ქ. №4
ტელ.: 899 50 80 94

თბილისის ეროვნული პარკი

თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საგურამო-იალნოს ქედზე, დედაქალაქიდან სულ რაღაც 20 წუთის სავალ მანძილზე. იგი მოიცავს მარტყოფის, გლდანის, ცხვარიჭამიას, ღულელების ტყე-პარკებს, მამკოდის მემორიალურ პარკს. მისი საერთო ფართობი 24044 ჰექტარია.

თბილისის ეროვნული პარკი გამორჩეულია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. აქ შესაძლებელია როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, ასევე კემპინგი, დასვენება. პარკიდან ბუნების მომხიბლავი სურათები იშლება, ხელისგულივით მოჩანს მცხეთა, არაგვის ხეობა, თოვლით დაფარული კავკასიონის პანორამა და, მათ შორის, მყინვარწვერი.

თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე უნიკალური არქიტექტურული ისტორიულ-კულტურული ძეგლების ნახვაა შესაძლებელი: ღვთაების მონასტერი, მარტყოფის ველი, არჩილის მონასტერი, წმინდა გიორგის მონასტერი, სვეტიცხოვლის ტაძარი, მცხეთის ჯვრის ტაძარი, ზედაზენის მონასტერი, არმაზის ხეობა. ზედაზენზე ასვლა შესაძლებელია წიწამურიდან საცალფეხო ბილიკით.

ადმინისტრაციული შენობის მისამართია:
მცხეთა, სოფ. საგურამო
ტელ.: 899 56 42 95

მტირალას ეროვნული პარკი

მთა მტირალა ალბათ ყველას გახსოვთ სასკოლო გეოგრაფიის კურსიდან. სოფელ ჩაქვისთავთან მდებარე მთა არა მხოლოდ საქართველოში, მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე ნალექიანი ადგილია.

მტირალას ეროვნული პარკი აჭარაში, ქობულეთის რაიონში მდებარეობს. მისი საერთო ფართობია 15 805 ჰა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კოლხური ტიპის ტყეებისთვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა გვხვდება. ხეების გავრცელებული ჯიშებია: რცხილა, თხმელა, ტირიფი, პანტა, ტყემალი, წაბლი, იფანი და მუხა. პარკში ბინადრობენ: გარეული ღორი, კურდღელი, ტურა, კატა, მაჩვი, წავი, შველი, ხოხობი, ქედანი, გარული იხვი, მიმინო, ქორი და სხვა. გვხვდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი იშვიათი რელიქტური ენდემები: პოტოური მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, ეპიგეა...

პარკის ტერიტორიაზე მრავალი მცირე და საშუალო მდინარეა. ბევრი მათგანი ულამაზეს ხეობაში მიედინება და ჭორომებსა და ჩანჩქერებს ქმნის. აქ მრავლადაა მინერალური და მტკნარი წყაროები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ეს ტერიტორია ყველაზე უხვნალექიანი მხარეა. საშუალო წლიური მაჩვენებელი ზღვისპირა ნაწილში 2000 მმ-ზე მეტია, ჰაერის ტენიანობა კი 80-85 %-ს შეადგენს.

მოლაშქრეს საშუალება აქვს, დატკბეს ბუნების მშვენიერებით, მოაწყოს საწყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველების დაკვირვების ტურები. მოინახულოს აჭარის ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გონიოს ციხე-ქალაქი, თამარის ციხე.

მანძილი თბილისიდან
ეროვნულ პარკამდე – 320 კმ.

მგზავრობისთვის საჭირო დრო
ავტომანქანით – 6-6,5 სთ.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქობულეთი, დაბა ჩაქვი.
ტელ.: 899 41 45 18

მთის ბილიკებზე

ყაზბეგის ეროვნული პარკი

საქართველოში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა აუცილებლად ეწვევა ხოლმე სტეფანწმინდას. მყინვარწვერის ძირას მდებარე გერგეტის სამებას სტუმრობენ.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრალურ კავკასიონზე, სტეფანწმინდას რაიონში მდებარეობს ყაზბეგის ეროვნული პარკი.

აქ ჩამოედინება მდინარე თერგი, რომლის მარჯვენა შენაკადს, სნოს წყალს – ჯუთა და ქვენამფის წყალი ქმნიან.

შეგიძლიათ, მოინახულოთ მრავალფეროვანი და იშვიათი ალპური და სუბალპური მცენარეების სახეობები, მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლი, ულამაზესი ბუნება.

დარიალის ხეობაში სხვადასხვა კულტურულ ტურს შემოგთავაზებენ: მთამსვლელობას ორწვერზე, მყინვარწვერსა და ჭაუხის მწვერვალებზე, ჯიმარას, აბანოს, შავანას, მაილისა და წითიხოხის მყინვარებზე, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვებისა და ბოტანიკურ ტურებს, საცხენოსნო და ფეხით სასიარულო ტურებს სნოს, თრუსოს, ხდის, კიბიშის, გველეთისა და დევდორაკის ხეობებში, ბურსაჭირისა და საძილეს უღელტეხილებზე.

ეროვნულ პარკსა და მის დამხმარე ზონაში შეგიძლიათ მოინახულოთ ისტორიულ-კულტურული ძეგლები: ახალციხისა და სიონის ბაზილიკები, ხურთისის ტაძარი და კოშკი, ფხელშის წმინდა გიორგის ეკლესია (XI ს.), გერგეტის XIV საუკუნის გუმბათიანი ეკლესია.

მანძილი თბილისიდან
სტეფანწმინდამდე – 150 კმ.

დრო ავტომობილით
მგზავრობისთვის – 3 სთ.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა
ტელ.: 899 93 55 97; 899 73 73 13

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები *(ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი და ვაშლოვანის ეროვნული პარკი)*

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნის თარიღად 1935 წელი ითვლება, ეროვნული პარკი კი 2003 წელს დაარსდა. ის საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფ-

„ალესილები“ ვაშლოვანის ნაკრძალში

ლისწყაროს რაიონში მდებარეობს და მოიცავს ვაშლოვანის ნაკრძალს, ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და ბუნების ძეგლებს: არწივის ხეობას, ტახტი-თეფას ტალახის ვულკანებს, ჯუმას ყურეს, ალაზნის ჭალებს.

ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 100-დან 800-900 მ-მდე მერყეობს, ნაკრძალის ფართობი 8480 ჰექტარია, ხოლო ეროვნული პარკის – 25114 ჰექტარი. მისი შექმნა ვაშლოვანის ნაკრძალის გარშემო არსებული ნაკლებად სახეშეცვლილი ეკოსისტემების განადგურების საშიშროებამ განაპირობა. ის კლიმატური თვალსაზრისითაც საინტერესოა, რადგან ყველაზე მშრალი და უწყლო უბანია მთელ საქართველოში. ხმელეთის მცირე ფართობზე მცენარეული საფარის ასეთი სწრაფი ცვლა საქართველოს არც ერთ სხვა კუთხეში არ შეინიშნება. ასეთივე მრავალფეროვანია ცხოველთა სამყაროც: გავრცელებულია 46 სახეობის ძუძუმწოვარი, 135 სახეობის ფრინველი, 30 სახეობის ქვეწარმავალი და ამფიბია, 16 სახეობის თევზი, უამრავი სახეობის მწერი. აქ ბინადრობენ ისეთი მსხვილი ძუძუმწოვრები, როგორიცაა: დათვი, ფოცხვერი, მგელი, გარეული ღორი, გადაშენების პირას მისული ცხოველები – ქურციკი, ზოლებიანი აფთარი; მტაცებელი ფრინველებიდან – სვავი, ორბი და ბექობის არწივი. 2003 წელს სახეობათა კონსერვაციის შენარჩუნების ცენტრის თანამშრომლებმა აქ წინააზიური ლეოპარდის ნაკვალევი შენიშნეს. შემდგომში ამ ცხოველის ფოტოების გადაღებაც მოხერხდა სპეციალური ფოტოხაფანგებით. მდინარე ალაზანში, რომელიც ამავე დროს პარკის საზღვარსაც წარმოადგენს, გავრცელებულია: ლოქო, კობრი, შამაია და სხვა სახეობის თევზები.

ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მოგზაურებს საფეხმავლო, საჯომარდო და სამანქანო მარშრუტებს სთავაზობს.

საფეხმავლო მარშრუტი „დათვის ხევი“

მარშრუტის ხანგრძლივობა დღე-ნახევარია, სიგრძე – 3 კმ. იგი იწყება პანტიშარას ხევის ერთ-ერთ განშტოება – დათვისხევთან, დედოფლისწყაროდან 60 კმ-ში. ეს ტერიტორია ოდესღაც ზღვის ფსკერი ყოფილა. ამის დასტურია ქვიშაქვიანი ალესილები, რომლებიც დედამიწის განვითარების ისტორიაზე უამბობს მნახველს. უნაკლოდაა შემონახული ზღვის მოლუსკების ქიტინები. აქ შეგიძლიათ ნახოთ სამხრეთული სპილოს გაქვავებული ძვლის ნაშთი, რომელიც ნახევარი მილიონი წლის წინანდელი გიგანტი ძუძუმწოვრის ზომებზე მეტყველებს. ადვილი შესამჩნევია დათვის, მგლის, გარეული ღორის, ლელიანის კატისა და ფოცხვერის ნაკვალევი. მოწყობილია ავტოსადგომი და საპიკნიკე ადგილი.

საფეხმავლო მარშრუტი „არწივის ხეობა“

მარშრუტი იწყება არწივის ხეობის შესასვლელთან არსებული საინფორმაციო ცენტრიდან. აქედან ბილიკი მიემართება კირქვიანი კლდეების გასწვრივ და გადის კლდის ძირებთან. აქ შეხვდებით იშვიათ ენდემურ ჯიშს, კახეთის მაჩიტას – ულამაზეს თეთრ ყვავილს, რომელსაც არსებობისთვის ასეთი მკაცრი ადგილი, უნიადაგო კლდე აურჩევია. ხეობების დასავლეთი კალთიდან შეგიძლიათ დაინახოთ ცხრაზე მეტი სახეობის მტაცებელი ფრინველი, მათ შორის ორბი და გველიჭამია არწივი. მტაცებლების გარდა, ამ ტერიტორიაზე იხილავთ კოლხურ ხოხობსა და შავ ყარყატს. აქედან კავკასიონის ქედები და ალაზნის ველი ხელისგულივით მოჩანს. შესაძლებელია საპიკნიკე ადგილის მონახვაც. ნებადართულია ცეცხლის დანთება.

საჯომარდო მარშრუტი ალაზანი 1

მარშრუტი იწყება ქალაქ დედოფლისწყაროდან. მოლაშქრეები ავტომობილით გადაადგილდებიან სოფელ საბათლომდე, ჰერეთის ფონის ნავმისადგომებთან. შემდეგ ისინი სპეციალურ ნავებში სხდებიან და მდინარე ალაზანს მიუყვებიან. მარშრუტი ღორისწყლის ხეობაში ნავებით დაშვებით მთავრდება. გამოყოფილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები.

მარშრუტის ხანგრძლივობა დღე-ნახევარია, სიგრძე – 200 კმ.

ტურისტული მარშრუტი ალაზანი 2

მარშრუტი თითქმის ისეთივეა, როგორიც ალაზანი 1. განსხვავებული მხოლოდ ის არის, რომ საპიკნიკე ადგილი და ნავებით დაშვება, ამ შემთხვევაში, მიჯნისყურეშია.

სამანქანო ტურისტული მარშრუტი „პანტიშარა“

მარშრუტის ხანგრძლივობა დღე-ნახევარია, სიგრძე – 130 კმ. იგი იწყება დედოფლისწყაროში, ჩაუვლის წმინდა ელიას მთას, ბუნებრივ მარილიან ქოჩების ტბას, შუაზე კვეთს შირაქის ველს, მიუყვება ნაკრძალის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარს, ნაგომარის ქედს, საიდანაც კარგად მოჩანს ნაკრძალის მთელი ტერიტორია, აგრეთვე სამუხის ველი და მინგეჩაურის წყალსაცავი. მარშრუტი პანტიშარას ხევში სრულდება. დათვისხევისა და პანტიშარას შეერთების ადგილზე მოწყობილია საპიკნიკე ადგილები.

ტურისტული მარშრუტი „ჯუმასყურე“

მარშრუტი იწყება დედოფლისწყაროში, ჩაუვლის წმინდა ელიას მთას, ქოჩების ტბას, შუაზე კვეთს შირაქის ველს, ეროვნული პარკის შესასვლელთან გადაუხვევს იმედას წყლის მიმართულებით, ალფადარას, ღორის წყლისა და ალფადარას სათავეების გავლით გადის შავ მთაზე.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება ეროვნული პარკის, ნაკრძალისა თუ მარშრუტების თაობაზე შეგიძლიათ ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში, მისამართზე:

დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.№42
ტელ.: 899 56 83 42, 899 53 65 44

ელ. ფოსტა: vdirection@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.vashlovanipa.ge

აქვე გაგაცნობთ სხვა დაცული ტერიტორიების მისამართებსა და ვებ-გვერდებს:

ქობულეთის დაცული ტერიტორიები

www.knr.ge
ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქობულეთი, ლესელიძის ქუჩა №4:
ტელ.: (+995) 235 76 7297, 899 54 54 26

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები (ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი და ილტოს აღკვეთილი)

ადმინისტრაციული შენობის მისამართი: ახმეტა, სოფ. ზემო ალვანი
ტელ.: 899 11 86 05

მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი, ყორულის აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი: საგარეჯო, მამისაშვილის ქ. №22
ტელ.: 899 18 64 84

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და დაცული ლანდშაფტი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქობულეთი, ლესელიძის ქ. №4
ტელ.: 899 69 49 19

აჯამეთის აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ბაღდათის რაიონი, სოფ. ვარციხე
ტელ.: 899 72 92 01

ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
გორის რაიონი, სოფ. აწრისხევი
ტელ.: 899 76 30 75

ჭაჭუნას აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. ჭაჭუნა.
ტელ.: 899 58 20 69

იორის აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი
ტელ.: 899 44 18 38

გარდაბნის აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №127
ტელ.: 899 42 24 24

კაცობურის აღკვეთილი

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
აბაშის რაიონი, სოფ. კაცობური
ტელ.: 899 91 31 43

გამოყენებულია დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

■

ქართველ მოსწავლეთა „კოსმოსური ოდისეა“

არჩილ გამზარდია

მზადება კაცობრიობის გადასარჩენად

ქართული ეკიპაჟი კოსმოსის დალაშქვრას აპირებს. ამოცანა რთულია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. სადაზვერვო ექსპედიციის მისიას მოსწავლეთა ჯგუფი შეასრულებს. ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან: კაპიტანი, შტურმანი, ექსპედიციის ექიმი, ბორტინჟინერი და მკვლევარები.

საწყისი ამოცანა სადაზვერვო-კვლევითი ექსპედიციის პროექტის შედგენაა. საამისოდ, გუნდი პლანეტას ირჩევს, შემდეგ კი მისიის პროექტს ამუშავებს. იკვეთება მოგზაურობის სქემა, რაც დროში გაწერილ სანავიგაციო გეგმას გულისხმობს. კოსმოსური ეკიპაჟი დეტალურად აღწერს ტექნიკურ საშუალებებს, ახდენს პროექტის უზრუნველყოფის ეკონომიკურ გათვლასაც.

მოთხოვნები მკაცრია. ასტრონავტების გუნდი მაღალ დონეზე უნდა იყოს მომზადებული. აუცილებელია ხომალდზე სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების გამართვა, პლანეტაზე დაშვებისა და მისი კვლევის გეგმის შემუშავება. ქართული ეკიპაჟის წევრები შესაძლო საფრთხეების განსაზღვრაზეც ზრუნავენ.

გეგმის მიხედვით, პლანეტაზე დაშვების შემდეგ კვლევითი ბანაკის ორგანიზება მოხდება. დედამიწაზე დაბრუნებაზეც წინასწარ ფიქრობენ: შესაძლო ავარიული ან ექსტრემალური სიტუაციების დაძლევისთვის ორი სცენარი მზადდება. ქართველი მოსწავლეები ამ მეტად საპასუხისმგებლო და სახიფათო მოგზაურობაში მარტონი არ არიან. მათ გუნდს კონსულტანტებიც ჰყავს მასწავლებლების სახით.

მისიის ამოცანა

„კაცობრიობის წინაშე რეალურად დადგა სხვა ციური სხეულის კოლონიზაციის ამოცანა, რისთვისაც მზის სისტემაში უნდა შეირჩეს ყველაზე ხელსაყრელი პლანეტა, რომლის ათვისებაც ნაკლებ პრობლემას შეუქმნის ადამიანებს“.

ქართულ საჯარო სკოლებში საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული. პროცესში თავიდანვე ერთვება აგარისა და ზესტაფონის, ქუთაისისა და ხაშურის, სამტრედიისა და გორის, რუსთავისა და თბილისის საჯარო სკოლების 30-ზე მეტი გუნდი.

მისიის შესრულება ბევრს სურს, მაგრამ რჩეული მხოლოდ ერთი იქნება. ეკიპაჟის შემადგენლობა მკაცრი კონკურსის საფუძველზე შეირჩევა.

კოსმოსური ოდისეა – მოგზაურობა მზის სისტემის პლანეტებისკენ

ქართული „კოსმოსური ოდისეა“ ღია კოსმოსის ნაცვლად, ვირტუალურ მზის სისტემაში მიმდინარეობდა. ასეთი ფორმით მიიღეს მონაწილეობა სპეციალურ პროგრამა-კონკურსში საქართველოს სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნული პროგრამა შემეცნებით ხასიათს ატარებდა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგებიდან რამდენიმე კომპლექსურ ინტერდისციპლინარულ ამოცანას მოიცავდა.

ჟიურიმ პროექტებში თანამედროვე მეცნიერული ცოდნის გამოყენება და სხვადასხვა საგნის ცოდნის რეალიზაცია შეაფასა. ყურადღება ასევე გამახვილდა გუნდური მოქმედების უნარზე, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციაშიც. ჟიურიმ ცალკე განიხილა ეკიპაჟის ყოველი წევრის სპეციალური მომზადების ხარისხიც.

მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ქართული ეკიპაჟის წევრები სადაზვერვო-კვლევითი ექსპედიციისთვის მოემზადნენ: შეადგინეს პროექტი, ჩამოაყალიბეს ასტრონავტების რაზმი, დაადგინეს მოგზაურობის მარშრუტი და ეტაპები, წარმოადგინეს პლანეტაზე დაშვებისა და მასზე ბანაკის ორგანიზების, კვლევისა და დედამიწაზე დაბრუნების გეგმა. ამის შემდეგ ხომალდი ვირტუალურ ღია კოსმოსში გაიჭრა – მისია „კოსმოსური ოდისეა – მოგზაურობა მზის სისტემის პლანეტებისკენ“ შედგა.

პროექტის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ფონდი „ირმის ნახტომი“, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევის ცენტრი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტი – ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და განვითარების დეპარტამენტი და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ინსტიტუტი.

კომენტარი ვთხოვეთ პროექტის ავტორებს – მეცნიერებათა კანდიდატებს, მარინა ლომოურსა და ლევ გეონჯიანს.

– ქალბატონო მარინა, როგორია კონკურსის ორგანიზატორების შეფასება?

– ვთვლით, რომ შედეგი სასურველი და სასიხარულო იყო, რადგან მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც სერიოზულად იმუშავეს, მოიძიეს საჭირო მასალა, დაამუშავეს და ა.შ. გამოიყენეს ჯგუფური მუშაობის პრინციპიც. ჩვენ ერთადერთი შეზღუდვა გვქონდა: ნებისმიერი გეგმა, გადაწყვეტილება თუ არჩევანი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ფუნდამენტური მეცნიერებების ცოდნაზე და არ გადასულიყო პარაფსიქოლოგიურ, მეტაფიზიკურ და ა.შ. სფეროში.

აგარის სკოლამ დასმული ამოცანები ყველაზე მკაფიოდ დაინახა და გაიაზრა.

– როგორც გავიგე, გამარჯვებულ სკოლას ჯერჯერობით ინტერნეტიც არ აქვს.

– დიახ, მოტივაცია იმდენად დიდი იყო, რომ მას ამ სერიოზულმა პრობლემამაც ვერ შეუშალა ხელი. უნდა აღვნიშნოთ, რომ რეგიონების სკოლები განსაკუთრებით გამოირჩევიან ჯანმრთელი კონკურენციის შეგრძნებითა და მოტივაციით. ამ მხრივ, კიდევ ერთ სკოლას გამოვყოფდი, რომელსაც ჩვენ სპეციალური პრიზი გადავეცით. ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა მასწავლებლების გარეშე იმუშავეს. მარტო ჩამოდიოდნენ, ლექციებს ესწრებოდნენ, თუმცა ნამუშევრის ჩაბარება განსაზღვრულ ვადებში ვერ მოასწრეს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ველარ ასწრებდნენ კონკურსის შეფასებით ნაწილში მონაწილეობას, მათ მაინც წარმოადგინეს საკუთარი პროექტი კონკურსგარეშე.

– ბატონო ლევ, როგორ გაჩნდა კონკურსის ჩატარების იდეა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი რამ აქამდე არ ჩატარებულა...

– სურვილი გვქონდა, სკოლებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ასტრონომიული ენციკლოპედია. ამ წინადადებით მივედით ფონდ „ირმის ნახტომში“. ერთი თვე ვმუშაობდით, მრავალი პრობლემა და ასპექტი განვიხილეთ, როგორიც იყო, მაგალითად, ინტეგრირებული სწავლების საკითხი, გუნდური მუშაობის თემა და ა.შ. შედეგად, მივედით ექსპერიმენტამდე, რომელმაც ამ კონკურსის სახე მიიღო.

– ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდა. აპირებთ თუ არა სამომავლოდ ამგვარი კონკურსების გაგრძელებას?

– ეს პროგრამა თემის „ადამიანი – დედამიწა – კოსმოსი“ პირველი ეტაპია. გვაქვს შემდგომი ეტაპის პროექტებიც. მათგან ერთს „ტერაფორმირება“ ვუწოდეთ. ამ შემთხვევაში, ვისახავთ ამოცანას: იუპიტერის რამდენიმე თანამგზავრი დედამიწის მსგავს პლანეტად გადავაქციოთ, ანუ პლანეტებზე ისეთი ღონისძიებები ჩავატაროთ, რომ „ახალი დედამიწა“ მივიღოთ. ამ მხრივ, უმთავრესია, გავიაზროთ, რა ხდება ჩვენს პლანეტაზე. მოსწავლეებმა, სულ მცირე, ორი პრობლემა უნდა შეარჩიონ, მაგალითად, გლობალური დათბობა და ბუნებრივი ან ხელოვნური კატაკლიზმების საკითხი და ა.შ.

„კოსმოსური ოდისეის“ გამარჯვებული ეკიპაჟის მოგზაურობიდან:

აგარის სკოლის საპლანეტათშორისო ხომალდს „მკვლევარი“ ჰქვია. მისი „სამიზნე“ მარსია.

ხომალდ „მკვლევარის“ ეკიპაჟი:

თორნიკე ნადირაშვილი, ალექსანდრე ადამაშვილი, ავთანდილ აბაშიშვილი, თამარ ხოდელი, ნიკა რაზმაძე, ნინო ჩუტკერაშვილი, გიორგი ჩხიკვაძე.

ფრენის მართვის ცენტრ „ივრის“ კოსმოდრომი:

ჯაბა თურმანიძე, ნინო თურმანიძე, მაია ხოდელი, გიორგი აჭარაძე, დავით ბეგიაშვილი

პედაგოგები:

დარეჯან კოჭლამაზაშვილი-ბეგიაშვილი – ქიმიის მასწავლებელი, პროექტის კოორდინატორი

ნინელი ხაპირაშვილი-ხაჭაპურაძე – გეოგრაფიის მასწავლებელი

ელზა ხომასურიძე – ბიოლოგიის მასწავლებელი

ციცო წოწოლაშვილი – ბიოლოგიის მასწავლებელი

ნელი ჩუტკერაშვილი – ფიზიკის მასწავლებელი

ნინო ხვედელიძე – ფიზიკის მასწავლებელი

გამგზავრების დაწყებამდე და მთელი მოგზაურობის განმავლობაში ექსპედიციის წევრები დღიურებს წერდნენ, რათა შთამომავლობისთვის ცოცხლად შემოენახათ საკუთარი განცდები და შთაბეჭდილებები. მეც ინტერესით ვკითხულობ ქართველი ასტრონავტების ჩანაწერებს:



რატომ მაინცდამაინც მარსი?

„მარსით იმიტომ დავინტერესდით, რომ ვფიქრობთ და ვეთანხმებით მეცნიერთა ვარაუდს – ოდესღაც მარსზე სიცოცხლე იყო და რაღაც დიდმა კატაკლიზმებმა მოსპო იგი. სურვილი გვაქვს, გამოვიკვლიოთ, ხელოვნურად ჩავერიოთ მის განვითარებაში (გადავქაჩოთ წყალი, გავაშენოთ უმარტივესი წყალმცენარეები, რაც პლანეტის ატმოსფეროში ჟანგბადის პროცენტულ შემცველობას გაზრდის და ხელს შეუწყობს ჩვენი მსგავსი სიცოცხლის ჩასახვას)“.

ბოლო წამები დედამიწაზე:

„ბოლო წუთები, ბოლო საფეხურები, ბოლო ხელის დაქნევა... ბოლო წამები დედამიწაზე...

ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი... რაღაც ძალამ სკამის ზურგს მიმაწება...

ვერ ვასწრებ „მამაო ჩვენოს“ დაჩურჩულებას, რომ...გული ყელში მებჯინება.

მაჯა ამიჩქარდა, ოფლმა დამასხა“...

ღია კოსმოსში:

„მივეჩვიეთ ახალ მდგომარეობას. უკვე აღარ გვჭირდება მაგნიტური „ბატინკებით“ მოძრაობა, რადგან ხომალდის შიგნით მშვენიერი გრავიტაცია მივიღეთ. ახლა „გვაქვს“ რბილი იატაკი, ჭერი, კედლები... საუზმეს მოვრჩით, ხელში ჩურჩხელა მიჭირავს და სიამოვნებით მივირთმევ. ორიდან ერთ-ერთ „ფანჯარასთან“ ვდგავარ და „გარეთ“ ვიყურები. რა უცნაური ყოფილა კოსმოსი!“

ექსპედიციის სირთულეები:

„არაა კავშირი დედამიწასთან. მეოთხე საათია, ამაოდ ცდილობენ მიმღები სისტემის ამუშავებას. თორნიკე კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ ორმხრივი რადიო და სატელევიზიო მიმღებ-გადამცემი დაზიანდა და შესაკეთებლად ხომალდიდან გასვლაა საჭირო“.

უცხოპლანეტელებთან შეხვედრის მოლოდინები:

„დღევანდელი საღამო ყველაზე შთამბეჭდავი იყო ამ გრძელი რეისის განმავლობაში. რატომ? ჯერ ერთი, ყველა ერთად ვიყავით. დედამიწის მონიტორზე ერთმანეთს ცვლიდნენ მართვის ცენტრის ოფიცრები, თუმცა ყველაზე ხშირად ეკრანზე ლადო ჩანდა. აბა, მზად ხართ მარსელებთან შესახვედრად? – ხუმრობს დათო. ახლა თქვენ ხართ უცხოპლანეტელები და კი არ შეაშინოთ ეს საწყლებიო“.

გადასვლა მარსზე:

„შეიარაღებული, აღჭურვილი, ჩაცმული ორი ასტრონავტი... გაიღო კაფსულის ორმაგი კარი და ისინი ერთმანეთის მიყოლებით გაბაჯბაჯდნენ გარეთ. ილუმინატორიდან ვუყურებ, როგორ გავიდნენ, როგორ გადადგეს პირველი ნაბიჯები წითელ ქვიშაზე... ნელა მიაბიჯებენ. მძიმე თეთრი „ბატინკების“ ქვეშ წითლად კრთის წვრილმარცვლოვანი ქვიშა. ალბათ ხრაშუნობს კიდეც, როგორც იქ, დედამიწაზე... ნიკა მოიხარა, ხელი ამოურია ქვიშაში და თვალებთან მიიტანა. ცდილობს თითებშუა მოსრისოს. მერე ქვიშა ნელ-ნელა ფრთილად ჩამოყარა ხელიდან. ამასობაში გიორგიმ თეთრი, ხუთჯვრიანი დროშა ამოაძრო სკაფანდრის ჯიბიდან და ორივე ხელით ააფრიალა... ყელში ბურთი გამეჩხირა, თვალებში ცრემლი მომაწვა... პატარა ქვეყნის შვილები პრეტენზიას აცხადებენ უზარმაზარი სამყაროს შესწავლა-ათვისებაზე... რა ბედნიერებაა, იდგე ამ წითელი ქვიშის უდაბნოში და შენი ქვეყნის დროშას აფრიალებდე! ჩვენ პიონერები ვართ!“

და ბოლოთქმა:

„რამდენად შევასრულეთ მისია, ამას დედამიწაზე, ფრენის მართვის ცენტრისა და კონკურსის ექსპერტები დაადგენენ. მე მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა მინდა: რა უსაზღვრო ყოფილა ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები! საუკუნოვანი ოცნების პირველი რეალიზატორები ჩვენ ვართ – პირველებმა დავდგით ფეხი ალისფერი პლანეტის ზედაპირზე, პირველები შევეჭიდეთ პლანეტის სტიქიას, პირველი გრძნობებიც აქ გვეწვია და ყველაზე მთავარი: ჩვენ მარსი შეგვიყვარდა, მისი საიდუმლოებებისა და სიმკაცრის მიუხედავად!

არ გემშვიდობებით, საიდუმლოებით მოცულო უცნაურო პლანეტავ!

ჩვენ ისევ დავბრუნდებით შენთან!“

ცნობილ ადამიანებს თავისი მასწავლებლებ-ის გახსენება ვთხოვეთ

ნინო ჯავახიშვილი, აკადემიკოსი: 1920-30 წლებში პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში ვსწავლობდი. ეს გახლდათ ახლანდელი პირველი კლასიკური გიმნაზია. ჩვენი დირექტორი მიხეილ ზანდუკელი იყო და როდესაც გვეკითხებოდნენ, სად სწავლობთო, ვპასუხობდით: „პირველში, ზანდუკელში“.

სკოლას კომკავშირული ორგანიზაცია არ ჰქონდა, რაც მაშინ დიდ ნაკლად ითვლებოდა. ძალიან კარგი მასწავლებლები გვყავდა. გამოშვების წინა წელს, 1930-ში, ჩვენი მასწავლებლები მოხსნეს. ბოლო კლასი ექსტერნად დავასრულე და მე, ვახტანგ ბერიძემ და თამარ ზანდუკელმა – დირექტორის, მიხეილ ზანდუკელის ძმისშვილმა – ჩვენს ამხანაგებზე ცოტა ადრე დავამთავრეთ სკოლა.

ჩვენი მასწავლებლები, შემდგომში, უნივერსიტეტში მიიწვიეს პედაგოგებად: სიკო ვაჩნაძე, ტერენტი ვეფხვაძე, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორი გახდა... ისტორიის მასწავლებელი, რატიშვილი, რომელიც ყველაფერს განიცდიდა, რაზეც გაკვეთილზე საუბრობდა. უყვარდა თავისი საგანი და ჩვენც შეგვაყვარა. ისტორიას იმ პროგრამით კი არ ვსწავლობდით, რომლითაც მომდევნო თაობებმა ისწავლეს, არამედ ე.წ. „საზმეცს“ – საზოგადოებრივ მეცნიერებას გვასწავლიდნენ.

რუსული ენის მასწავლებელი თამარ გიორგობიანი-ზაალიშვილისა რუსულ ენას იმდენად მაღალ დონეზე ფლობდა, რომ მთარგმნელებიც კი გაკვირვებული რჩებოდნენ. ძალიან კარგი მასწავლებელი იყო ვასილ აბდუშელიშვილიც, თუმცა თუ შეცდომას დაუშვებდა ვინმე, სულ თავში ურტყამდა. ბიჭებს, რასაკვირველია, ხშირად ხვდებოდათ. უნდა ვაღიარო, რომ მეც მხვდებოდა...

მოწაფეობაში შეიძლება ყველაზე უარესი არ ვიყავი, მაგრამ საკმაოდ ცელქი და მოუსვენარი გახლდით. წესრიგს ყოველთვის ვარღვევდი. კლასის დამრიგებელი იაკობ ზედგინიძე სულ იმას მეუბნებოდა, ჩემი თეთრი თმის ნახევარი შენი დამსახურებაა. დედაჩემს ჯერ თითქმის ყოველდღე იბარებდა, მერე მოსწყინდა და ეუბნებოდა, აღარ შემოგითვლი არაფერს, ყოველი კვირის ბოლოს მოდი და ერთად მოგიყვები ყველაფერსო.

სკოლაში ხატვა ძალიან მიყვარდა. სულ ხუთები მქონდა. ერთი ახეკდოტი მაგონდება: აზერბაიჯანელმა ბიჭმა შინ ნიშნების ფურცელი მიიტანა. ყველაფერში ორი ჰყავდა და მხოლოდ სიმღერაში ეწერა ხუთი. ამდენი ორის პატრონს რა გემღერებაო, ჰკითხეს. ეს ანეკდოტი ჩემზე იყო ზედგამოჭრილი...

კიდევ ფიზიკა მიყვარდა ძალიან, მათემატიკაც... სხვა საგნები, გვიყვარდა თუ არ გვიყვარდა, უნდა გვესწავლა – საჭირო იყო და მოგვეთხოვებოდა. ჩვენს დროს აქცენტი საყოველთაო საშუალო განათლებაზე კეთდებოდა და ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც.

იმ პერიოდში სკოლებში განათლების ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ჩვენს სკოლაში, სხვებთან შედარებით, სწავლა კიდევ უფრო მაღალ დონეზე იდგა. სამ მოსწავლეს, რომლებმაც სკოლა ერთი წლით ადრე დავამთავრეთ, სპეციალური მომზადება არ დაგვჭირვებია. ატესტატები მივიღეთ და იმავე წელს, 1930-ში, უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარეთ. განათლების ასეთ მაღალ დონეს, ერთი მხრივ, პედაგოგების კვალიფიკაცია განაპირობებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ის მოთხოვნები, რასაც მასწავლებლები საკუთარ თავს და ჩვენ გვიყენებდნენ.

ჩვენი სკოლა სხვა თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა: მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ერთმანეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 60 წლის განმავლობაში კლასელები ყოველ წელს ვხვდებოდით ერთმანეთს. პაემანი სკოლის ეზოში, რუსთაველის გამზირზე იმართებოდა. მივიდოდით, შევიკრიბებოდით, ნაცნობებს მოვიკითხავდით. ასე გრძელდებოდა 60 წლის განმავლობაში. ახლა ვეღარ ვიკრიბებით. დამეჩხერდა ჩვენი რიგები, ძალიან ბევრი დაგვაკლდა.

ბოლო წლებში, რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს იოლად ვუყურებთ განათლების საკითხებს. არ არის ის დამოკიდებულება, რაც უნდა იყოს. შეიძლება

დიდ მოთხოვნებს ვუყენებ განათლების სისტემას. ცხადია, ახლაც არიან ძალიან კარგი პედაგოგები, რომლებიც ერთგულად და კვალიფიციურად ემსახურებიან საკუთარ საქმეს“.

დათო ტურაშვილი, მწერალი:

„თუ გინდა, კარგ ქვეყანაში იცხოვრო, ყველაზე მეტი ფული განათლებაში უნდა ჩადო. ყველაზე კარგი ქვეყანა ის არის, სადაც კარგი მასწავლებლები არსებობენ და პედაგოგიკის კარგ მეთოდებს იყენებენ. შეიძლება ცოტა პათეტიკურად ჟღერდეს, მაგრამ ჩვენი პრობლემების გასაღები განათლების სფეროში დევს. თუ გაუნათლებლები აღარ ვიქნებით, პრობლემებსაც მოვაგვარებთ.

კარგი მასწავლებლები, რასაკვირველია, საქართველოშიც არსებობენ და მეც შემხვედრია, მაგრამ ისეთი მასწავლებელიც მინახავს, რომელსაც არ შეიძლება ბავშვები ანდო. ამასწინათ ერთი ვიდეო მაჩვენეს, სადაც ჩანდა, როგორ ხვდებიან პედაგოგები დირექტორს – ქალბატონს, რომლის სკოლაც თურმე ერთ-ერთი ძვირადღირებულია საქართველოში. საშინელება იყო. მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში ხდებოდა.

დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოში მასწავლებლობა ისეთივე პრესტიჟული გახდება, როგორიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო, ასეთი აბსურდული ვითარება სკოლებში აღარ იქნება.

ვაჟა-ფშაველა ან ჩვენთვის საამაყო ნებისმიერი ქართველი, აუცილებლად რომელიმე სოფლის სკოლაში იწყებდა მოღვაწეობას, რადგან, მათი რწმენით, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. ახლა თუ ძნელია იდეებისა და იდეალების ერთგული მასწავლებლების მოძიება, მაშინ სხვა მექანიზმები უნდა მოვძებნოთ იმისათვის, რომ პედაგოგობა ისევ პრესტიჟული გახდეს. შესაძლოა ეს ფინანსური წახალისება იყოს, ან სხვა სახის დაინტერესება, რათა განათლებული, პროფესიონალი და მენტალურად ჯანმრთელი პედაგოგები გვყავდეს.

საბჭოთა საქართველოში იყო პერიოდი, როცა სკოლებში მხოლოდ ისინი მიდიოდნენ სამუშაოდ, ვისაც სხვა ასპარეზზე წარმატების შანსი და იმედი უბრალოდ არ ჰქონდათ. თუმცა, როგორც ყველგან და ყოველთვის, იყვნენ გამონაკლისი სკოლები და მასწავლებლები. ამ მხრივ, ჩვენი სკოლა ნამდვილად გამორჩეული იყო.

არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ 57-ე სკოლაში რამდენიმე ისეთი მასწავლებელი გვყავდა, რომელთა გამოც აშკარად არასაბჭოური ცნობიერება ჩამოგვიყალიბდა. ერთი შეხედვით კი, ტიპურ საბჭოთა სკოლაში ვსწავლობდით.

ჩვენი კლასის დამრიგებლი ქეთევან ხაბულიანი იმდენად გამორჩეული ადამიანი იყო, რომ სხვა პედაგოგებიც (მისი ფაქტორის გამო), განსაკუთრებულად გვექცეოდნენ. უცნაურად ჟღერს, მაგრამ უკვე მეშვიდე კლასში თვითმმართველობა გვქონდა, რაც ზოგჯერ დაუჯერებელ თავხედობასაც გულისხმობდა – მაგალითად, თვითონ ვწყვეტდით, რომელი საგნები გვესწავლა, რომელ გაკვეთილზე შევსულიყავით, რომელი გაგვეცდინა. ჩვენი დამრიგებელი ისეთი ჭკვიანი ქალი აღმოჩნდა, რომ როცა სკოლიდან ვიპარებოდით, სახლში გვეპატიჟებოდა ხოლმე ქუჩის პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ისე მივეჩვიეთ მასთან სტუმრობას, სკოლის დამთავრების შემდეგაც კარგა ხანს დავდიოდით მშვენიერი სვანური სუფრის შესასწავლად.



სხვა მასწავლებლების გახსენებაც შემიძლია, მაგრამ მათ იმიტომ არ ჩამოვთვლი, რომ მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს.

რადგან შიში ვახსენე, ბარემ ამასაც ვიტყვი: თუ გვინდა, მომავლისა და პრობლემების შიში არ გვქონდეს, უზარმაზარი დაფინანსება შეიარაღებას კი არ უნდა მოვახმაროთ, არამედ განათლებას, რადგან მხოლოდ განათლებული საზოგადოება შეიძლება იყოს ძლიერი და თავისუფალი“.

მოამზადა არჩილ გამზარდიამ

სანამ ფაიფური გაცივდება...

ნათია ნაცვლიშვილი

...ანას, მიხოს, რობიკოს, ელენეს, დათუნას, თამთას, ნინის, გიორგის, სანდროს, გიგის, ანანოს, ტასოს, ლიკას, ლუკას, ორივე ნიკოლოზს და ორივე მარიამს...

რაღაცნაირი მოწიწებით, სიყვარულით და პატივისცემით ჯერ 18-ვე მოსწავლის სახელი ჩამოთვალა და მერე წაგვიკითხა თავისი მოსწავლეებისთვის მიძღვნილი ლექსი მაია სარიშვილმა ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე... ეს საკმარისი იყო, რათა იმ დარბაზში უკლებლივ ყველას ნათლად გვეგრძნო, როგორი მასწავლებელია მაია...

...ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და თვითმყოფადი ადამიანია, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. საოცრად უბრალო და ფაქიზი, ამავდროულად, წარმოუდგენელ ძალას და ენერგიას ასხივებს. ოთხი ულამაზესი ბავშვის დედა და არაჩვეულებრივი პოეტია. ლიტერატურული კონკურსის, „საბას" გამარჯვებული წელს პოეზიის ნომინაციაში, სრულიად დამსახურებლად, სწორედ მაია სარიშვილი გახდა.

... ამბობს, რომ ძალიან უცნაურად აღმოჩნდა სკოლაში. დაამთავრა თუ არა, უმაღლესი სასწავლებელი, უბრალოდ, დარეკა 51-ე სკოლაში და აუხსნა მოსაუბრეს, რომ მუშაობის დაწყება სურდა. დღემდე უკვირს, რომ მაშინვე აიყვანეს. მძიმე, არაპედაგოგიური, გაუწონასწორებელი, არარეჟიმული აღმოვჩნდი *(წარმოუდგენლად თვითკრიტიკულია!)*, მიკვირს, ერთი წელი როგორ გამაჩერესო. ამბობს, რომ ერთადერთი, რაც მაშინ მიმართულებას, გეზს აძლევდა, მისივე განწყობა იყო. ამ განწყობას აყოლილი ჩაჰკიდებდა თურმე ხელს თავის პირველკლასელებს და იქვე, დათოვლილ ვერის ბაღში დაუკითხავად გაჰყავდა. მერე რა, რომ მშობლები და მასწავლებლები მერე ერთად დაეძებდნენ, – ბავშვები მაინც იღებდნენ იმას, რაც სჭირდებოდათ. იხსენებს, რომ ანბანის სწავლისთანავე, ბოლო ასოზე ჩავედით თუ არა, წერა დაიწყესო... ეს 90-იანი წლების დასაწყისში იყო. იმ ბავშვებთან ურთიერთობას დღემდე აგრძელებს, ძირითადად, ტელეფონით. ქუჩაში სულ ვეძებ, გამვლელებს ვამსგავსებ, ნახვით კი მას შემდეგ არც ერთი არ მინახავსო...

არ ეშინია, თამამად იღებს პასუხისმგებლობას და სხვებსაც არანაკლები სითამამით აკისრებს, იცის მარტივი, მაგრამ ამოსავალი ჭეშმარიტება:

– ბავშვი რომ სკოლაში მოდის, უკვე მზადაა საიმისოდ, რომ უყვარდე. ამისთვის პატარა საბაბიც საკმარისია. მთავარია, ეს შენგან წამოვიდეს, თორემ თვითონ მზადაა... გამოხატვით კი, მერე ამ სიყვარულს, როგორც შეუძლიათ, ყველაფრით გამოხატავენ, უბრალოდ, ცარცის ნატეხის ჩუქებითაც კი...

ერთი წლის მერე სკოლიდან წამოვიდა და მერე, დიდი ხნის მერე, როცა მისი შვილები წამოიზარდნენ, მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ შეუძლია იყოს მასწავლებელი. ასე დაუბრუნდა სკოლას. თუმცა, ახლაც ძველებურად უნდა, რომ არ იყოს ნორმირებული. როცა დღეს სიტყვა „აუცილებლად" გასდევს, აფრთხობს; რეჟიმის, ერთფეროვანი რუტინის ეშინია და ამას ისეთი სახით ამბობს, ვხვდები, სწორედ ამ საშიში ერთფეროვნებისგან თავის დასაღწევად რა საოცარ სამყაროს უქმნის მაია თავისი განწყობებით ანას, მიხოს, რობიკოს, ელენეს, დათუნას, თამთას, ნინის, გიორგის, სანდროს, გიგის, ანანოს, ტასოს, ლიკას, ლუკას, ორივე ნიკოლოზს და ორივე მარიამს...

– ყოფილა შემთხვევები, 40-მდე სიცხით დამიტოვებია ბავშვები და ისე წავსულვარ სკოლაში... მაგრამ რაღაცნაირი ჯადოა, – კარს მივიხურავ თუ არა და ყველა შემომანათებს თვალებს, მორჩა, სხვა განზომილებაში ვარ, ყველაფერი მავიწყდება.

თვითონაც გაოგნებულია, იმხელა ნდობა მოდის ბავშვებისგანო. თუმცა ხანდახან სინდისის ქენჯნა აფხიზლებს: ისე მრცხვენია, ასე რომ ვუყვარვარ! – მძიმეა ეს სითბო – თითქოს ნაკლები გაეცი და მეტს ღებულობ...

ვერ წარმომიდგენია გაბრაზებული მაია მასწავლებელი...

მშვიდად მპასუხობს: საერთოდ, სიტყვა იმდენად ჭრის, რომ იქ სხვა საშუალება აღარაა საჭირო. მთავარია, სწორად შეარჩიო, რომელი შენიშვნა ჯობს, რომ სხვასთან ერთად ითქვას და რომელი – ცალკე. იცის, რომ გეგმა, სქემა არ არსებობს. ყველა მომენტს ვერ ისწავლი, უცებ უნდა მიხვდე, ვის როგორ უნდა მისცე შენიშვნა, აუცილებლად მშვიდი ტონით, მაგრამ მტკივნეულად...

– თითქოს გულიდან გულში ველაპარაკები, იმდენად მტკივნეულად, რომ უხერხულობისგან ცრემლებიც კი წამოსვლიათ, რადგან დანაშაულში დაინახეს თავიანთი თავი. ეს თბილი, შეფუთული ტკივილია და ამას გრძნობენ... თითქოს გუნდას აგზავნი და ისინიც ძალიან კარგი დამჭერები არიან.

აქედან უფრო კრძალვა ჩნდება, შიში – ნა-

კლებად. სახლშიც მიჰყვებათ უცნაური რიდი „ოღონდ მაიამ არ გაიგოს“. აკი იხსენებს პატარა მიხოს მშობლის მონაყოლს, – რატომ თქვა მაიამ, 9 საათზე დაწექითო, ამოიოხრებს და დასაძინებლად მიდისო...

ამბობს, რომ შვილების ასაკმა გაუადვილა მასწავლებლობა.

– გაფიქრებული არა აქვთ, უკვე ვიცი, რა უნდათ და რას გააკეთებენ. მთავარიც ესაა. ვერანაირ საგანს ვერ ასწავლი, თუ არ იცი, ვისთან გაქვს საქმე. იმხელა მუხტის, იმხელა ენერგეტიკის შემტანი ხარ მათ ცნობიერებაში, არაფერი არ უნდა შეგეშალოს, არ უნდა გამოგეპაროს. უნდა მოასწრო, მათი პიროვნების ჯერ კიდევ ბუნდოვან კონტურებს, სანამ დროა, მანამ უნდა შეავლო ხელი, ფაიფურივით – ვიდრე ცხელია, მანამდე უნდა მისცე ფორმა... მეც ამ განგაშის შეგძნებით ვარ მუდმივად... კლასში არასდროს არ მიგრძვნია დაღლა. ავტობუსში რომ „ავეჭეჭყები“, მაშინ ვგრძნობ, თურმე რამხელა ენერგია წავიდა.

ეს მანამ, სანამ მეორე დღეს ამ დაღლილობას, ისევე, როგორც უჯრაში ჩამწყვდეულ საშიშ ამბებს, თავიანთი ნათელი თვალებით ახსნიან ჯადოს ანა, მიხო, რობიკო, ელენე, დათუნა, თამთა, ნინი, გიორგი, სანდრო, გიგი, ანანო, ტასო, ლიკა, ლუკა, ორივე ნიკოლოზი და ორივე მარიამი...

მაია სარიშვილი

***

ანას, მიხოს, რობიკოს, ელენეს,
დათუნას, თამთას, ნინის,
გიორგის, სანდროს, გიგის, ანანოს,
ტასოს, ლიკას, ლუკას, ორივე
ნიკოლოზს და ორივე მარიამს

დაუკვირდით, დღე როგორ ყანყალებს.
თითქოს ჩვენ კი არ ვირჩევთ, საით წავიდეთ,
ინერციით მივექანებით.
ორივე ხელით წავფრენივარ რაღაც საქმეებს.
ფეხები კი მიწიდან ამსხლეტია
და ასე საოდავად და ასე ახალი საგანივით
ვსწავლობ თქვენგან იმ სიხარულს,
რომელიც არსად გამომადგება.
ალბათ შენიშნეთ – ძილი, რომელსაც ვერას-
დროს ვასწრებ,
ძაღლივით დამდევს
და ხან მპოულობს და ხან მკარგავს ამ რყევებისას.
ვერ მიდებენ გულს სერიოზული საქმეებიც –
ათასჯერ დამნომრეს და ჩამომწერეს,
მაგრამ არაფერი გამოუვათ,
ვიდრე ასე ჭასავით ვდგავარ,
ვიდრე დღეები სათლებივით მეთხლაშუნებიან,
რომ ამომაცალონ საიდუმლო,
რომელიც მუდამ უწყალდებათ.
კადრის უკუღმა დატრიალება –
რაიმე დაფშვნილის აღდგენასავით,
ყველა ნატეხი რომ თავის ადგილს უბრუნდება,
ასე უკუღმა ვცხოვრობ თქვენთან
და ფანჯრებს რომ ვხსნი,
თუკი ოდესმე ქვემოთ გადავმხტარვარ,
სათითაოდ უკან ვბრუნდები თქვენთვის.
ჩემი მაგიდის ზედა უჯრაში კი,
თქვენს დაქექილ საშლელებსა და
თქვენს თავმოჭმულ კალმებს შორის
ძალიან საშიში ამბები მიდევს.
გამოვხსნი, დავცქერი, ვახარისხებ.
კარტებს რომ აჭრი, ისე ვთამაშობ.
და რა საოცრად კარგია ასე –
სიგიჟე უჯრაში და ირგვლივ თქვენ –
ვითომ არაფერი...

***

ახლა ქარიშხალმა სხვაგვარად გადააწყო შეშლილები.
სხვაგვარად ჩაამწკრივა.
ბოლოებში ბავშვები დააყენა რითმებად
და წამოვიდა დემონსტრაცია,
როგორც შეშლილთა ლექსი.
მე კი ღიმილი, როგორც ნატკენი ფრთა,
ძირს მეთრევა და უხერხულია.
ვერ ავიკეცე. ვერ ვიმაგრებ.
ჩემს ღიმილზე ებიჯება სუყველას ფეხი –
ხალხმრავლობაში უარესია.
თურმე თავსხმაა.
ავიხედე – წვეთები გვანან პაწაწინა მეგაფონებს,
რომელთაც დავდევ და სათითაოდ
ყოველ მათგანს ვუკითხავ ლექსებს.
ეს სიგიჟეა. ერთი წვეთიც არ დამრჩენია.
და მახსენდება ბლანტი სცენა
სავსე დარბაზში,
სადაც ავედი ზუსტად ისევე სულელურად,
როგორც ოდესღაც ბავშვობისას,
როდესაც დედა მიკვდებოდა
და მაგიდაზე შევდექი შიშით,
რომ ახლოდან გაეგონა ღმერთს ჩემი ლოცვა...

სასტიკი პასუხი

თქვენ მეუბნებოდით, რომ ამ ოთხიდან
ორი ბავშვი მაინც უნდა ჩამეძაღლებინა,
მაგრამ ვერ ამოვარჩიე – რომელი...
და ამასობაში დაიზარდნენ.
თავის დაცვა უკვე კარგად შეუძლიათ.
ისე ადვილად ველარ დახოცავ...
ერთი რომ მყოლოდა,
ოთხივეჯერ მას ვაკოცებდი
და არავინ ეტყოდა, რომ დანარჩენები
იმ სამი კოცნისთვის დაიხოცნენ.
ვერ მოვიქეცი გონივრულად,
ვერ ამოვითხარე სტერილური თოხებით
შვილები – როგორც გლანდები –
და საქმე საბოდიშოდ გავიხადე,
რადგან სულ მეგონა, რომ
თუ დაგიჯერებდით,
მუცელი მაინც გამომეზრდებოდა
და მთელი ცხოვრება
ზუსტად იმდენი ბორცვი უნდა მეტარებინა,
რამდენ ბავშვსაც ტანში ჩავიკლავდი.
და ესენი კი იქნებოდნენ
ბევრად უფრო საშიშნი და მარადიულნი –
ჩემივე შვილების საფლავების ბორცვები.
თქვენ მეუბნებოდით, რომ ამ ოთხიდან
ორი ბავშვი მაინც უნდა ჩამეძაღლებინა,
მაგრამ ვერ ამოვარჩიე – რომელი,
და ამასობაში დაიზარდნენ,
ლოყებზე თითები მომაფინეს,
ალაპარაკდნენ...

ალბათ სამშობლო

აქ ნუგეში მუდამ ასეთია –
ჯერ ფარგლის წვერით ჩაგესობა
და მერე შემოხაზავს წრეს.
აქ სიცილის ოთახშია შეგდებული რაღაც საიდუმლო
და ისევ სარკეები ბრეცენ და ამასხარავებენ
სათქმელს...
აქ ზოგჯერ თავისით ითხრება მიწა, უნიჩბებოდ.
და ფრთხილად თავისით ირგვებიან ხეები.
აქ ჰაერის ყველა მოლეკულაც რომ
კარებივით სათითაოდ გამომიჯახუნონ,
რჩება დუმილი, რომელიც წმინდანია და მაცოცხლებს.

***

სამზარეულოს იატაკზე რომ
სათამაშო მატარებელი დაღოღავდა,
ახლა მოსაკლავად დამდევს.
უმემანქანეო, უმგზავრებო,
უკაციშვილო –
ლიანდაგს ასცდა,
აღარ უყურებს ინსტრუქციას
და მიმართულების ღილაკებს.
რას ემსგავსები, თამაშო?
რაღაც რკალები და ხვეულები
ნამდვილსიტყვება წერილებად მექცნენ,
თოჯინების ცივი ნესტოები –
შვილების მსუნთქავ ცხვირებად.
რა ვუყო ასეთ სიცოცხლეს?..

***

როგორ იქნება ამ ზამთარს ჩემი საქმე?
ვთქვათ, რომც გავმდიდრდე,
დიდფანტელება თოვლს კი არ გამოვიწერ,
მოვიმარაგებ უპრობლემო არხეინ დღეებს,
ოთახებიდან გავაძევებ თავხედ თხუნელებს
და გულმოდგინედ იატაკის ღრმულებს
შევავსებ.
წესიერ ნივთებს არ ავურევ წესიერ გზა-კვალს.
დამჯერე ხელი მტვერს აიღებს ხავერდის
ნაჭრით.
არ შევადარებ საათის ხმას
ფეხშიშველა ბავშვების ტანტალს.
აღარასოდეს შევადარებ რამეს – რაიმეს...
მაგრამ ვაი თუ დამიძახა იმ ხიდმა ღამით! –
(მას ეშინია, რომ შეუძლია გადახტეს ქვემოთ)
თითებს მიფშვნიან ღონიერი მისი რკინები –
მოაჯირით რომ მეჭიდება
და აღარ მიშვებს.

მამას

მე ვიცი, რაც გაყვირებს ძილში –
შანდლებზე წამოცმული გველები
ენებით გინათებენ ოთახს.
და მართლაც, რა საშიშია ეგ მოგუგუნე სიბნელე –
ცბიერი შუქით დაგესლილი...
მე ვიცი, როგორ საპონივით ისვამ ღამღამობით
შენსავე გულს მთელს სხეულზე.
როგორ მონდომებით იცილებ ლაქებს
შენივე გულის ქაფით.
იქნებ, ამიტომაც,
დედა ყოველ ღამით გამოდის სიკვდილიდან
და ვარდებს გირგავს იმ ჩუსტებში,
შენ რომელშიც დილაობით ფეხებს აბიჯებ...
გთხოვ, მიაგენი ჩვენთან სახლში
ჩემს ბავშვობის ხმას.
ალბათ კანფეტების ყუთთან იქნება სადმე ახლოს.
და თუ მარმელადის გოშია აყეფდეს,
ან რამე ამდაგვარი,
ესე იგი, ჯადო ახსნილია...

■

ზეინაბ სარია

დედაჩვენის სამუშაო მაგიდაზე ვნახეთ ჟურნალ „მასწავლებლის“ პირველი და მეორე გამოცემა, გადაშლილი რუბრიკაზე მასწავლებლის „შემოქმედება“. უცებ ვიფიქრეთ, რომ თქვენი ჟურნალისთვის ასევე საინტერესო იქნებოდა მისი, ზეინაბ სარიას, შემოქმედება და გადავწყვიტეთ, გამოგვეგზავნა. თან წარმოვიდგინეთ, რა სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, როცა ჟურნალის მორიგ ნომერს შეიძენს და უცებ თავის შემოქმედებას აღმოაჩენს იქ!..

ორიოდე სიტყვა მასზე: დაიბადა 1955 წლის 5 მარტს, ქ. ზუგდიდში. თავის სიმდიდრედ გვთვლის ჩვენ, საკუთარ ვაჟებს: შოთას, მიხეილსა და ქუჯის, სამიოდე პოეტურ კრებულს და იმ უთვალავ ყოფილ თუ ახლანდელ მოსწავლესა თუ სტუდენტს, ყველგან და ყოველთვის რომ ახვევია გარს. დედა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია. ორივე დისერტაცია დაიცვა გალაკტიონის პოეზიაზე. უყვარს თავისი საქმე და გატაცებით მუშაობს სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც.

მისთვის ყველაფერზე ფასეულია ლექსი, სამეცნიერო ნაშრომი, ახლებურად ჩატარებული ლექცია, ორიგინალურად ჩაფიქრებული გაკვთილი.

ვფიქრობთ, სწორედ ასეთ ადამიანებს უყრის თავს თქვენი ჟურნალი რუბრიკაში „მასწავლებელთა შემოქმედება“. ამიტომაც ვისურვეთ აქ დედაჩვენის ლექსების გამოგზავნა.

დანარჩენი თავად ლექსმა თქვას.

ქუჯი და მიხეილ ბიჭიები

* * *

ამ ბიჭუნას, მეორე მერხზე რომ ზის, ფანჯრისკენ,
ორიოდ თვეა, არა სცხელა ზმნის უღლებისთვის,
ბაგეებში ჩაუხტა ერთადერთი სიტყვა–
თანაკლასელი გოგოს სახელი,
ველურ არსებასავით აწყდება ბაგეებს,
გამოღწევას ცდილობს,
მას კი მაგრად მოუმუწავს პირი,
არ უშვებს,
თან ვერ მიმხვდარა, რა ემართება.

* * *

ლურჯა ფიქრების ნისლიდან
ნაღველი შემოსისინდა.

მიდიხარ. საით მიდიხარ?
აქა ხარ, მაინც მიდიხარ.

აღარ გსურს, მაინც მიდიხარ.
წუთიც და... უკვე ბინდი ხარ.

სოფლის ღაღანა ნოშოზე
მოსაწყდომ ფოთლად ჰკიდიხარ.

მიდიხარ...

გრიგალში ნათქვამი ლექსი

(გვიან ღამით, როცა ვაჟას ტაეპებს ვყავდი ტყვედ)

ვერ დაეტივნენ ღამის უფსკრულში,
მიუსაფარნი ძრწიან სულები,
ჯოჯოხეთიდან ამოსულები.
...ქშშშ!..
ქროლვით თრობაა.
სულებს შორისაც მარტოობაა.
გრიგალმა ლექსი ამოაგდო
აქა-იქ მთვარის ვარაყით,
აქა-იქ რითმის არაყით.
ლექსი ვერა და ვერ დაეტია
ბულის ფართქალში.
რომელი მეტია: ლექსი თუ გრიგალი?
აჰა, ცხადია და არა სიზმარი,
ლექსი, გრიგალში ნათილისმარი
იტევს გრიგალებს.
...ქშშშ!..
გესმით?
ლექსშია გრიგალი,
გრიგალში – ლექსი.
გესმით?

– რას დალექსაობ, ქალაო,
წამამყე მაღალ ფორტეში,
არ გვინდა ჭორებ-შპორები
და ვარსკვლავების კორტეჟი.
წამამყე ღამებნელაში,
წამამყე დათქმულ ალაგას,
შენ რა ქალი ხარ, ერთაი
საიდუმლოც კი არა გაქვს.
ცად ავყრი ისეთ აკორდებს,
შენს სახელს წამოაბოდებს,
აგინთებ მთვარის მაშუღებს,
ერთ საიდუმლოს გაჩუქებ!..

ბაზარში

(ანუ ვარიაცია სოციალურ მოტივზე)

იმ ხელჩანთას,
რომელშიაც ფასებალხიან ბრონეულებთან,
სულუგუნებთან,
ძროხის სუკთან,
ნიგვზის საწებელში ჩასაწოლად
გამზადებულ ზუთხთან ერთად
ეშმა მოკალათებულა,
ხომ მირჩევნია ჩემი –
ჩემთან ერთად ღვთის ხელი რომ მიამსუბუქებს –
კარტოფილიანი,
კომბოსტოთი თუ
ეკალათი ამოვსებული,
მოკრძალებული თხილით
და იქვე
გადასაზელი ჭყინტი ყველით
პიტნიანი საწებლისათვის.

კალმის ამაო სვლა ფურცელზე

სიტყვას თუ რაიმე ძალა აქვს,
ამოთქვას,
ამო თქვას,
არა და ჩაბრუნდეს დუმილში.
ნუ მიშლი
მივსდიო სიტყვას,
ითქვას –
სოფელი – მყოფელი,
ქონება – მონება,
ჭაღარა – არღარა რა,
სიბერე – იფერებ?..
აღარც თუ ამოა,
ამაოც თუ არი,
კალმის სვლას უარი.
დუმილი კეთილი
და ბრძენი წერტილი.

ორმოცდაათი წელი

ჩემს ხელჩანთაში
ფრთაფათქუნა ლექსის ქისაა,
ორმოცდაათი მინანქრისაა.

ვაი, შვილებო, ვერ გპატრონობთ,
დარდიც ისაა,
ჩემს ხელჩანთაში ფრთაფათქუნა
ლექსის ქისაა.

ვერც დოლარს ვხვეტავ,
ვერც მკლავებს ვშლი,
და მეტი აბა ქალი რისაა?
ორმოცდაათი მინანქრისაა.

გარეთ რაა და შიგნით მივალ,
ეს გზა ღვთისაა,
ჩემს ხელჩანთაში
ფრთაფათქუნა ლექსის ქისაა.

* * *

სიწმინდე ჯავშანია.

ნამი ბალახზე

ნამი ბალახზე – ეს ისე ჩემია,
ან კიდევ – რაღაც იმგვარია ჩემში,
ან თუ: რაღაც იმგვარი ვარ მასში,
ისე მიმიზიდა, მიმწია, ჩამისახლა,
ეს თითქმის მე ვარ,
ან – ზუსტად მე.
ის კი შედგა, შეყოვნდა
და... დამაცქერდა.
შემრცხვა.
ღმერთო, ბალახის ნამზე რამდენხანს მიყურებდა...

* * *

უფერულ ქალაქის უფერულ ქუჩაზე
ნათელი ჩამოდგა.
აჰა, დალანდეს ერთიმეორე!..
აჩქამდა წყვილი გული იჩქითად:
– აჰა, აჰა, აგერ... აგერ...
მივესალმო თუ ის მომესალმოს?
ჯერ მე შევხედო თუ შემომხედოს?
ხელს გავუწვდი თუ ის გამომიწვდის?
გავუღიმო თუ მან გამიღიმოს?
შევყოვნდე თუ ის შეყოვნდეს თავად?
იქნებ სულაც სჯობს, რომ პირველმა
„ვერ შევამჩნიო“...
და... ჩაუარეს ერთიმეორეს.

მასწავლებლების შეკითხვებს პასუხობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თუ პედაგოგი გადაწყვეტს, ბოლო ეტაპზე გაიაროს სერტიფიცირების პროცესი, ხომ არ შეექმნება საფრთხე მის სამუშაო ადგილს?

– რასაკვირველია, სხვადასხვა მიზეზის გამო, ყველა მასწავლებელი ერთდროულად ვერ შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. კანონით განსაზღვრული ვადის ბოლომდე (ამჟამად ეს არის 2013 წელი) მოქმედი მასწავლებლის დასაქმებაზე არ აისახება ის ფაქტი, გაიარა თუ არა მან სერტიფიცირება. 2013 წლიდან საჯარო სკოლებში მუშაობის უფლება მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ექნებათ. თუ პედაგოგი სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლას ბოლო მომენტისთვის გადადებს, წარუმატებლობის შემთხვევაში, მას ხელახალი ცდის შესაძლებლობა ექნება.

რომელ საგანსა და საგნობრივ ჯგუფში იგეგმება ტესტირება მასწავლებელთა სერტიფიცირებისთვის?

– ტესტირება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში: დაწყებითის ქართული ენა და ლიტერატურა (ქართული, როგორც მშობლიური ენა და ქართული, როგორც მეორე ენა), დაწყებითის მათემატიკა, დაწყებითის ბუნებისმეტყველება, დაწყებითის საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო აღზრდა), დაწყებითის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/შრომითი სწავლება, დაწყებითის მუსიკა, დაწყებითის ფიზიკური აღზრდა, დაწყებითის უცხო ენა (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული), საბაზო-საშუალო ქართული ენა და ლიტერატურა (ქართული, როგორც მშობლიური ენა და ქართული, როგორც მეორე ენა), საბაზო-საშუალო მათემატიკა, საბაზო-საშუალო ქიმია, საბაზო-საშუალო ბიოლოგია, საბაზო-საშუალო ფიზიკა, საბაზო-საშუალო ბუნებისმეტყველება (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), საბაზო-საშუალო საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო აღზრდა), საბაზო-საშუალო ფიზიკური აღზრდა.

პირველ ეტაპზე ტესტირება იგეგმება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხოურ ენებში საბაზო-საშუალო საფეხურზე.

რას მოიცავს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია?

– მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრი, საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონის საფუძველზე, ქმნის თეორიულ საფუძველს (წესებს და პირობებს) მასწავლებლების მოსამზადებელი და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციისათვის, რომელსაც აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი განახორციელებს. აკრედიტაციის სახით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრულ წესებსა და სტანდარტებს დაეფუძნება.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრი შეიმუშავებს როგორც აკრედიტაციის წესსა და სტანდარტს მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ასევე მათი შიდა და გარე შეფასების სახელმძღვანელოებს. მისიის წარმატებით განხორციელებისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, დასავლური გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, ადგილობრივ თავისებურებებსა და საჭიროებასაც ითვალისწინებს. ■

შეკითხვების ბლანკი

მასწავლებლისთვის საინტერესო გამოცემები:

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო („სწავლება და შეფასება", „განვითარებისა და სწავლის თეორიები", „სასწავლო და პროფესიული გარემო"), თბილისი, 2008, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

„ვისწავლოთ ერთად – ინკლუზიური განათლება", თბილისი, 2008, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

„წიგნიერება – წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები" (ტესტის ნიმუშები, რეკომენდაციები), თბილისი, 2008, გამოცდების ეროვნული ცენტრი.

თბილისის წიგნის მაღაზიებში შეგიძლიათ ნახოთ ასევე ახალი წიგნები:

„გონივრული სკოლები", დევიდ პერკინსი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.

„განათლების მიზანი", ნილ პოსტმანი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.

„სკოლის ფსიქოლოგია", მამია ყოლბაია, გამომცემლობა „ცის ნამი", თბილისი, 2008.

„ადამიანის გზა თვითშემეცნებისაკენ", რუდოლფ შტაინერი, თბილისი, 2000.

„წერილები საზოგადოების წევრებს", რუდოლფ შტაინერი, თბილისი, 2001.

„ბავშვის განვითარება", ჰელენ ბი, პეტერბურგი, 2008 (რუსულ ენაზე).

„ლექსიკონი პედაგოგებისათვის", ალტერნატიული განათლების ცენტრი, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2007.

„როგორ ვიმუშაოთ კათედრაზე?" (სამუშაო რვეული მასწავლებლებისათვის), კომპანია „მაესტრა".

სიახლე
პროფესიული ლიტერატურის გამოწერა

წიგნის მაღაზია „პარნასი" გთავაზობთ ახალ მომსახურებას. თქვენ შეგიძლიათ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სისტემატურად მიიღოთ ინფორმაცია უახლესი უცხოური პროფესიული, მათ შორის პედაგოგიური გამოცემების შესახებ და შეუკვეთოთ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი გამომცემლობების წიგნები.

„პარნასი" უზრუნველყოფს მათ ჩამოტანას. საკონტაქტო ინფორმაცია: www.parnasi.ge e-mail: info@parnasi.ge; ტელ: 250 255

ახალი რესურსები მასწავლებლებისთვის

GEARN საქართველოს საგანმანათლებლო რესურსების ქსელია. იგი წარმოადგენს iEARN-ის საერთაშორისო ქსელის ქართულ ვერსიას (იხ. www.iearn.org). GEARN- ის მიზანია კომპიუტერისა და ინტერნეტის პოპულარიზება და ეფექტური გამოყენება სკოლებში. იგი საქართველოში 2000 წლიდან მოქმედებს.

თუ გსურთ, რომ თქვენი სკოლა GEARN-ის საინტერესო, მრავალფეროვან საქმიანობაში ჩაერთოს, გაგზავნეთ წერილი შემდეგ მისამართზე: gearn2000@gmail.com

GEARN (ანუ iEARN-საქართველო) რამდენიმე ახალ ქართულენოვან პროექტს გთავაზობთ. ეს პროექტები საშუალებას მისცემს საქართველოს სკოლების მოსწავლეებს, შეუფერხებლად, ენობრივი ბარიერის გარეშე ჩაერთონ ონ-ლაინ პროექტებში.

რამდენიმე პროექტი უკვე ამოქმედდა:

„იუნესკოს მემკვიდრეობის მკვლევარები": მოსწავლეები სწავლობენ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას, ისტორიას, კრებენ თქმულებებსა და რეალურ ფაქტებს ამ თუ იმ ისტორიულ ადგილთან დაკავშირებით. ეწყობა მოსწავლეთა ნახატებისა და ფოტონამუშევრების გამოფენა. ეს მასალა იგზავნება პროექტის ვებ-გალერეაშიც. სასწავლო წლის განმავლობაში ეწყობა ექსკურსიები. მოსწავლეებს აგრეთვე შეუძლიათ დაწერონ ლიტერატურული ესეები და მეცნიერული სტატიები რომელიმე ისტორიული ადგილის შესახებ, გამოიკვლიონ მისი გავლენა საქართველოსა და მსოფლიოს ცხოვრებაზე.

გარდა ამისა, არის სხვა საინტერესო პროექტებიც, რომელთა არჩევა შეუძლიათ ბავშვებსა და მათ მასწავლებლებს:

დროის მანქანით მოგზაურობა საბჭოთა დროინდელ საქართველოში, პროექტის ვებ-გვერდი/ ბლოგი: http://geoprojects.blogspot.com/)

ჩემი სახელი მსოფლიოში (http://myname-projectworks.blogspot.com/)

ენაში გაფანტული მარგალიტები (http://margalitebi.blogspot.com/)

სულ მალე ქსელი ახალ პროექტებს შესთავაზებს მასწავლებლებს.

მოამზადა *ნინო წიკლაურმა*

მასწავლებლის მსოფლიო დღე

1994 წლიდან იუნესკო ყოველი წლის 5 ოქტომბერს მასწავლებელთა მსოფლიო დღეს აღნიშნავს. 1966 წლის 5 ოქტომბერს სპეციალურმა საერთაშორისო სამთავრობო კონფერენციამ მიიღო „რეკომენდაცია მასწავლებელთა სტატუსის შესახებ“ – პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც პედაგოგთა პასუხისმგებლობასა და უფლებებს განსაზღვრავს. მასწავლებელთა მსოფლიო დღის აღნიშვნა კაცობრიობის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის მათი მნიშვნელობის აღიარებას, მათდამი მადლიერების გამოხატვასა და მხარდაჭერის გამოცხადებას ნიშნავს.

მასწავლებლის მსოფლიო დღის აღსანიშნავი ღონისძიებები ყოველ წელს რომელიმე თემას ეძღვნება. 2008 წელს ასეთ თემად შერჩეულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. „პროფესიული განვითარება ხარისხიანი განათლებისთვის“ – ასეთია წლევანდელი ლოზუნგი. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მასწავლებელთა ორგანიზაციები მოითხოვენ ადეკვატური პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადებასა და მათთვის შეთავაზებას.

მასწავლებლის მსოფლიო დღე ასზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება.

ქართველი პედაგოგებისთვის ალბათ საინტერესო იქნება, რომელ დღეს იღებენ მილოცვებს მათი უცხოელი კოლეგები.

- **არგენტინაში** მასწავლებლის დღეს 11 სექტემბერს აღნიშნავენ. ეს არის ქვეყნის ღვაწლმოსილი პედაგოგისა და 1868-1874 წლებში არგენტინის პრეზიდენტის, რეფორმატორ დომინგო ფაუსტო სარმიენტოს (1811-1888) გარდაცვალების დღე.
- **ბრაზილიაში** მასწავლებლის დღეს 15 ოქტომბერს ზეიმობენ. 1527 წლის 15 ოქტომბერს იმპერატორმა პედრო I-მა ხელი მოაწერა მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის სკოლების დაარსების ბრძანებას.
- **გვატემალაში** მასწავლებლის დღე 25 ივნისია – 1944 წლის საპროტესტო დემონსტრაციაზე მასწავლებლის მარია ჩინჩილა ვეგას მკვლელობის დღე.
- **ვენესუელაში** მასწავლებლის დღეს 15 იანვარს აღნიშნავენ. ამ დღეს (1932 წ.) მასწავლებელთა საზოგადოება დაარსდა.
- **ინდოეთში** მასწავლებლის დღე 5 სექტემბერია – ინდოეთის მეორე პრეზიდენტის, ფილოსოფოსისა და უნივერსიტეტის პროფესორის სარვეპალი რადჰაკრიშნანის (1888-1975) დაბადების დღე.
- **ირანში** მასწავლებლის დღე 2 მაისია – ირანელი სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწის, სწავლულისა და უნივერსიტეტის პროფესორის აიათოლა მორთეზა მოთაჰარის (1920-1979) მკვლელობის დღე.
- **კოლუმბიაში** მასწავლებლის დღეს 15 მაისს ზეიმობენ. 1950 წლის 15 მაისს პაპმა პიუს XII-მ ყველა მასწავლებლის მფარველად გამოაცხადა წმინდა ჟან ბაპტისტ დე ლა სალი.
- **კუბაში** მასწავლებლის დღეს 22 დეკემბერს აღნიშნავენ. 1961 წლის 22 დეკემბერს ფიდელ კასტრომ ჰავანაში რევოლუციის მოედანზე შეკრებილ დემონსტრანტებს სიტყვით მიმართა და კუბა „უწიგნურობისგან თავისუფალ ტერიტორიად“ გამოაცხადა.
- **პერუში** მასწავლებლის დღე 1 დეკემბერია. 1822 წლის 6 ივლისს პერუს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ეროვნულმა გმირმა ხოსე დე სან მარტინმა დააარსა პირველი სკოლა ღარიბთა ბავშვებისთვის.
- **ტაივანში** მასწავლებლის დღეს კონფუცის დაბადების დღეს – 28 სექტემბერს აღნიშნავენ.



ფოტოკონკურსი

ჟურნალი „მასწავლებელი“ აგრძელებს ფოტოკონკურსს

გამოაგზავნეთ რედაქციაში თქვენი ნამუშევრები. საუკეთესო ფოტოები გამოქვეყნდება, წლის ბოლოს კი ჟიური გამარჯვებულ ფოტოს და გამარჯვებულ მასწავლებელს დაასახელებს.

1

2

3

4

5

6

ფოტოების ავტორები:

1-2. მარინე უკლება, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (ქუთაისი)

3-4. თეა ელერდაშვილი, სკოლა „ქორალის“ ბიოლოგიის მასწავლებელი

5-6. მარინე დემეტრაშვილი, თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ეკონომიკის მასწავლებელი

პირველი აღზრდა ოჯახიდან იწყება, იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს; იგი სთესავს თესლს ყმაწვილის გულში, ხოლო სკოლა ჰფარცხავს, ჰმარგლის ამოსულს თესლს, ჰმკის, ლეწავს და ანიავებს.

ვაჟა-ფშაველა

პედაგოგიკა ბავშვთა განვითარების არა გუშინდელ, არამედ ხვალინდელ დღეზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ლევ ვიგოტსკი

არაფერია ისე ძნელი, როგორც ცუდად აღზრდილი კაცის ხელახლა აღზრდა.

იან ამოს კომენსკი

სწავლა, განათლება ერის ბედნიერების, კეთილდღეობის ბურჯია... სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ დაუდგება, ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე.

ილია ჭავჭავაძე

ვინც სწავლებას ბედავს, არასდროს უნდა შეწყვიტოს სწავლა.

ჯონ კოტონ დანა

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 58 33; ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ-ფოსტა: info@tpdc.ge www.tpdc.ge

Teacher Professional Development Center
52, Dimitri Uznadze St. 0102, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 95 58 33; Fax: (+995 32) 95 58 36
E-mail: info@tpdc.ge www.tpdc.ge